

# ქართული 10

## ენა და ლიტერატურა

## მასწავლებლის წიგნი

### ნაწილი II

მაია მენაბდე
ნათია ფურცელაძე
ნინო ლომიძე
ნანა სახეჩიძე

სულაკაურის
გამომცემლობა

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2022 წელს.

ქართული ენა და ლიტერატურა 10
მასწავლებლის წიგნი (ნაწილი II)

ავტორები: **მაია მენაბდე, ნათია ფურცელაძე, ნინო ლომიძე, ნანა სახეჩიძე**

რედაქტორი **მარიამ გოჩიტაშვილი**
კონსულტანტი **ნათია ნაფეტვარიძე**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **ვიკა კვარაცხელია**
ყდაზე გამოყენებულია **მამია მალაზონიას** ილუსტრაცია „ვეფხისტყაოსნიდან“

პირველი გამოცემა, 2022
© სულაკაურის გამომცემლობა, 2022
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
ალმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 2910954, 2911165
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-37-123-3

Georgian 10
Teacher's Book (Part 2)

© Sulakauri Publishing, 2022
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

# სარჩევი


მე-10 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ზოგადი კონცეფცია ........ 5

ქართული ენა და ლიტერატურა ........ 11

თემატური მატრიცები სახელმძღვანელოსთვის ........ 17

III თავი – სიბრძნის წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ ........ 19

IV თავი – იგავური სიბრძნე ........ 32

V თავი – ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის ........ 38

კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკა ........ 46

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება ........ 48

სოლოტაქსონომია ........ 51

განმსაზღვრელი შეფასება ........ 54

რეფერატი ........ 56

მასწავლებლის წიგნის დანართი ........ 58

სავარჯიშოების პასუხები ........ 67

მასწავლებლისთვის საჭირო რესურსები ........ 76

# მე-10 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ზოგადი კონცეფცია

## ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო

ჩვენი სახელმძღვანელოს ლიტერატურის ნაწილი აგებულია და ტექსტები გადანაწილებულია ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპით (როგორც სტანდარტშია მითითებული).

ქრონოლოგიურად დალაგებული ტექსტები დავყავით თემატურ თავებადაც, რაც გაუადვილებს მოსწავლეებს ნაწარმოებში ასახულ უმთავრეს პრობლემაზე ყურადღების კონცენტრაციას. ასევე ზოგიერთ თავში შევიტანეთ თემის შესაბამისი ნაწარმოებები, ქართული ან მსოფლიო ლიტერატურიდან, რათა მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის ორგანული ნაწილია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლიტერატურის განვითარების ქრონოლოგიურ აღქმას ხელს შეუწყობს თეორიული მასალა, რომელიც მოიცავს როგორც ეპოქის მიმოხილვას (კონტექსტის სრულყოფილად გააზრებისთვის), ასევე ლიტერატორთა საინტერესო მოსაზრებები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს სტანდარტით გათვალისწინებული ლიტერატურული ცნებებისა და ქვეცნებების სწორად გააზრებაში.

მუშაობისას ჩვენი პრინციპი იყო, სახელმძღვანელო იმდენად შეკრული, გასაგებად სტრუქტურირებული ყოფილიყო, რომ მოსწავლეს არ გაუჭირდეს ნავიგაცია, აქტივობებსა თუ დავალებებს მასწავლებლის გარეშე, დამოუკიდებლადაც, გაართვას თავი (მნიშვნელოვანია, რომ კომპლექსური დავალება მოსწავლემ დამოუკიდებლად შეასრულოს). ეს მიდგომა განაპირობა იმან, რომ მივიჩნევთ, თანამედროვე განათლება მუდმივად და დამოუკიდებლად მსწავლელი პიროვნების აღზრდას უნდა ემსახურებოდეს.

მეორე მხრივ, სახელმძღვანელო მასწავლებლისთვისაც უნდა იყოს კომფორტული და მაქსიმალურად უადვილებდეს ისედაც გადატვირთული მუშაობის რეჟიმში სრულყოფილი, ეფექტიანი და შედეგიანი გაკვეთილების ჩატარებას.

### თავების სტრუქტურა:

სახელმძღვანელოში შესულია მოცულობითი ტექსტები, რომლებიც დავყავით მცირე მონაკვეთებად. თითოეულის დამუშავებისთვის მოსწავლის წიგნში მოცემულია როგორც სააზროვნო კითხვები (რუბრიკა – **ტექსტის გასააზრებლად**), ისე **აქტივობები**, რომლებსაც მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს კომპლექსურ დავალებამდე.


ტექსტის გასააზრებლად

1. პროლოგში პოეტი სამ გმირს ახსენებს („მათ სამთა გმირთა მნათობთა..."). ავთანდილსა და ტარიელს მკითხველი უკვე კარგად იცნობს. როგორ შემოჰყავს ნურადინ-ფრიდონი („მესამე მნათობი") ავტორს? ამომწურავი პასუხის გასაცემად დააკვირდი:
   ა. როგორ გამოჩნდება პოემის მესამე გმირი ტექსტში;
   ბ. როგორია გმირის სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა;
   გ. როგორაა გადმოცემული მისი ემოცია, განწყობა.
2. გაიხსენე ავთანდილისა და ტარიელის პირველი შეხვედრა. მათ, პოეტის თქმით, პირველი დანახვისთანავე მოეწონათ ერთმანეთი და „უცხოობით არ დაჰრიდეს". როგორ შეხვდნენ ტარიელი და ფრიდონი

ბ. ფრიდონი გამოხატავს ნანახით აღძრულ გრძნობებს.
გ. რა საერთოა გმირთა შეხვედრის ეპიზოდებში? (იმსჯელეთ კლასში)

6. როგორ იცვლება ფრიდონის დამოკიდებულება ტარიელის მიმართ მას შემდეგ, რაც შეიტყობს მის ვინაობას? როგორ ფიქრობ, რაზე მიანიშნებს ეს?
7. ფრიდონთან შეხვედრის შემდეგ მკითხველისთვის მთავარი გმირის შესახებ სამი რამ ხდება ცხადი. ეს ცნობები მნიშვნელოვანია ტექსტის უკეთ გაგებისა და გააზრებისთვის. ამოკრიბე საჭირო მონაკვეთები და ისაუბრე იმის შესახებ, თუ:
   ა. როგორ აღმოჩნდა ტარიელი იმ გამოქვაბულში, რომელშიც მას ავთანდილმა


ემოციური თვითრეგულაციის სახელმძღვანელო წესები

ემოციები ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვა ემოცია მძლავრობს ხოლმე. როდესაც ემოციები მოჭარბებულია, ადამიანის რეაქცია, ქცევა გარკვეულწილად ექვემდებარება ამ ემოციურ ფონს.

ემოციური თვითრეგულაცია – ეს არის უნარი, ვმართოთ და გამოვხატოთ ემოციები, ამასთან, გავუმკლავდეთ სირთულეებსა და გამოწვევებს, თუკი რაიმე რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში აღმოვჩნდებით.

უიმედობა, უხასიათობა, სასოწარკვეთა, სასიცოცხლო ძალების ნაკლებობა, უმოქმედობის სურვილი, ყველასგან გარიდება (თვითიზოლირება), ულონობა, სევდისა და სიცარიელის განცდა, საკუთარ თავზე ზრუნვის სურვილის გაქრობა, ენერგიის დაქვეითება – ეს სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა საყურადღებოა. მსგავსი სიმპტომები სხვადასხვა ემოციური და ქცევითი დარღვევების მიმანიშნებელი შეიძლება იყოს. ადამიანს უნდა შეეძლოს საკუთარი ემოციური მდგომარეობის ამოცნობა და უნდა გააჩნდეს უნარი, დაეხმაროს საკუთარ თავს ან სხვას რთულ ემოციურ მდგომარეობაში.

რის გაკეთებაა საჭირო ასეთ დროს?

თითოეულ ტექსტზე მოცემულია ერთი ან რამდენიმე კომპლექსური დავალება (ტექსტის მოცულობის შესაბამისად).

თავის მხრივ, კომპლექსური დავალებები შედგენილია ორი მიმართულებით: როგორც წერითი, ისე ზეპირმეტყველების უნარებზე მორგებული.

თითოეული ტექსტი იწყება რუბრიკით **კითხვის დაწყებამდე** – რომელიც ან ერთგვარი შესავლის ფუნქციას ასრულებს, ან მოიცავს თემასთან გასააქტიურებელ ცნებასთან დაკავშირებულ საკვანძო შეკითხვებსა და აქტივობებს.

**კითხვის დაწყებამდე**

**როგორ ფიქრობ, რას უნდა ნიშნავდეს სათაური „სიბრძნე სიცრუისა?"**

**შეეცადე, გაიაზრო ორივე სიტყვის მნიშვნელობა – სიბრძნე და სიცრუე – რა მიმართება შეიძლება იყოს სიბრძნესა და სიცრუეს შორის?**

**გაიხსენე, ამ სასწავლო წელს შესწავლილ რომელ ნაწარმოებებში შეგხვდა ეს ცნებები და იმსჯელე მათ მნიშვნელობაზე ნაწარმოების კონტექსტის მიხედვით.**

**ახლა ყურადღებით წაიკითხე, ერთი მხრივ, რას წერს ილია ჭავჭავაძე სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებზე „სიბრძნე სიცრუისა" და, მეორე მხრივ, ამონარიდი ლექსიკონი-ცნობარიდან „ქართული მწერლობა".**

**იმსჯელე:**

- ერთმანეთს ავსებს თუ უპირისპირდება ეს ორი ციტატა ნაწარმოების სათაურის შესახებ?
- რამდენად დაემთხვა შენს მოსაზრებას ამ ამონარიდებში მოცემული შეხედულებები?

რა თქმა უნდა, თითოეულ თავს ახლავს სტანდარტით გათვალისწინებული შესაბამისი თეორიული მასალა.

ეს სტრუქტურა არა მხოლოდ ბავშვებს, არამედ მასწავლებლებსაც გაუადვილებს სასურველი შედეგის მიღებას: მათ აქვთ გამზადებული დავალებები ტექსტის შესწავლის ყველა ეტაპისთვის, მოსწავლეებს მრავალფეროვანი აქტივობებით ტექსტს ისე დაამუშავებინებს, რომ დაფაროს საშუალო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული ყველა ცნება და ჩამოუყალიბოს ის მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც აუცილებლად უნდა დარჩეს მეათეკლასელ მოსწავლეს ამ კურსის გავლის შემდეგ, ხოლო თითოეული აქტივობა შერჩეულია ისე, რომ მათი დამუშავებით მოსწავლემ, საბოლოოდ, ადვილად შეძლოს კომპლექსური დავალების დამოუკიდებლად შესრულება. ასეთი მიდგომა თავიდან აგვაცილებს ტექსტების გადარბენით სწავლა-სწავლებას. დანაწევრებული ტექსტები თავისთავად უჩენს განწყობას მასწავლებლებს, რომ შეუძლიათ, ერთ ტექსტს რამდენიმე გაკვეთილი მშვიდად დაუთმონ.

სახელმძღვანელოს შედგენისას გავითვალისწინეთ მდგრადი განვითარების პრინციპები, მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც შევთავაზეთ ისეთი დავალებები, რომელთა შესრულება აამაღლებს მათ ცნობიერებას და დაეხმარება, მზად იყვნენ XXI საუკუნის გამოწვევებისათვის.

**სახელმძღვანელოში დამატებით გამოვყავით შემდეგი რუბრიკები:**

**კრიტიკული აზროვნებისთვის** – ეს რუბრიკა სისტემურად ახლავს ტექსტის თითოეულ მონაკვეთს და გულისხმობს იმ საკვანძო საკითხების გამოყოფას, რომლებთან დაკავშირებითაც მოსწავლეს უნდა გაუჩნდეს კრიტიკული დამოკიდებულება, გამოთქვას თავისი შეხედულება, დაეთანხმოს ან უარყოს ლიტერატორების, კრიტიკოსების კონკრეტულ საკითხზე გამოთქმული შეხედულებები.


**კრიტიკული აზროვნებისთვის**

ა. ავთანდილის თქმით, „თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია". შენი აზრით, არის თუ არა ეს ავთანდილის ცხოვრებისეული პრინციპი?

ზემოთქმულის დასამტკიცებლად ან უარსაყოფად მოიყვანე მაგალითები პოემიდან. გაიხსენე, რა გზა გაიარა ავთანდილმა, ვიდრე ნესტანის საძებნელად წავიდოდა.

ბ. ავთანდილმა მეკობრეები დაამარცხა, მათ კი სიცოცხლის შენარჩუნება სთხოვეს. არაბეთის სპასპეტმა არ დახოცა ისინი. ამ ამბის გადმოცემის შემდეგ რუსთაველი დასძენს: „მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა".

**ლექსიკაზე მუშაობა** – ეს რუბრიკა განსაკუთრებით საჭიროა ძველი ქართული ნაწარმოებების დამუშავებისას, რადგან არქაიზმების გაგება მოსწავლეებისთვის რთულია. საინტერესო აქტივობებით, კოგნიტური სქემებით ჩაუღრმავდება მოსწავლე ამა თუ იმ ლექსიკურ ერთეულს, დააკვირდება გენეზისსა და ფუნქციას, რაც საბოლოოდ ტექსტის უკეთ აღქმას გაუადვილებს.


ლექსიკაზე მუშაობა

- **ჭმუნვა** ნიშნავს დარდს, მწუხარებას.

სულხან-საბა ორბელიანი ამგვარად განმარტავს ამ სიტყვას: „ჭმუნვა არს წუხილი უხმოობისა მოქმედი (მქმნელი)".
უცხო მოყმის გამოჩენით შეშფოთებულ როსტევანს თინათინი ამგვარად დაამშვიდებს: „კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს".

„წასვლა ავთანდილისაგან და ქარავანთან შეყრა" – ამ თავში იპოვე და ამოწერე სტრიქონები, რომლებშიც ეს სიტყვაა გამოყენებული. რომელ სტრიქონში ჩანს, რომ ავთანდილიც იზიარებს სატრფოს ზემოთ მოყვანილ შეხედულებას?

**გაიფართოვე თვალსაწიერი** – მასალები, რომლებიც მოსწავლეებისთვის საინტერესოდ წასაკითხია, გაუღრმავებს ცოდნას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და აუმაღლებს სწავლის მოტივაციას. თითოეულ რუბრიკას ახლავს კითხვები მიწოდებული მასალის გასააქტიურებლად.




**ჩვენ გირჩევთ** – ეს რუბრიკა მოიცავს რეკომენდაციებს, პრაქტიკულ რჩევებს კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი დახმარებით მოსწავლეები დაამუშავებენ სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალების შესასრულებელ სტრატეგიებს: კითხვის, გააზრების, წერის, ზეპირმეტყველების...


ჩვენ გირჩევთ

რეფერატზე მუშაობა საშუალებას მოგცემს, იკვლიო ის თემა, საკითხი, რომელიც განსაკუთრებით გაინტერესებს, გაიღრმაო ცოდნა, წერილობით გადმოსცე სათქმელი.
რეფერატი კვლევითი ნაშრომია, წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან „რეფერო", რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ვაუწყებ", „მოვახსენებ". რეფერატი არის მოხსენება, რომელშიც რაიმე საკითხის შესახებ დამუშავებული მასალაა წარმოდგენილი.

**თემის შერჩევა:**
**რა საკითხი, თემა გაინტერესებს პოემიდან?**
**რის შესახებ გსურს იცოდე მეტი?**

**გთავაზობთ სავარაუდო თემათა ჩამონათვალს:**

- *პერსონაჟი*
- *„ვეფხისტყაოსანი" და ხელოვნება*
- *რუსთაველის ლექსიკა*
- *რაინდობა*
- *„ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერები და თარგმანები*
- *ზღაპრული სამყარო, ფენტეზის ელემენტები „ვეფხისტყაოსანში"*
- *მეგობრობა*
- *ავთანდილის ანდერძი*

**მედიაწიგნიერება** – ეს რუბრიკა უმნიშვნელოვანესია თანამედროვე მოსწავლეებისთვის. მისი დახმარებით ისინი ისწავლიან, როგორ მოიძიონ საჭირო წყაროები, გამოიყენონ ინტერნეტრესურსები სასწავლო მასალად, როგორ გადაამოწმონ მათი სანდოობა.

> **მედიაწიგნიერება**
>
> ინტერნეტში უამრავი საინტერესო, შემეცნებითი, საჭირო, სახალისო მასალისა და ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი. ამასთან, მნიშვნელოვანია კვლევა-ძიებისას გარკვეული წესების ცოდნა და სანდო მასალის გამიჯვნა უსარგებლო ან არასანდო ცნობებისგან.
>
> ყურადღებით გაეცანი რუბრიკაში თავმოყრილ რჩევებს, მიჰყევი ნაბიჯ-ნაბიჯ, შეასრულე პრაქტიკული სამუშაო:
>
> **ნაბიჯი პირველი:** გუგლის საძიებო სისტემაში ჩაწერე: გადაცემა „წიგნები“, მარჯორი და ოლივერ უორდროპები.
>
> **ნაბიჯი მეორე:** უსმინე აუდიოგადაცემას;

**პროექტები:** რადგან პროექტული სწავლებაც თანამედროვე განათლების ერთ-ერთი გამოწვევაა, გადავწყვიტეთ, რომ უფრო მეტად ორგანული გავხადოთ პროექტები სწავლების პროცესისთვის და რამდენიმე პროექტს მასწავლებლის წიგნში გაეცნობით.

### შეფასება

თითოეული კომპლექსური დავალება მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს მასწავლებელმა განმავითარებელი (უფრო ხშირად) თუ განმსაზღვრელი შეფასებისას და გაუადვილდეს, სოლოტაქსონომიით დააკვირდნენ მოსწავლეთა ნამუშევრებს.

სახელმძღვანელოში ასევე მოცემულია მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები.

> **ურთიერთშეფასება**
>
> **აქტივობა – ინტერვიუ კლასელთან**
>
> ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის შემდეგ საინტერესოა, რა განწყობა-დამოკიდებულება, რა მიმართება გაგიჩნდათ შენ და შენს თანატოლებს შესწავლილის მიმართ. ნებისმიერი პროცესის დასრულების შემდეგ „უკან მოხედვა“, მიღებულ გამოცდილებაზე დაკვირვება, ჩაღრმავება, თვალის გადავლება, შეფასება, სასარგებლო და საინტერესოა.
>
> ინტერვიუს ფორმატი დაგეხმარება, გულწრფელი, უშუალო საუბარი წარმართო თანაკლასელთან ერთად;
> თქვენ საშუალება გექნებათ, გაუზიაროთ ერთმანეთს მიღებული გამოცდილება, მოსაზრებები;
> სხვისი შეხედულებების მოსმენა აფართოებს ჩვენს თვალსაწიერს, გვაჩვენებს განსხვავებულ ხედვის კუთხეს;
> ინტერვიუს მიზანი არ იქნება კამათი ან დისკუსია. მნიშვნელოვანია, მოუსმინოთ ერთმანეთს და მიიღოთ სხვისი შეხედულება განსჯის, კრიტიკის გარეშე.
>
> **მოემზადე ინტერვიუსთვის**
>
> მოიმარჯვე სამუშაო რვეული, კალამი და ხმის ჩასაწერი მოწყობილობა (დიქტოფონი, ტელეფონი, კამერა...);
> ჩამოწერე 3 კითხვა, რომლებსაც კლასელს დაუსვამ;
> გაითვალისწინე, კითხვა არ უნდა იყოს ცალმხრივი და არ უნდა შეიცავდეს ინტერვიუერის განწყობას (ასეთი კითხვის ნიმუშია: გაუგებარი და რთული ტექსტების შესწავლა ძალიან გაგიჭირდა?). კითხვები განაპირობებს ინტერვიუს ხარისხს.
> მოიფიქრე ისეთი კითხვები, რომლებიც კი/არა პასუხებს არ გულისხმობს და საშუალებას მის-

**დამატებითი რესურსი:**

ტექსტებსა და სავარჯიშოებს ხშირად ახლავს ინტერნეტმასალები: ვიდეო და აუდიორეპორტაჟები, ინტერვიუები, მოზარდებისთვის საინტერესო საიტები, დამატებით საკითხავი ტექსტები თემატური პარალელებისთვის – ისინი ჩაისმება არა დაკოპირებული ბმულების სახით (მათი აკრეფა ხშირად ბავშვისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს და უქრება მოტივაცია, გაეცნოს დამატებით საინტერესო მასალას), არამედ სახელმძღვანელოში ჩასმული QR კოდის სახით. მობილური ტელეფონის ფოტოაპარატის სახელმძღვანელოში განთავსებულ სპეციალურ QR კოდზე დანათებით მოსწავლე მარტივად შეძლებს, ნახოს მითითებული მასალა.

**გრამატიკა**

საშუალო საფეხურზე ცნება „გრამატიკა“ ცალკე კომპონენტი არ არის, შესაბამისად, არც ცალკე სახელმძღვანელოა საჭირო. მაგრამ, რადგანაც გრამატიკა მოსწავლის ყოველდღიური სწავლის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს, ჩვენ მაინც შევიტანეთ ის საკითხები, რომლებიც ე.წ. პრაქტიკული გრამატიკაა. მათი გათავისება და პრაქტიკაში სწორად გამოყენება ზოგჯერ აქილევსის ქუსლია ბავშვებისთვის. ასეთი საკითხები ხშირად უკავშირდება ტექსტებსა და კონკრეტულ ლექსიკურ სავარჯიშოებს.

სახელმძღვანელოში ყველა თავს ახლავს გრამატიკული ნაწილი – **ენის სამყარო**. ეს ხელს შეუწყობს მასწავლებელს, გადაბმულად რამდენიმე გაკვეთილი დაუთმოს გრამატიკას, რათა მოსწავლეებს განუმტკიცდეთ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული ცოდნა.

## 1. ზმნისწინი ძველსა და ახალ ქართულ ენაში

1 **ზმნისწინი** არის პრეფიქსი, რომელიც ზმნას ან სახელზმნას ყოველთვის წინ დაერთვის (პირველ ადგილას არის). ზმნისწინი გამოხატავს ***გეზს, ორიენტაციას, აწარმოებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს.***

| | გეზი | ორიენტაცია | ახალი ლექსიკური ერთეული |
|---|---|---|---|
| **ძველი ქართული** | მოვალს – მივალს<br>მოჰყავს – მიჰყავს | ალმოვალს – ალვალს<br>გამოვალს – განვალს | აღწერა<br>გარდაწერა |
| **ახალი ქართული** | მოფრინდა – მიფრინდა<br>მოიტანა – მიიტანა | წაიყვანა – წამოიყვანა<br>გადაირბინა – გადმოირბინა | მოიკითხა<br>წაიკითხა |

# ქართული ენა და ლიტერატურა

## საშუალო საფეხურის სტანდარტი

**ქართული ენისა და ლიტერატურის სავალდებულო კურსი საშუალო საფეხურზე გულისხმობს ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებულად სწავლებას.**

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია **გრძელვადიანი მიზნები.**

სტანდარტის **შინაარსი** აღიწერება ქვეცნებებისა და თემების სახით.

ეროვნული სასწავლო გეგმა საგანში „ქართული ენა და ლიტერატურა“ სავალდებულოდ განსაზღვრავს თემებს, სოლო მათ შესასწავლად საჭირო ქვეცნებებსა თუ საკითხებს სკოლები თავად ირჩევენ.

თემებს ახლავს **შედეგების მიღწევის ინდიკატორები.** ისინი მიგვითითებს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. თითოეულ კრიტერიუმთან აღნიშნულია, თუ რომელ სამიზნე ცნებასთანაა ის დაკავშირებული.

**საფეხურის შედეგები:**

საშუალო საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს, მაგ., **ქართ. საშ. 1.**

**„ქართ.“**– აღნიშნავს საგანს „ქართული ენა და ლიტერატურა“;

**„საშ.“** – მიუთითებს საშუალო საფეხურს;

**„1“–** მიუთითებს საგნობრივი სტანდარტის შედეგის ნომერს.

| ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები<br>საშუალო საფეხურზე | | |
|---|---|---|
| **შედეგების ინდექსი** | **მოსწავლემ უნდა შეძლოს:** | **სამიზნე ცნებები** |
| **ქართ.საშ.1** | ჟანრულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების (მაგ., მთავარი იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟების, მხატვრული ხერხების) ცოდნის გამოყენება წაკითხული ნაწარმოების კრიტიკულად გაანალიზებისა და ინტერპრეტირებისთვის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობის გააზრებისთვის. | **ჟანრი**<br>(ქართ.საშ.1,4,6,7) |
| **ქართ.საშ.2** | ნაწარმოების აღქმა-გააზრება კონტექსტური ფაქტორების (მაგ., ავტორის ბიოგრაფიის, სოციოისტორიულის) ცოდნის გამოყენებით და მისი ინტერპრეტირება როგორც შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის ჭრილში. | **კომპოზიცია**<br>(ქართ.<br>საშ.1,3,4,6,7) |
| **ქართ.საშ.3** | საკუთარი პოზიციისა თუ დამოკიდებულებების წარმოსაჩენად ამა თუ იმ ეპოქასა ან/და კულტურაში შექმნილი ნაწარმოებების გამოყენება მათში ასახულ პრობლემატიკაზე, ფასეულობებსა და შეხედულებებზე მსჯელობის გზით. | **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(ქართ.საშ.4,6,7) |

| | | |
|---|---|---|
| **ქართ.საშ.4** | ამა თუ იმ ეპოქასა ან/და კულტურაში შექმნილი ნაწარმოებების ერთმანეთთან შედარება და მსგავსება-განსხვავებების ანალიზი მათი საერთო მახასიათებლებისა თუ სპეციფიკურობის/ უნიკალურობის გამოსაკვეთად. | **კონტექსტი** (ქართ.საშ.2,5) |
| **ქართ.საშ.5** | ერთსა და იმავე ნაწარმოებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის ერთმანეთთან შედარება ტექსტის განსხვავებული პერსპექტივების/მიდგომების ჭრილში შესაფასებლად. | |
| **ქართ. საშ.6** | სხვადასხვა ფორმატის, ტიპისა და ჟანრის ტექსტების შედგენა ამა თუ იმ მიზნით (მაგ., ტექსტის ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, თვითგამოხატვისთვის, განწყობილებების, შთაბეჭდილებების, ემოციების გადმოსაცემად). | |
| **ქართ.საშ.7** | ტექსტების შედგენისას ჟანრულ-კომპოზიციური და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების (მაგ., მსჯელობითი ტექსტისთვის დამახასიათებელი სტრუქტურის, სინტაქსური კონსტრუქციების, მხატვრული ენის, სტილის ელემენტების) მიზნის შესაბამისად გამოყენება (მაგ., ტექსტის ინტერპრეტირებისას, შემოქმედებითი წერისას). | |

**სავალდებულო თემები**

სავალდებულო (საბაზისო) კურსი მოსწავლეებს სთავაზობს ლიტერატურის შესწავლას ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპის საფუძველზე. ეს გულისხმობს, რომ მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც საუკეთესოდ ასახავენ მათი თანადროული ეპოქების სპეციფიკას, მსოფლმხედველობასა და ესთეტიკურ შეხედულებებს. ამ გზით მოსწავლეები შეიქმნიან წარმოდგენას ქართული ლიტერატურის ძირითად პერიოდებზე და სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობაზე. კერძოდ, მოსწავლეები ლიტერატურულ ნაწარმოებებს გააანალიზებენ მათი შექმნის თანადროული ეპოქის კონტექსტში, ეპოქისა, რომელიც განსაზღვრავდა ძირითად პრობლემატიკას, მსოფლმხედველობრივ პრინციპებს, მორალურ-ეთიკურ თუ ესთეტიკურ ორიენტირებს. მხატვრული ლიტერატურის გარდა, მოსწავლეებს შესაძლებელია შევთავაზოთ ქართველი მწერლების პუბლიცისტური თხზულებები და ესეები, რომლებშიც ასახულია ამა თუ იმ კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელი პრობლემატიკა, იდეები, ესთეტიკური შეხედულებები.

| |
|---|
| **V-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა** |
| **XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა** |
| **XX-XXI საუკუნეების ქართული ლიტერატურა** |

თითოეული სასწავლო თემა ისწავლება ქვეთემების მეშვეობით, რომლებიც განისაზღვრება ლიტერატურის უნივერსალური თემების/მოტივების გათვალისწინებით (მაგ., ცხოვრების საზრისის ძიება, ადამიანი საზოგადოების პირისპირ, სიყვარული, ადამიანის კონფლიქტი ბუნებასთან და მისთ.).

**საკითხავი ლიტერატურა**

საკითხავი მასალის ფარგლებში ცალკე ჯგუფს ქმნის სავალდებულო ნაწარმოებები – ქართული მწერლობის კლასიკოსთა თხზულებები, რომლებმაც მყარად დაიმკვიდრეს ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში და წარმოადგენენ საყრდენ ტექსტებს ცალკეული თემების შესწავლის დროს.

**<u>სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი</u>**

1. იაკობ ხუცესი – „შუშანიკის წამება“;
2. იოანე საბანისძე – „აბოს წამება“ (I-III თავები);
3. გიორგი მერჩულე – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (მითითებული სახით. იხ. დანართი);
   *სულ მცირე, ორი ჰაგიოგრაფიული თხზულება.*
4. შოთა რუსთველი – „ვეფხისტყაოსანი“: „დასაწყისიდან“ „ტარიელის თათბირის“ ჩათვლით; „დასასრული“;
5. სულხან-საბა ორბელიანი – „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“: ლეონის თავგადასავალი;
6. დავით გურამიშვილი – „დავითიანი“: „ქართლის ჭირი“ (ისტორიული ნარატივი);

სწავლა-სწავლების პროცესში სავალდებულო ნაწარმოებებთან ერთად მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ არასავალდებულო ლიტერატურაც – მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და ქვეცნებების გაცნობიერებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში.

ქართული ლიტერატურის გარდა, მოსწავლეებს შესაძლებელია შევთავაზოთ უცხოური ლიტერატურის ნიმუშებიც, რაც დაეხმარება მათ, გაიაზრონ მშობლიური ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში (სხვადასხვა კულტურის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენის გზით).

**სამიზნე ცნებები და ქვეცნებები**

**ჟანრი**

<u>მხატვრული ნაწარმოებები:</u> ლექსი, მოთხრობა, ნოველა, პოემა, რომანი, ეპოსი, დრამატურგიული ნაწარმოებები (კომედია, დრამა, ტრაგედია), ალეგორიული ჟანრის ლიტერატურა (მაგ., იგავ-არაკი), <u>არამხატვრული ნაწარმოებები:</u> ბიოგრაფიული ტექსტები, მემუარული ლიტერატურა; სამეცნიერო (სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული სტატია); საგაზეთო სტატია, სხვადასხვა პერიოდის პუბლიცისტიკა; სხვადასხვა სახის ესე, რეფერატი.

**კომპოზიცია**

*<u>შინაარსობრივი მხარე:</u>*

თემა, დედააზრი/მთავარი იდეა, მთავარი/ძირითადი საკითხი; ქვეტექსტური ინფორმაცია;

ავტორი, პერსონაჟი, ლირიკული გმირი; პერსონაჟთა სახეები; ხედვის კუთხე (ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის);

მონოლოგი, მისი სტრუქტურული და სტილისტური თავისებურებანი; მონოლოგის სახეები;

დიალოგი, პოლილოგი და მათი ფუნქციები;

პეიზაჟი, ინტერიერი და მათი ფუნქციები; განწყობა;

ავტორისეული ჩანართები; ლირიკული გადახვევა;

ტექსტის სტრუქტურული ელემენტები (სათაური, აბზაცი, სტროფი, ტაეპი, თავი, ქვეთავი, პარაგრაფი, ეპიგრაფი);

წინადადებათა გადაბმის სახეები (ჯაჭვური, პარალელური);

მხატვრული კონფლიქტის განვითარების საფეხურები (პროლოგი, ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, მოქმედების განვითარება, კულმინაცია, კვანძის გახსნა, ეპილოგი);

*<u>სტრუქტურა-ორგანიზება:</u>* ტექსტის სტრუქტურული ელემენტები (სათაური, აბზაცი, სტროფი, ტაეპი, ეპიგრაფი, პარაგრაფი, თავი, ქვეთავი); რითმა, მეტრი;

სხვადასხვა სახის საორგანიზაციო ყალიბები (მაგ., შედარება-შეპირისპირება, ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, მიზეზშედეგობრიობა, ახსნა-განმარტებითობა, პრობლემა და მისი გადაწყვეტა).

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**

*ფუნქციური სტილი* – სასაუბრო, მწიგნობრული; სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, პუბლიცისტური, მხატვრული;

*ენობრივი ფიგურები* – ფონოლოგიური ფიგურები (ალიტერაცია, ევფონია), სემანტიკური ფიგურები (მაგ., იდიომები, ევფემიზმი); სტილისტური ფიგურები (ელიფსისი, გამეორება, ანაფორა);

ინტერტექსტუალური მიმართებები და მათი გამოხატვის საშუალებები – ალუზია, ციტატა.

*ენობრივ-გრამატიკული ფორმები* – დროით-სივრცული და ლოგიკური მიმართებების გამომხატველი სინტაქსური კონსტრუქციები თხრობითი, მსჯელობითი და აღწერითი ხასიათის ტექსტებში; ჩართული სიტყვები და გამონათქვამები, ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები, სინონიმური და ანტონიმური ჩანაცვლებები, დამხმარე ზმნების სტრუქტურა და ფუნქციები.

*მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები* – ალეგორია, გაპიროვნება, ეპითეტი, მეტაფორა, შედარება, ჰიპერბოლა, სიმბოლო და სხვ.;

*ლექსიკისა და სტილის საკითხები* – არქაიზმი; სინონიმური და ანტონიმური ჩანაცვლებები; ტავტოლოგია; კალკი, ატროფია; პარონიმები; ბარბარიზმი, ჟარგონი, სლენგი; კლიშე.

*რიტორიკის ელემენტები* – თეზისი, არგუმენტი, კონტრარგუმენტი, რიტორიკული ხერხები (მაგ., რიტორიკული შეკითხვა); რიტორიკული სტილის მახასიათებლები.

*საკომუნიკაციო სიტუაცია* – თემა, მიზანი, აუდიტორია, კომუნიკაციის სახეები, არხები, ფორმები; სოციოკულტურული გარემო.

**კონტექსტი**

*ისტორიული და სოციოკულტურული* – ქართული ლიტერატურის პერიოდები; თხზულების თანადროული ეპოქის ისტორიული ვითარება/ისტორიული რეალიები, საზოგადოებრივი ცხოვრების რეალიები; ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, ღირებულებები; წარმოდგენები სამყაროზე, ადამიანზე, დამოკიდებულებები, შეხედულებები განათლებაზე/სწავლა-აღზრდაზე; მსოფლმხედველობრივი და მორალურ-ეთიკური ორიენტირები; ლიტერატურული მიმდინარეობები.

*ბიოგრაფიული კონტექსტი* – მწერლის ბიოგრაფიის კონკრეტული ფაქტები, მოვლენები, სოციალური გარემო, განათლება, სულიერი გამოცდილება; კულტურათა დიალოგი.

**თემა: V-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა**

**თემის ფარგლებში განიხილება:**

*V-X საუკუნეები* (შესაძლებელია ისწავლებოდეს X კლასის სასწავლო წლის პირველ სემესტრში)

სასულიერო მწერლობა; ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ქვეჟანრები; ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ინტერტექსტუალურობა; ჰაგიოგრაფიული გმირი/პერსონაჟი (გმირის იდეალი); სულიერი ავტორიტეტი; სულიერების, სიწმინდის/წმინდანობის გაგება; დამოკიდებულება ღმერთთან (/„მიბაძვა"), ხსნის გზის ძიება; ჰაგიოგრაფიული თხზულება, როგორც ისტორიული წყარო.

*XII-XVIII საუკუნეები* (შესაძლებელია ისწავლებოდეს X კლასის მეორე სემესტრში)

აზროვნების სეკულარიზაცია და ქართული საერო მწერლობა; ახალი ჟანრები (საგმირო-სამიჯნურო ეპოსი, იგავ-არაკები, ლირიკა, ისტორიული პოემა); ლიტერატურული გმირის/ადამიანის ახალი იდეალი (რენესანსული იდეალები – ადამიანის ფიზიკური და სულიერი ჰარმონიულობა, თავისუფალი არჩევანი); ინტერტექსტუალურობა; თვითშემეცნების გზების ძიება; დამოკიდებულება სამყაროსთან, ცოდნასთან.

სტანდარტის ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით**

**ჟანრი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესწავლა-დამუშავება, ცალკეული ჟანრის დანიშნულებისა და არსობრივი მახასიათებლების განსაზღვრა; მსჯელობა ერთი რომელიმე ჟანრისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებზე;
- სხვადასხვა ჟანრის მახასიათებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე საერთო ან/და განსხვავებული ჟანრული მახასიათებლების განსაზღვრა ამა თუ იმ ჟანრისთვის დამახასიათებელი უნიკალურობის/სპეციფიკურობის წარმოჩენით;
- მსჯელობა იმაზე, თუ რა ურთიერთმიმართებაა ჟანრებს შორის ან/და რა განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული სხვადასხვა ჟანრის ტექსტებში ერთი და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად;
- დასახული ამოცანის შესაბამისი ჟანრის შერჩევა და შესაბამისი ჟანრული მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებული გამოყენება.

**კომპოზიცია –** მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნაწარმოების გაანალიზება კომპოზიციის ელემენტებზე დაკვირვების მეშვეობით, მსჯელობა კომპოზიციის ელემენტებზე მათი ურთიერთკავშირის წარმოჩენით;
- ტექსტების შედარება კომპოზიციის ელემენტების კუთხით, მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა, მსჯელობა, ინტერპრეტირება სხვადასხვა პერსპექტივიდან და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ავტორის პოზიციისა და იმის შესახებ, როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში;
- ტექსტების შედგენისას კომპოზიციის ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად წარმოჩენა მთლიან ტექსტში.

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების რაობისა და ფუნქციის განსაზღვრა (მაგ., განწყობის, ემოციური ფონის შექმნა; მკითხველზე შთაბეჭდილების, ზეგავლენის მოხდენა);
- მსჯელობა პოეტური ნაწარმოების რიტმზე, ბგერწერით ეფექტებზე (მაგ., ასონანსზე, ალიტერაციაზე, რითმაზე);
- ტექსტებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების შეფასება მათი ეფექტიანობის, მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით.
- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, მათ შორის გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების ადეკვატური გამოყენება სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულის ინტერპრეტირების, შეფასების, საკუთარი პოზიციის წარმოჩენის, თვითგამოხატვის);

- ენის, როგორც აზრის გამოხატვის ინსტრუმენტის მიზანმიმართული გამოყენება;
- საკომუნიკაციო ფაქტორების (მაგ., თემის, აუდიტორიის, კომუნიკაციის არხის) გათვალისწინებით ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა-გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად;
- ქართული სალიტერატურო ენის, მართლწერისა და მართლმეტყველების ნორმების, პუნქტუაციის წესების დაცვა.

**კონტექსტი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტში კონტექსტური ფაქტორების განსაზღვრა, მსჯელობა კონტექსტის (მაგ., ავტორის სულიერი თუ ცხოვრებისეულ გამოცდილებისა) და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე;
- მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის გააზრება ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად და როგორაა ასახული კონტექსტური ფაქტორები სხვადასხვა ტე-ქსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი დრო-სივრცითი ფაქტორების ცვლილებამ;
- ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებში ასახული მსგავსი თემების, იდეე-ბის, პრობლემების ინტერპრეტაციის ურთიერთშედარება, მსჯელობა მსგავსება-განსხვავებაზე და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ტექსტზე, მისი შეფასება თანამედროვეობის გადასახედიდან.

# თემატური მატრიცები სახელმძღვანელოსთვის

ამ თავში წარმოდგენილია თემატური მატრიცები, სახელმძღვანელოს თითოეულ თავზე თითო მატრიცაა, რომელიც მოიცავს თავში შემავალ ყველა ტექსტს.
მატრიცებში შეტანილია მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული ყველა აქტივობა და კომპლექსური დავალება, რომლებიც აუცილებელია სამიზნე ცნებების დასაფარად.

**მატრიცის სტრუქტურა**

მატრიცის პირველ სვეტში მოცემულია ქართულის საგნობრივი სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენე-ბი. სახელმძღვანელოში შეტანილი კომპლექსური დავალებების უმეტესობა პოლიცნებურია. უკეთ ორიენ-ტირებისთვის დავალებები ჩავსვით სახელმძღვანელოს მიმდევრობის მიხედვით.

შუა ნაწილი ეთმობა სახელმძღვანელოდან გადმოტანილ აქტივობებს, რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება და ამზადებს მოსწავლეს, მოცემული კომპლექსური დავალება დამოუკიდებლად შეასრულოს. თითოეულ ტექსტს ახლავს ერთი ან მეტი კომპლექსური დავალება და რამდენიმე აქტივობა. რუბრიკა **„ტექსტის გასააზრებლად“** არა მხოლოდ კითხვებს მოიცავს, არამედ მცირე აქტივობებსაც და ის ეხმარება მოსწავლეს ტექსტის სიღრმისეულად დამუშავებაში. მატრიცაში მითითებულია ამ რუბრიკის გვერდები.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ორი სისტემური სახის რუბრიკა **„კრიტიკული აზროვნებისთვის“** და **„ლექსიკაზე მუშაობა“, რომელიც** ხელს უწყობს ტექსტის სიღრმისეულად გააზრებას, ლექსიკაზე სათანა-დოდ დაკვირვებასა და რაც მთავარია, საგნობრივი ცნებების გაცნობიერებას.
განსხვავებული ფუნქცია აქვს რუბრიკას **„გაიფართოვე თვალსაწიერი“**, ის ეხმარება მოსწავლეს საგნო-ბრივი სამიზნე ცნებების, კომპოზიციისა (თემა, იდეა, პერსონაჟი) და კონტექსტის (ნაწარმოების შექმნის ეპოქა, ავტორი) გააზრებაში.
ძალიან საჭირო რუბრიკაა **„ლიტერატურის თეორია“**. ამ რუბრიკაში მოქცეული საკითხები ეხმარება მოს-წავლეს ტექსტის კონკრეტული მონაკვეთისა და სამიზნე ცნებების სიღრმისეულ გააზრებაში თანდართული სავარჯიშოების დახმარებით. ის აძლევს აუცილებელ თეორიულ ცოდნას, რომელიც, ზოგადად, ნაწარმოე-ბის სწორად აღქმა-გაანალიზებისთვის სჭირდება.
აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსწავლის წიგნში სისტემურადაა მოცემული ენობრივ-გრამატიკული ნაწილი **„ენის სამყარო“**, რომელიც წინა კლასებში შესწავლილი საკითხების ერთგვარი გამეორება-გააქტიურებაა. საშუალო საფეხურის სტანდარტში ცნება გრამატიკა ცალკე არ არის, თუმცა შევიტანეთ ისეთი კომპლექ-სური დავალებებიც, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება, დააკვირდეს მწერლის ენას და რიგ გრამატიკულ საკითხებში დაინახოს განსხვავება ძველსა და ახალ ქართულს შორის.

# III თავი – სიბრძნის წიგნი „ვეფხისტყაოსანი“

| |
|---|
| **ტექსტი: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ თემა: სიბრძნის წიგნი „ვეფხისტყაოსანი“**<br>**ქვეთემები:** |
| **VI ქვეთავი**<br>**„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ – მეგობრობა და პასუხისმგებლობა**<br>1. ამბავი ნურადინ-ფრიდონისა, ოდეს ტარიელს შეეყარა<br>2. შველა ტარიელისაგან ფრიდონისა<br>3. ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა<br>4. ამბავი ავთანდილისა არაბეთს შექცევისა<br>5. დათხოვა ავთანდილისა როსტევან მეფესთანა და ვაზირის საუბარი<br>6. ავთანდილისაგან შერმადინის საუბარი<br>7. ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე, ოდეს გაიპარა<br>8. ლოცვა ავთანდილისა<br>9. ცნობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა<br>10. წასვლა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ<br>11. პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა<br>12. მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცვისა<br>13. აქა ტარიელისაგან და ავთანდილისაგან ქვაბს მისვლა და ასმათის ნახვა<br><br>**VII ქვეთავი**<br>**„გულანშაროს ქალაქი, სავსე ტურფითა მრავლითა“ – განსხვავებული სამყარო – გამოცდისა და ახლის გაგების ადგილი**<br>1. წასვლა ავთანდილისა ფრიდონისასა<br>2. ავთანდილისაგან ფრიდონისას მისვლა, ტარიელს რომ გაეყარა<br>3. წასვლა ავთანდილისაგან ნესტან-დარეჯანის საძებრად და ქარავანთა შეყრა<br>4. ამბავი ავთანდილისა გულანშაროს მისლვისა<br>5. ფატმანისაგან ავთანდილის გამიჯნურება<br>6. წიგნი ფატმანისა ავთანდილთანა სამიჯნურო<br>7. წიგნი ავთანდილისა ფატმანის პასუხად მიწერილი<br>8. ფატმანისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა<br>9. ამბავი ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან შეპყრობისა |

VIII ქვეთავი

**„მზემან მეტი რაღა გიყოს, აჰა, ბნელი გაგითენე“ –**
**იმედი – ხელახლა დაბადების საწინდარი**

1. წიგნი ფატმანისა ნესტან-დარეჯანის წინაშე მიწერილი
2. წიგნი ნესტან-დარეჯანისა ფატმანთანა
3. წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა
4. წიგნი ავთანდილისა ფრიდონთან მიწერილი
5. წასვლა ავთანდილისა გულანშაროთ და ტარიელის შეყრა
6. ტარიელისა და ავთანდილისაგან წასვლა ფრიდონისა
7. თათბირი ფრიდონისა
8. თათბირი ავთანდილისა
9. თათბირი ტარიელისა
10. დასასრული

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

- რა არსებითი სხვაობაა საერო და სასულიერო ლიტერატურას შორის?
- როგორი პერსონაჟების წარმოშობა განაპირობა აზროვნების სეკულარიზაციამ?
- როგორ უნდა ამოვიცნოთ რენესანსული პასაჟები?
- როგორია სამყაროს შეცნობის გზები XII საუკუნის საერო ლიტერატურის პერსონაჟებისთვის? რა თვისებებს ავლენენ რაინდები?
- რამდენად და როგორ უპასუხებს XII საუკუნის ტექსტი კითხვებს, რომლებიც ჩნდება თანამედროვე სამყაროში ზნეობრივ საკითხებთან კავშირებით?

**ქვეთემების საკვანძო კითხვები:**

- რა პასუხისმგებლობას გულისხმობს მეგობრობა? როგორ ავლენენ ადამიანების დამეგობრების სურვილს?
- როგორ შეიძლება ამოვიცნოთ ნამდვილი სიყვარული?
- რამდენად ცვლის/არ ცვლის ადამიანს სიყვარული და რატომ?
- რა მიმართებაა სიყვარულსა და მსხვერპლის გაღებას/სხვის მსახურებას შორის?
- როგორ უპირისპირდება რაინდული სამყარო განსხვავებულ (ვაჭართა) სამყაროს? რა თვისებებს ავლენენ რაინდები განსხვავებულ სოციალურ-კულტურულ სივრცეში? რამდენად იცვლება მათი მორალური ღირებულებები?
- რა მორალური ღირებულებების მატარებელნი არიან „არარაინდული“ სამყაროს მკვიდრები და რითაა განპირობებული ეს?
- რამდენად ავლენენ რენესანსული სამყაროს მკვიდრებო ოპტიმიზმს? რატომ? ზოგადად რა როლი აქვს იმედს ადამიანის ცხოვრებაში?
- რამდენად უპასუხებს XII საუკუნის ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს მეგობრობასთან, პასუხისმგებლობასთან, სამართლიანობასთან და განსხვავებულ სამყაროთა ურთიერთობასთან დაკავშირებით?

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**

- XII საუკუნიდან მოყოლებული წარმოიშვა ახალი ლიტერატურული ჟანრები (საგმირო-სამიჯნურო ეპოსი, იგავ-არაკები, ლირიკა, ისტორიული პოემა), აზროვნების სეკულარიზაციასთან ერთად დაიბადა ლიტერატურული გმირის/ადამიანის ახალი სახე, რომლისთვისაც დამახასიათებელია რენესანსული იდეალები – ფიზიკური და სულიერი ჰარმონიულობა, თავისუფალი არჩევანის ნების ქონა.
- ლიტერატურული გმირის/ადამიანის ახალი იდეალს აქვს ინდივიდუალური თვისებები, მისთვის სამყარო წარმოადგენს შესწავლის ობიექტს, რისთვისაც ეძიებს საჭირო ცოდნას.

| კომპლექსური დავალებები (დასახელება) | სამიზნე ცნებები და ქვეცნებები | საკითხები | საკვანძო შეკითხვები |
|---|---|---|---|
| **1. ელექტრონული გაზეთი** | **ჟანრი**<br>საგაზეთო სტატია<br>**კომპოზიცია**<br>თემა, იდეა, პრობლემა და მისი გადაჭრის გზები, მთავარი/ძირითადი, პერსონაჟი და მისი შეხედულებები, დამოკიდებულებები, ხედვის კუთხე; ტექსტის სტრუქტურული ელემენტები.<br>**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>*ფუნქციური სტილი* – პუბლიცისტური;<br>*საკომუნიკაციო სიტუაცია* – თემა, მიზანი, აუდიტორია; | „ვეფხისტყაოსნის“ კონკრეტული თავების მიხედვით ელექტრონული გაზეთის შექმნა. | • როგორ ავაგო ელექტრონული გაზეთის რუბრიკები?<br>• როგორ გამოვიყენო პუბლიცისტური სტილი?<br>• როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები სხვადასხვა რუბრიკაზე სამუშაოდ? |
| **2. ანალიტიკური ესე** | **ჟანრი**<br>ანალიტიკური ესე;<br>**კომპოზიცია**<br>თემა, მოქმედების დრო და ადგილი, პერსონაჟთა სახეები;<br>**კონტექსტი**<br>ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, ღირებულებები; დამოკიდებულებები ადამიანებს შორის (პერსონაჟებს შორის), მორალურ-ეთიკური ორიენტირები;<br>**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>თეზისი, არგუმენტები | „ვეფხისტყაოსნის“ კონკრეტული თავების მიხედვით ანალიტიკური ესეს დაწერა სათაურით: „გულანშარო – უჩვეულო გარემო, განსხვავებული პერსონაჟები და ზნეობრივი ღირებულებები“ | • როგორ ავაგო ანალიტიკური ესე?<br>• როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები კონკრეტულ თემაზე არგუმენტირებული მსჯელობისთვის?<br>• როგორ წარმოვაჩინო და დავასაბუთო ჩემი მოსაზრებები გულანშაროსა და რაინდული სამყაროს მიმართების შესახებ? |
| **3. რეფერატი** | **ჟანრი** – რეფერატი და მისი სტრუქტურა<br>**კომპოზიცია**<br>თემა, იდეა; ავტორი, პერსონაჟთა სახეები;<br>ტექსტის სტრუქტურული ელემენტები;<br>**ენობრივ-გამომსახველობითი**<br>სამეცნიერო სტილი, არგუმენტები, ციტატები | „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით არჩეულ თემაზე რეფერატის დაწერა. | • როგორ, რა პრინციპებზე დაყრდნობით შევარჩიო თემა რეფერატისთვის?<br>• როგორ ავაგო რეფერატი? რა სტრუქტურული მახასიათებლები გავითვალისწინო?<br>• როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები არჩეულ თემაზე სამუშაოდ? |
| **4. მწერლის ენაზე დაკვირვება – ანალიზის დაწერა** | **ენობრივ-გამომსახველობითი** – ტროპის სახეები, ზმნისწინი და მისი ფუნქციები, ტმესი. | „ვეფხისტყაოსნის“ კონკრეტული ამონარიდის მიხედვით მწერლის ენაზე დაკვირვება, ზმნისწინთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა და ანალიზის დაწერა. | • როგორ გავაანალიზო მწერლის მიერ გამოყენებული ტროპის სახეები?<br>• როგორ გამოვიყენო მწერლის ენაზე დასაკვირვებლად შესწავლილი გრამატიკული საკითხები? |

<table>
<tr>
<td rowspan="2">გრძელვადიანი მიზნები<br><br>სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td colspan="3">VI ქვეთავი<br><br>„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ – მეგობრობა და პასუხისმგებლობა</td>
</tr>
<tr>
<td>საკითხი:<br><br>„ვეფხისტყაოსნის“ კონკრეტული თავების მიხედვით ელექტრონული გაზეთის შექმნა.<br><br>ჟანრი<br>საგაზეთო სტატია<br>კომპოზიცია<br>თემა, იდეა, პრობლემა და მისი გადაჭრის გზები, მთავარი/ძირითადი, პერსონაჟი და მისი შეხედულებები, დამოკიდებულებები, ხედვის კუთხე; ტექსტის სტრუქტურული ელემენტები.<br><br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br><u>ფუნქციური სტილი</u><br>პუბლიცისტური; თეზისი, არგუმენტი<br><u>საკომუნიკაციო სიტუაცია</u><br>– თემა, მიზანი;</td>
<td>საკვანძო შეკითხვები<br>• როგორ ავაგო ელექტრონული გაზეთის რუბრიკები?<br>• როგორ გამოვიყენო პუბლიცისტური სტილი?<br>• როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები სხვადასხვა რუბრიკაზე სამუშაოდ?</td>
<td>შუალედური სასწავლო მიზანი<br><br>კომპლექსური დავალების პირობა</td>
</tr>
<tr>
<td>1) ჟანრი (ქართ.საშ.1,4,6,7)<br><br>1. ერთი ჟანრის ტე ქსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანი ზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახა სიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.<br><br>2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე<br>(ქართ.საშ.1,3,4,6,7)<br><br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):<br><br>I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა<br>• როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?<br>• რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?<br>• სახელმძღვანელოში მოცემული რომელი რუბრიკები თუ აქტივობები დაგჭირდებათ დავალების შესრულებისას?<br>• გაზეთის რომელი რუბრიკებია თქვენთვის ნაცნობი?<br>• კედლის გაზეთი თუ შეგიქმნიათ წინა კლასებში? თუ კი, რა მახასიათებლებს გამოყოფდი?<br>• როგორი სტრუქტურა უნდა ჰქონდეს გაზეთს?<br>• როგორ ფიქრობთ, ტექსტიდან ამოკითხული რა ტიპის ინფორმაცია შეიძლება აქციოთ გაზეთში ახალი ამბების რუბრიკად?<br>• თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? რის შესწავლა დაგჭირდება/რაში დაგჭირდებათ დახმარება?<br><br>II ეტაპი. კომპლექსური დავალების განხორციელება<br><br>რესურსები/აქტივობები:<br><br>აქტივობა 1. ტექსტის გააზრებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში „ტექსტის გასააზრებლად“ (გვ.10-11).<br><br>აქტივობა 2. მუშაობა რუბრიკაზე „კრიტიკული აზროვნებისთვის“ – ამ რუბრიკის დახმარებით მოსწავლეები დაუკვირდებიან პერსონაჟთა სახეებს, ყურადღებას გაამახვილებენ რამდენიმე  მახასიათებელზე.<br><br>აქტივობა 3. ცხოვრებისეული გამოცდილება – დაკვირვება საკუთარ თავსა და პერსონაჟებზე (დაფიქრდი,</td>
<td>ელექტრონული გაზეთი<br><br>აირჩიეთ სახელმძღვანელოს ამ ნაწილში შესული თავებიდან თქვენთვის სასურველი მონაკვეთები და მათზე დაყრდნობით შექმენით ელექტრონული გაზეთი.<br><br>გთავაზობთ შემდეგ რუბრიკებს:<br>1. რედაქტორის სვეტი;<br>2. ახალი ამბები;<br>3. ნომრის სტუმარი (პერსონაჟის თვალთახედვა);<br>4. მკითხველის ბლოგი;<br>5. სალაღობო გვერდი.<br><br>1. რედაქტორის სვეტი<br>წარმოიდგინეთ, რომ ხართ გაზეთის რედაქტორი. ამოირჩიეთ ნებისმიერი პრობლემა, რომელიც დაინახეთ შერჩეულ მონაკვეთში და ისაუბრეთ მასზე. რედაქტორის სვეტში ყოველთვის სუბიექტური მიმართება, თვალსაზრისი, პოზიცია, მოსაზრებაა გაცხადებული. ავტორი მიმართავს მკითხველს და უზიარებს მას სათქმელს.</td>
</tr>
</table>

- ლექსში – თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტურულორგანიზაციული ელემენტების – მეტრის, რითმის;

პოემაში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ ორგანიზაციული ელემენტების – მეტრისა და რითმის;• მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულორგანი ზაციული ელემენტების;

- არამხატვრულ ტე ქსტებში – იდეების/ საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულორგანი ზაციული ელემენტების;

2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით.

3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/ მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის.

4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე სტრუქტურულორგანი ზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია, დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.

დაწყვილდი, გაუზიარე) მოსწავლეები ჯერ აკვირდებიან, თვითონ როგორ იქცევიან კრიტიკულ სიტუაციაში. თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილების გააქტიურების შემდეგ შემდეგ მსჯელობენ პერსონაჟებზე, ფიქრობენ მათთვის საჭირო რჩევებზე.

**აქტივობა 4.** პერსონაჟის ემოციები.

მოსწავლე საუბრობს ტარიელზე, მის ემოციურ მდგომარეობასა და არჩევანზე რთულ სიტუაციაში:

**აქტივობა 5.** პერსონაჟი კრიტიკულ სიტუაციაში.

ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლე დააკვირდეს ავთანდილის ქმედებას, გაიაზროს ცნება „ცნობიერთა დასტაქარი“, განმარტოს კონკრეტული არგუმენტების მიხედვით.

**აქტივობა 6.** პერსონაჟის შეხედულებები და დამოკიდებულებები – ავთანდილის ქცევის კოდექსი.

ამ აქტივობით მოსწავლეები უღრმავდებიან „ავთანდილის ანდერძს“, როგორც უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს, სადაც ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის შეხედულებებია თავმოყრილი.

**აქტივობა 7.** მუშაობა რუბრიკაზე „გაიფართოვე თვალსაწიერი“: რაინდობის წარმოშობა და რაინდის კოდექსი.

ეს აქტივობით მოსწავლეები გაიგებენ რაინდობის ფენომენის შესახებ და იმსჯელებენ, რამდენად ვლინდება ის „ვეფხისტყაოსანში“.

**აქტივობა 8.** ანალიტიკური კომენტარი. – სახელმძღვანელოში მოცემული ამონარიდების დახმარებით მოსწავლე კიდევ ერთხელ დაფიქრდება მეგობრობის თემაზე (რომელიც ქვეთავის განმსაზღვრელია).

**აქტივობა 9.** რუბრიკის „ჩვენ გირჩევთ“ დახმარებით სამუშაოს გადანაწილებაზე, გაზეთის სტილზე, ფორმატსა და თემატიკაზე მუშაობა, კომპლექსურის შექმნის სტრატეგიების განსაზღვრა. იხ. რედაქტორის სვეტის ნიმუში https://cutt.ly/4VMnhLS

რედაქტორის სვეტი, შესაძლოა, ელექტრონული გაზეთის შესავალ სიტყვასაც მოიცავდეს, სადაც რედაქტორი მიმოიხილავს გამოცემის მთავარ საკითხებს, წარმოდგენას უქმნის მკითხველს იმაზე, თუ რის წაკითხვა ელის მას.

**ნამუშევარში**

- ისაუბრეთ პრობლემის არსზე და გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება კონკრეტული საკითხის მიმართ (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი);
- დასახეთ პრობლემის გადაჭრის თქვენეული გზა (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი);
- პრობლემის ანალიზისას გამოავლინეთ ტექსტის ცოდნა (კომპოზიცია);
- მკაფიოდ წარმოაჩინეთ ნაშრომის თემა, მიზანი (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი).

**ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:**

- ტექსტში არსებული რომელი მინიშნებები გაითვალისწინეთ პრობლემის არსის ასახსნელად?
- რამდენად მკაფიოდ წარმოაჩინეთ ნაშრომის თემა და მიზანი?

2. ახალი ამბები

მოამზადეთ საინფორმაციო ცნობები შერჩეული მონაკვეთის მიხედვით. გაითვალისწინეთ მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.

**ნაშრომში**

- შეარჩიეთ შესაბამისი ენობრივი სტილი (ჟანრი, ენობრივ-გამომსახველობითი);
- დაარქვით მყვირალა, თვალშისაცემი სათაური (ჟანრი, კომპოზიცია);
- გამოავლინეთ ტექსტის ცოდნა (კომპოზიცია).

**ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:**

- რატომ არის თქვენ მიერ დაწერილი ტექსტი საინფორმაციო?
- რომელი მინიშნებები გამოიყენეთ ნაწარმოებიდან საინფორმაციო ტექსტის შესაქმნელად?

**3. ნომრის სტუმარი – პერსონაჟის თვალთახედვა**

წარმოიდგინეთ თავი ერთ-ერთი პერსონაჟის ადგილას, აირჩიეთ პრობლემა და ისაუბრეთ მასზე პერსონაჟის თვალთახედვიდან.

**აქტივობა 10.** უშუალოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.

- იდეების წამოყენება მოსამზადებელ დავალებასთან დაკავშირებით;
- პირველადი ვერსიის შექმნა;
- საბოლოო ვერსიის მომზადება;
- დავალების წარდგენა, უკუკავშირის მიღება.

**კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):**

- აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით? რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებიათ?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრიტე რიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყოთ წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?
- თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებ დით მიღწევებს/როგორ მიაღწევთ უკეთეს შედეგს?

**შენიშვნა:** ამ ქვეთავში დამუშავებული საკითხების უკეთ დასამუშავებლად იხილეთ დამატებითი მასალა მასწავლებლის წიგნის დანართში, გვ. 58-59.

**ნაშრომში:**

- გაითვალისწინეთ პერსონაჟის ხასიათი, შეხედულებები, დამოკიდებულებები (კომპოზიცია);
- გამოკვეთეთ პრობლემა, მისი წარმოქმნის მიზეზები და შედეგები (კომპოზიცია);
- წარმოაჩინეთ პრობლემის გადაჭრის გზა პერსონაჟის მსოფლმხედველობის გათვალისწინებით (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი);
- წარმოაჩინეთ ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის ცოდნა (კომპოზიცია);
- შეარჩიეთ შესაბამისი მეტყველების სტილი (ჟანრი, ენობრივ-გამომსახველობითი).

**დავალების წარდგენის შემდეგ ისაუბრეთ:**

- რა პრინციპით აირჩიეთ პერსონაჟი და პრობლემა?
- რა მინიშნებებს დაეყრდენით პერსონაჟის პოზიციის გამოკვეთისას;
- რა კავშირია პერსონაჟს, ნაწარმოებსა და შერჩეულ პრობლემას შორის.

**4. მკითხველის ბლოგი**

შექმენით საგაზეთო ბლოგი: როგორი შთაბეჭდილება დატოვა წაკითხულმა?

**ნამუშევარში წარმოაჩინეთ:**

- თქვენი ემოციები და შთაბეჭდილებები წაკითხულთან დაკავშირებით (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი);
- ერთი ეპიზოდის ანალიზი, რომელიც განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა თქვენთვის (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი);
- ნაწარმოების აქტუალობა 21-ე საუკუნის გადმოსახედიდან (კომპოზიცია, კონტექსტი);
- ის დადებითი მხარეები, რომელთა გამოც თქვენს თანატოლებს ურჩევდით წაკითხვას (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი).

**ნამუშევრის წარდგენის შემდეგ ისაუბრეთ:**

- რა პრინციპებით იხელმძღვანელეთ ეპიზოდის შერჩევისას?
- რა ხერხებით შეძელით ნაწარმოებთან დაკავშირებული თქვენი განცდებისა და ფიქრების გადმოცემა?
- რა ფაქტორებით განსაზღვრეთ ნაწარმოების აქტუალობა?
- როგორ ფიქრობთ, შეძელით თუ არა ნაწარმოებთან დაკავშირებული თქვენი განცდებისა და ფიქრების სრულყოფილად გადმოცემა?

<table>
<tr>
<td></td>
<td></td>
<td>5. სალაღობო გვერდი<br>წარმოიდგინეთ, რომ ხართ გაზეთის კარიკატურისტი, აირჩიეთ თქვენთვის საინტერესო პერსონაჟი, ამბავი, აფორიზმი და შექმენით მიმი/ვიდეო/კომიქსი/კარიკატურა...<br><br>ნაშრომში:<br>• გაითვალისწინეთ კონკრეტული ეპიზოდის/პერსონაჟის მახასიათებლები (კომპოზიცია);<br>• ეცადეთ, წარმოაჩინოთ თქვენი დამოკიდებულება შემოქმედებითად და მახვილგონივრულად (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი).<br><br>ნამუშევრის წარდგენის შემდეგ ისაუბრეთ:<br>• რატომ შეარჩიეთ ნაშრომისთვის კონკრეტული ფორმა (მიმი, ვიდეო, კომიქსი, კარიკატურა)<br>• რამდენად მარტივი აღმოჩნდა დავალება.</td>
</tr>
</table>

<table>
<tr>
<td rowspan="2">1) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (ქართ.საშ.4,6,7)<br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს,გამოცდილებას, დამოკ იდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br>4) კონტექსტი (ქართ.საშ.2,5)<br>1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.<br>2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა</td>
<td colspan="3">VII ქვეთავი<br>„გულანშაროს ქალაქი, სავსე ტურფითა მრავლითა“ – განსხვავებული სამყარო – გამოცდისა და ახლის გაგების ადგილი</td>
</tr>
<tr>
<td>საკითხი<br>„ვეფხისტყაოსნის“ კონკრეტული თავების მიხედვით ანალიტიკური ესეს დაწერა სათაურით: „გულანშარო – უჩვეულო გარემო, განსხვავებული პერსონაჟები და ზნეობრივი ღირებულებები“.<br>ჟანრი<br>ანალიტიკური ესე;<br>კომპოზიცია<br>თემა, მოქმედების დრო და ადგილი, პერსონაჟთა სახეები;<br>კონტექსტი<br>ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, ღირებულებები; დამოკიდებულებები ადამიანებს შორის (პერსონაჟებს შორის), მორალურ-ეთიკური ორიენტირები;<br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>თეზისი, არგუმენტები, ციტირება</td>
<td>საკვანძო შეკითხვები<br>• როგორ ავაგო ანალიტიკური ესე?<br>• როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები კონკრეტულ თემაზე არგუმენტირებული მსჯელობისთვის?<br>• როგორ წარმოვაჩინო და დავასაბუთო ჩემი მოსაზრებები გულანშაროსა და რაინდული სამყაროს მიმართების შესახებ?</td>
<td>შუალედური სასწავლო მიზანი<br><br>კომპლექსური დავალების პირობა</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.<br><br>3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალ მხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად. | **კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები**<br>**(რესურსები, აქტივობები):**<br>**I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა**<br>**ნაბიჯი 1**.<br>• როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?<br>• რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?<br>• თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? რის შესწავლა დაგჭირდებათ/რაში დაგჭირდებათ დახმარება?<br>• რა ფუნქცია აქვს მხატვრულ ნაწარმოებში მოქმედების დროსა და ადგილს?<br>• რა ნიუანსებით უნდა ამოიცნოს მკითხველმა?<br>• ვეფხისტყაოსანში“ როგორაა ეს ცნებები წარმოჩენი**ლი?**<br><br>**II ეტაპი: კომპლექსური დავალების განხორციელება**<br>**რესურსები/აქტივობები:**<br>**აქტივობა 1.** ტექსტის გააზრებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში „ტექსტის გასააზრებლად“ (გვ. 27-28).<br><br>**აქტივობა 2**. მუშაობა რუბრიკაზე „კრიტიკული აზროვნებისთვის“. ამ რუბრიკის მეშვეობით მოსწავლეები იმსჯელებენ ავთანდილზე, გაანალიზებენ მის მიერ მეკობრეების დამარცხების ეპიზოდსა და ფატმანთან გამიჯნურებაზე.<br><br>**აქტივობა 3.** მუშაობა რუბრიკაზე „ლიტერატურის თეორია“ – ვარჯიში დეტალებზე დაკვირვებასა და მათი ფუნქციის გააზრებაზე.<br><br>**აქტივობა 4.** ერთი ეპიზოდის ინტერპრეტაცია (ლიტერატორთა ანალიტიკურ კომენტარებზე მსჯელობა)<br><br>**აქტივობა 5.** პოეტური ტექსტის ვიზუალიზაცია (ტექსტის მინიშნებებზე დაყრდნობით ილუსტრაციებზე მსჯელობა) | **ანალიტიკური ესე**<br><br>დაწერე ანალიტიკური ესე სათაურით: „გულანშარო – უჩვეულო გარემო, განსხვავებული პერსონაჟები და ზნეობრივი ღირებულებები“, რომელშიც განიხილავ გულანშაროს, როგორც სიუჟეტის განვითარების სივრცეს, სხვადასხვა კუთხით.<br><br>**ნამუშევარში:**<br>• იმსჯელე გულანშაროში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებსა და მათ ფუნქციებზე (კომპოზიცია);<br>• დაახასიათე ვაჭართა ქალაქის მცხოვრებლები, განიხილე მათი ცხოვრების წესი და სულიერი ფასეულობები (კომპოზიცია);<br>• ახსენი, რამდენად ჩანს ავტორის დამოკიდებულება ამ განსხვავებული სამყაროს მიმართ (კომპოზიცია);<br>• შეადარე რაინდთა (არაბეთი, ინდოეთი) და ვაჭართა სამყაროები ერთმანეთს.<br>• ხაზი გაუსვი მსგავსება-განსხვავებებს. (კომპოზიცია, კონტექსტი)<br>• დაიცავი ესეს სამნაწილიანი სტრუქტურა (ჟანრი);<br>• იმსჯელე არგუმენტირებულად, დაიმოწმე ციტატები (ენობრივ-გამომსახველობითი)<br><br>**ნამუშევრის წარდგენის შემდეგ ისაუბრე:**<br>• რატომ მიიჩნევ, რომ შენი ნაშრომი ანალიტიკური ესეა;<br>• რომელ მინიშნებებს დაეყრდენი ტექსტიდან?<br>• პერსონაჟთა რომელი მახასიათებლები აიღე განსახილველად?<br>• რამდენად დაგეხმარა ესეზე მუშაობა პოემაში წარმოჩენილი ახალი სამყაროს უკეთ აღქმაში? |

**აქტივობა 6.** მხატვრული სახეები ვეფხისტყაოსანში. ამ აქტივობის საშუალებით მოსწავლეები იმუშავებენ პერსონაჟებსა და ტროპის სახეებზე.

**აქტივობა 7.** საინფორმაციო ტრიპლეტი ზღვათა სამეფოს შესახებ. აქტივობის დახმარებით მოსწავლეები ყურადღებას გაამახვილებენ იმ დეტალებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია მოქმედების ადგილის სრულყოფილად წარმოდგენისთვის.

**აქტივობა 8.** პერსონაჟზე დაკვირვების სქემაზე მუშაობა:

**ფატმანი**

| ფიქრი | სხვათა დამოკიდებულება | მიზანი | მსგავსება-განსხვავება |
|---|---|---|---|
| რაზე ფიქრობს?<br>რა აზრები აქვს? | რას ფიქრობენ სხვა პერსონაჟები მასზე?<br>როგორია მათი დამოკიდებულება? | რა სურს?<br>რა მიზანი აქვს? | რით ჰგავს თინათინსა თუ ნესტანს?<br>რომელი თვისებები და შეხედულებები გამოარჩევს მათგან? |

**ფატმანის შესახებ დამატებითი საკითხავი იხ. მასწავლებლის წიგნის დანართი გვ. 59-60**

**აქტივობა 9.** ანალიტიკური კომენტარი. ამ აქტივობის საშუალებით მოსწავლეები მუშაობენ ზღვათა სამეფოს პერსონაჟებზე, აფასებენ მათ.

**აქტივობა 10.** გულანშარო – შთაგონების წყარო XX საუკუნის პოეტისთვის. მოსწავლეები წაიკითხავენ შ. ჩანტლაძის ლექსს და იმსჯელებენ, როგორია XX საუკუნის პოეტის თვალით დანახული გულანშარო.

**აქტივობა 9.** რუბრიკის „ჩვენ გირჩევთ“ დახმარებით მუშაობა ესეს სტრუქტურასა და წერის სტრატეგიებზე.

**აქტივობა 10.** უშუალოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.

- იდეების წამოყენება მოსამზადებელ დავალებასთან დაკავშირებით;
- პირველადი ვერსიის შექმნა;
- საბოლოო ვერსიის მომზადება;
- დავალების წარდგენა, უკუკავშირის მიღება.

**კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):**

- აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით? რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებიათ?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყოთ წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?
- თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?

**VIII ქვეთავი**

„მზემან მეტი რაღა გიყოს, აჰა, ბნელი გაგითენე“ – იმედი – ხელახლა დაბადების საწინდარი

| საკითხი | საკვანძო კითხვები: | შუალედური სასწავლო მიზანი |
|---|---|---|
| „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით არჩეულ თემაზე რეფერატის დაწერა.<br>**ჟანრი** – რეფერატი და მისი სტრუქტურა<br>**კომპოზიცია**<br>თემა, იდეა; ავტორი, პერსონაჟთა სახეები; ტექსტის სტრუქტურული ელემენტები;<br>**ენობრივ-გამომსახველობითი** სამეცნიერო სტილი, არგუმენტები, ციტატები. | • როგორ, რა პრინციპებზე დაყრდნობით შევარჩიო თემა რეფერატისთვის?<br>• როგორ ავაგო რეფერატი? რა სტრუქტურული მახასიათებლები გავითვალისწინო?<br>• როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები არჩეულ თემაზე სამუშაოდ? | **კომპლექსური დავალების პირობა** |

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):**

**I ეტაპი:** კომპლექსური დავალების გაცნობა

**ნაბიჯი 1.**

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? რის შესწავლა დაგჭირდებათ/რაში დაგჭირდებათ დახმარება?
- პოემის შესწავლისას დამუშავებულ რომელ თემებს გამოჰყოფდით, რომლებსაც სიამოვნებით ჩაუღრმავდებოდით?
- როგორ ფიქრობთ, რას უნდა მიაქციოთ ყურადღება რეფერატის თემის არჩევისას?

**II ეტაპი: კომპლექსური დავალების განხორციელება რესურსები/აქტივობები:**

**აქტივობა 1.** ტექსტის გააზრებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში „ტექსტის გასააზრებლად“ (გვ.43-44).

**აქტივობა 2.** მუშაობა რუბრიკაზე „კრიტიკული აზროვნება“ – მნიშვნელოვან საკითხებზე ჩაღრმავება.

**აქტივობა 3.** ეპილოგში მოქცეული ცნობების,

მნიშვნელოვანი საკითხების გააზრება-დამუშავება.

**აქტივობა 4.** მუშაობა რუბრიკაზე „გაიფართოვე თვალსაწიერი“ – ფენტეზი და ფანტასტიკა. მოსწავლეები აკვირდებიან პოემას ჟანრის კუთხით, ეცნობიან თეორიას, უპასუხებენ შეკითხვებს.

**აქტივობა 5.** მუშაობა რუბრიკაზე „ლიტერატურის თეორია“ – ამ რუბრიკის დახმარებით მოსწავლეები აკვირდებიან, როგორ, რა მხატვრული ხერხებითაა ასახული ბუნება, პეიზაჟი რუსთაველის პოემაში. ეცნობიან თეორიულ ნაწილს და ასრულებენ სავარჯიშოს.

**აქტივობა 6.** მხატვრული სახე-ნათელი „ვეფხისტყაოსანში“ – კონკრეტულ სახესიმბოლოზე, ნათელზე, დაკვირვება, გაანალიზება კონკრეტული სტროფების მიხედვით.

**აქტივობა 7.** პერსონაჟი დილემის წინაშე – ბრძოლის ხელოვნება.

ქაჯეთის ციხის აღების ეპიზოდისა და სამი გმირის საბრძოლო სტრატეგიების გაანალიზება.

**რეფერატი**

შეარჩიე ის თემა „ვეფხისტყაოსნიდან“, რომელმაც განსაკუთრებით დაგაინტერესა, მოიძიე და დაამუშავე სულ მცირე ორი წყარო მის შესახებ და შეადგინე სასწავლო რეფერატი.

**ნამუშევარი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:**

შესავალში წარმოაჩინე ნაშრომის მიზანი, აქტუალობა და დაასახელე ის წყაროები, რომლებიც გამოიყენე (კომპოზიცია, კონტექსტი);

- ძირითად ნაწილში წარმოადგინე მთავარი თემა, მიმოიხილე მასალები, სტატიები, რომელთა მიხედვითაც დაწერე რეფერატი, შეაფასე და გააანალიზე დამოწმებულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებები არგუმენტირებულად, დაიმოწმე ციტატები (კომპოზიცია, კონტექსტი, ენობრივ გამომსახველობითი);
- ნამუშევრის დასკვნაში შეაჯამე სათქმელი (კომპოზიცია);
- დაიცავი რეფერატის გაფორმებისა და გამოყენებული ლიტერატურის მითითების წესები (ჟანრი).

**რეფერატის წარდგენისას ისაუბრე:**

- როგორ და რატომ შეარჩიე რეფერატის თემა;
- რამდენად დაგეხმარა რეფერატის მომზადება შენთვის საინტერესო საკითხების გააზრებაში;
- რა მიანიშნებს, რომ შენი ნამუშევარი ნამდვილად სასწავლო რეფერატია.

| | | |
|---|---|---|
| | **აქტივობა 8.** ავტორის მსოფლმხედველობა. რუსთველოლოგ ელგუჯა ხინთიბიძის ნაშრომის საფუძველზე იმსჯელებენ საკითხზე: ტოლერანტიზმი – რუსთაველის შემოქმედების მამოძრავებელი ღერძი.<br><br>**აქტივობა 9.** – მუშაობა რუბრიკაზე „გაიფართოვე თვალსაწიერი“: „ვეფხისტყაოსანი“ – ხელოვანთა შთამაგონებელი.<br><br>**აქტივობა 10.** მინიპრეზენტაცია თემაზე: „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ხელოვნება გუშინ, დღეს, ხვალ.<br><br>**აქტივობა 11.** „ვეფხისტყაოსანი“ და ინტეგრირებული ლიტერატურული თამაში (მიხაი ზიჩის ილუსტრაციებზე მუშაობა);<br><br>**აქტივობა 12.** დამატებითი საკითხავი: ნაწყვეტი აკა მორჩილაძის დღიურიდან „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ და ზაირა არსენიშვილის რომანიდან „ვა, სოფელო“. თემატური პარალელების გავლება.<br><br>**აქტივობა 13.** რუბრიკა „გაიფართოვე თვალსაწიერი“ – მოსწავლეები გაიგებენ მარჯორი უორდროპსა და მის შეტანილ წვლილზე ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციაში. რუბრიკა „მედიაწიგნიერება“ იმავე თემას ემსახურება.<br><br>**აქტივობა 14.** რუბრიკა „დამატებითი საკითხავი“. ამ რუბრიკაში მოსწავლეები გაეცნობიან ზაალ ანდრონიკაშვილისა და რევაზ სირაძის წერილებიდან ამონარიდებს ნეოპლატონიზმსა და რენესანსზე. სრული წერილები იხილეთ დანართში გვ.65 (8-9).<br><br>აქტივობა 15. რუბრიკის „ჩვენ გირჩევთ“ დახმარებით რეფერატის სტრუქტურულ და შინაარსობრივ თავისებურებზე მუშაობა.<br><br>**აქტივობა 16.** უშუალოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.<br>• იდეების წამოყენება მოსამზადებელ დავალებასთან დაკავშირებით;<br>• პირველადი ვერსიის შექმნა;<br>• საბოლოო ვერსიის მომზადება;<br>• დავალების წარდგენა, უკუკავშირის მიღება.<br>• კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):<br>• აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;<br>• რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით? რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?<br>• მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებიათ?<br>• რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყოთ წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?<br>• თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?<br>• რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?<br>• როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდით მიღწევებს/როგორ მიაღწევთ უკეთეს შედეგს?<br><br>**შენიშვნა:** ამ ქვეთავში მოცემული საკითხების უკეთ დასამუშავებლად იხილეთ დამატებითი მასალა მასწავლებლის წიგნის დანართში, გვ. 59-60. | |

<table>
<tr>
<td></td>
<td>საკითხი:<br>„ვეფხისტყაოსნიდან“ კონკრეტული ამონარიდების მიხედვით მწერლის ენაზე დაკვირვება და ანალიზის დაწერა.<br>ცნება/ქვეცნებები:<br>ენობრივ-გამომსახველობითი – ტროპის სახეები, ზმნისწინი და მისი ფუნქციები, ტმესი.</td>
<td>საკვანძო შეკითხვები:<br>• როგორ გავაანალიზო მწერლის მიერ გამ ოყენებული ტროპის სახეები?<br>• როგორ გამოვიყე-ნო მწერლის ენაზე დასაკვირვებლად შესწავლილი გრამატი-კული საკითხები?</td>
<td>შუალედური სასწავლო მიზანი<br><br>კომპლექსური დავალების პირობა</td>
</tr>
<tr>
<td></td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):<br>I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა<br>• რომელი გრამატიკული საკითხები შევისწავლეთ?<br>• რამდენად დავინახეთ განსხვავება ამ საკითხების დახ მარებით ძველსა და ახალ ქართულს შორის?<br>• რამდენად გვეხმარება ნაწარმოების უკეთ გაგებაგააზ რებაში მწერლის ენაზე დაკვირვება?<br>II ეტაპი: კომპლექსური დავალების განხორციელე-ბა აქტივობები:<br>აქტივობა 1. მხატვრულ ხერხებზე მუშაობა, რუ-ბრიკა „ლიტერატურული თეორიის“ დამუშავება – ჰიპერბოლა (გვ.20-21).<br>აქტივობა 2. მხატვრულ ხერხებთან დაკავშირებუ-ლი, უკვე შესრულებული აქტივობების გახსენება, რათა მოსწავლემ გამოიყენოს იქ თავმოყრილი საკითხები კომპლექსურ დავალებაზე სამუშაოდ.<br>აქტივობა 3. „ენის სამყაროში“ (გვ.79-86) შემა-ვალი თეორიული საკითხებისა და დავალებების დამუშავება.<br>აქტივობა 4. უშუალოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.<br>• იდეების წამოყენება მოსამზადებელ დავალებას-თან დაკავშირებით;<br>• ანალიზისთვის საბოლოო სახის მიცემა.<br>• საბოლოო ვერსიის მომზადება;<br>• დავალების წარდგენა, უკუკავშირის მიღება.<br>• კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პრო-ცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვე-ბის ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):<br>• აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;<br>• რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით?<br>• რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მო-მავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?<br>• მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგის რულებიათ? მსგავსი სტრატე-გიები გამოგიყენებიათ?<br>• რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყოთ წინს ვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?<br>• თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?<br>• რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?<br>• როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმ-ჯობესებდით მიღწევ ებს/როგორ მიაღწევთ უკეთეს შედეგს?<br>შენიშვნა: მწერლის ენაზე სამუშაოდ თეორიული მასალა და სავარჯიშოები იხილეთ მასწავლებლის წიგნში გვ. 61-66.</td>
<td>მწერლის ენა<br>ყურადღებით წაიკითხე ამონა-რიდები „ვეფხისტყაოსნიდან“:<br>ა. „მე ვერა გიყო, ნაცვალი,<br>ღმერთი გარდგიხდის ციერი,<br>ზეგარდმო მისით შემოგზღოს<br>მუქაფა ჩემ-მაგიერი!“<br>შესხდეს და შინა წავიდეს,<br>მათ ლხინი ჰქონდა ძლიერი;<br>აწ გა-ვე-აძლო სოფელმან ასმათ,<br>ადრითგან მშიერი.<br>ბ. „ნაომარსა, დაკოდილსა<br>ხელი ყელსა ჩამომება.<br>დედოფალი საჯდომთაგან ადგა,<br>წინა მომეგება,<br>ვითა შვილი გარდამკოცნა,<br>ღაწვი ვარდი დამილება,<br>მითხრა: „ნუ ეჭვ ამას იქით,<br>თუღა მტერი შე-ღა-გება“.<br>გ. კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ<br>თურე არ წახდების:<br>ერთი კაცი უკმო-რე-სწყდა,<br>მოდგა, მალვით მეუბნების:<br>„დიდი მაცო თქვენი ვალი, ჩემგან<br>ძნელად გარდიხდების,<br>განირვა და დავიწყება ჩემგან<br>თქვენი არ იქმნების“.<br>დ. „კარვის კალთა ჩახლათული<br>ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე,<br>ყმასა ფერხთა მოვეკიდე,<br>თავი სვეტსა შევუტაკე.<br>წინა მწოლთა დაიზახეს,<br>გლოვა მიჰხვდა საარაკე;<br>ცხენსა შევჯე, წამო-ცა-ვე;<br>ჯაჭვი მეცვა საკურტაკე“.<br>ე. მას ყმასა თავი არ მისცა,<br>ჭვრეტადცა ებილწებოდა,<br>ვითა კაკაბი არწივსა<br>ქვეშე მი და მო ძრწებოდა...<br>ვ. ძელი მოსტეხა ავთანდილ<br>დარჩა ნავ-დაულეწელი;<br>შეშინდეს იგი ლაშქარნი,<br>გზა ძებნეს გარდსახვეწელი;<br>ველარ გაესწრნეს, გარდუხდა<br>მტერთა მი და მო მლეწელი;<br>არ დარჩა კაცი ცოცხალი<br>მუნ მისგან დაუფრეწელი.<br>ზ. ქალსა შესწბა, გაუკვირდა<br>ავთანდილის გვერდსა ჯდომა,<br>ფერი ჰკრთა და გაუფიცხა<br>შე და გამო გულმან კრთომა.<br>მეფე ეტყვის: „შვილო, ჩემგან<br>გაქვს სირცხვილი თუ რა ზომა,<br>ბრძენთა უთქვამს სიყვარული,<br>ბოლოდ მისი არწახდომა“.</td>
</tr>
</table>

**თ.** დავიწუხენ თვალნი, ყოლა ვერ
შევადგენ, ვითა მზესა,
უკმოვიხშევ კარი ჩემკე,
მათი უკმოვიხშევ კარი ჩემკე,
მათი ჭვრეტა ვერა ცნესა.

**ი.** ვაზირმან, გლახ, გამოჰრიდნა,
მართ ველარას ვერ იძრწივნებს;
გამოძრწა და გამომელდა,
გულსა წყლულსა მოიმტკივნებს;
შეის ხასობს, გაის ქუშობს,
ენა ასრე მოაყივნებს,
მტერი მტერსა ვერას ავნებს,
რომელ კაცი თავსა ივნებს.

**ნამუშევარში:**

- ამოწერე ტროპის სახეები და სხვა მხატვრული საშუალებები (ალიტერაცია, ასონანსი); იმსჯელე, რა მხატვრული დანიშნულება აქვს თითოეულ მათგანს.
- ამოწერე და განმარტე ის სტრიქონები, რომლებშიც ტმესი გვხვდება.
- დააკვირდი ზმნისწინიან ფორმებს, ისაუბრე, რა ფუნქცია აქვთ მათ.

**დააჯგუფე:**

ა. ზმნისწინიანი ზმნები, რომლებიც ახლაც გვხვდება;

ბ. ძველი ზმნისწინიანი ზმნები.

- ამოწერე ის სტრიქონები, რომლებშიც მხოლოდ ზმნისწინებია ზმნების გარეშე. იმსჯელე, რა ფუნქციითა გამოყენებული და რა მხატვრული დანიშნულება აქვს თითოეულ მათგანს.
- გამოჰყავი მხატვრული დეტალები და ზმნისწინები, რომელთაც ლაკონიზმის ფუნქცია აქვთ.

**ნაშრომის წარდგენის შემდეგ ისაუბრე:**

- როგორ დაგეხმარა გრამატიკული საკითხების ცოდნა მოცემული ტექსტების ენობრივი ანალიზისას?
- რამდენად გამოიკვეთა მწერლის ენის  თავისებურებები?
- რამდენად გაგიადვილდა მხატვრულ მხარეზე დაკვირვება კონკრეტული გრამატიკული წესების მოშველიებით?

▶ მატრიცის ჩამოტვირთვა შეგიძლიათ აქ;

# IV თავი – იგავური სიბრძნე

**ტექსტი: სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“**

**თემა: იგავური სიბრძნე**

**კლასი: მე-10**

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

- რატომ არის მნიშვნელოვანი დიდაქტიკური შინაარსის, ალეგორიული ჟანრის ლიტერატურის გაცნობა?
- რა განსაზღვრავს ამ ლიტერატურის ზედროულ მნიშვნელობას?
- როგორ მოგვითხრობს იგავები და იგავ-არაკები ადამიანების ცხოვრების გზაზე, მრავალფეროვან ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე? რა მიმართებაა ალეგორიულ ლიტერატურაში ასახულ ცხოვრებას/ადამიანებსა და რეალურ ცხოვრებას/ადამიანებს შორის?
- რამდენად დამეხმარება იგავურ, დიდაქტიკურ ტექსტებში წარმოჩენილი სოციოკულტურული რეალიები რიგი საკითხების სწორად გააზრებაში?

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**

- XII საუკუნიდან მოყოლებული წარმოიშვა ახალი ლიტერატურული ჟანრები (საგმირო-სამიჯნურო ეპოსი, იგავ-არაკები, ლირიკა, ისტორიული პოემა), აზროვნების სეკულარიზაციასთან ერთად დაიბადა ლიტერატურული გმირის/ადამიანის ახალი სახე, რომლისთვისაც დამახასიათებელია რენესანსული იდეალები – ფიზიკური და სულიერი ჰარმონიულობა, თავისუფალი არჩევანის ნების ქონა.
- ლიტერატურული გმირის/ადამიანის ახალი იდეალს აქვს ინდივიდუალური თვისებები, მისთვის სამყარო წარმოადგენს შესწავლის ობიექტს, რისთვისაც ეძიებს საჭირო ცოდნას.

| კომპლექსური დავალებები (დასახელება) | სამიზნე ცნებები და ქვეცნებები | საკითხები | საკვანძო შეკითხვები |
|---|---|---|---|
| **1. ზეპირი პრეზენტაცია** – მწერლის ენასა და ჟანრის თავისებურებაზე დაკვირვება. | **ჟანრი** – ალეგორიული ჟანრის ლიტერატურა, იგავი, იგავ-არაკი, იგავური ტიპის ნაწარმოები.<br>**კომპოზიცია** – სათაური, თემა, მთავარი იდეა, ქვეტექსტური ინფორმაცია; პერსონაჟთა სახეები; ხედვის კუთხე (ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის); დიალოგი, მისი სტრუქტურული და სტილისტური თავისებურებანი;<br>**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები:** ალეგორია, გაპიროვნება, არგუმენტი, კონტრარგუმენტი. | სახელმძღვანელოში მოცემული მონაკვეთებსა და იგავ-არაკებზე დაყრდნობით ზეპირი პრეზენტაციის მომზადება თემაზე: მწერლის ენა და ჟანრის თავისებურებაზე დაკვირვება. | • როგორ წარმოვაჩინო ალეგორიული პროზის ჟანრობრივი თავისებურებები?<br>• როგორ გავაანალიზო მწერლის მიერ გამოყენებული ტროპის სახეები?<br>• როგორ გამოვიყენო ლექსიკაზე დაკვირვება მწერლის ენის გასაანალიზებლად? |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2. **ტოქშოუ თემაზე:** აღზრდის მეთოდები წარსულსა და თანამედროვეობაში. | **ცნებები**<br>**კომპოზიცია** – სათაური, თემა, მთავარი იდეა, ქვეტექსტური ინფორმაცია; **პერსონაჟთა სახეები;** ხედვის კუთხე (ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის);<br>**კონტექსტი –**<br>ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულტურული არეალი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციოკულტურული რეალიები;<br>ავტორის გამოცდილება (ცხოვრებისეული და სულიერი) – ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალები, ფასეულობები, დამოკიდებულებები. | სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებსა („სიბრძნე სიცრუისა“) და სახელმძღვანელოში მოცემულ მასალებზე დაყრდნობით ტოქშოუს მოწყობა თემაზე: აღზრდის მეთოდები წარსულსა და თანამედროვეობაში. | • როგორ, რა ფორმატით წარვმართო ტოქშოუ?<br>• როგორ გამოვიყენო კამათისას დამუშავებული ტექსტები და დამატებითი საკითხავი მასალა?<br>• როგორ გავავლო პარალელი თანამედროვეობასთან? |
| **გრძელვადიანი მიზნები სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** | **საკითხი:** სახელმძღვანელოში მოცემული მონაკვეთებსა და იგავ-არაკებზე დაყრდნობით ზეპირი პრეზენტაციის მომზადება თემაზე: მწერლის ენა და ჟანრის თავისებურებაზე დაკვირვება.<br>**ცნებები**<br>**ჟანრი** – ალეგორიული ჟანრის ლიტერატურა, იგავი, იგავ-არაკი, იგავური ტიპის ნაწარმოები.<br>**კომპოზიცია** – სათაური, თემა, მთავარი იდეა, ქვეტექსტური ინფორმაცია; პერსონაჟთა სახეები; ხედვის კუთხე (ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის); დიალოგი, მისი სტრუქტურული და სტილისტური თავისებურებანი;<br>**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები:** ალეგორია, გაპიროვნება, არგუმენტი, კონტრარგუმენტი. შეკითხვა, მიმართვა. | **საკვანძო შეკითხვები**<br>• როგორ წარმოვაჩინო ალეგორიული პროზის ჟანრობრივი თავისებურებები?<br>• როგორ გავაანალიზო მწერლის მიერ გამოყენებული ტროპის სახეები?<br>• როგორ გამოვიყენო ლექსიკაზე დაკვირვება მწერლის ენის გასაანალიზებლად? | **შუალედური სასწავლო მიზანი**<br><br>**კომპლექსური დავალების პირობა** |
| **1) ჟანრი (ქართ.საშ.1,4,6,7)**<br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად. | **კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):**<br>**I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა**<br>• როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?<br>• რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?<br>• სახელმძღვანელოში მოცემული რომელი რუბრიკები დაგჭირდებათ დავალების შესრულებისას?<br>• თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? რის შესწავლა დაგჭირდებათ/რაში დაგჭირდებათ დახმარება?<br>რომელი შესწავლილი საკითხები დაგჭირდებათ მწერლის ენაზე დასაკვირვებლად?<br>გაიხსენე, რომელი იგავები ან იგავ-არაკები შეისწავლე წინა კლასებში? მათი რომელი ჟანრობრივი თავისებურებები შეგიძლია დაასახელო? | | დააკვირდი „სიბრძნე სიცრუისას“ ენობრივ მახასიათებლებს, მხატვრულ და ჟანრობრივ თავისებურებას და წარმოადგინე დაკვირვების შედეგები ზეპირი პრეზენტაციის სახით.<br>პრეზენტაციისას დაიხმარე პროგრამა Power Point-ის სლაიდები ან დიდი ფორმატის ფურცელი, რომელზეც ასახავ შენი დაკვირვების შედეგებს. |

| | | |
|---|---|---|
| **2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>**(ქართ.საშ.1,3,4,6,7)**<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:<br>• ლექსში – თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრის, რითმის;<br>• პოემაში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრისა და რითმის;<br>3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>(ქართ.საშ.4,6,7)<br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; | **II ეტაპი. კომპლექსური დავალების განხორციელება რესურსები/აქტივობები:**<br><br>**აქტივობა 1.** კითხვის დაწყებამდე – მოსწავლეები ამ აქტივობის საშუალებით დააკვირდებიან ნაწარმოების სათაურს, გაეცნობიან სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებს ამის შესახებ.<br><br>**აქტივობა 2.** „სიბრძნის დღიურის“ წარმოება – ნაწარმოების შესწავლასთან ერთად მოსწავლე აკეთებს ჩანაწერებს, რომლებშიც ასახავს თავის შთაბეჭდილებებს, მისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებს, გაჩენილ კითხვებს.<br><br>**აქტივობა 3.** ტექსტის გააზრებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში „ტექსტის გასააზრებლად“ (მოცემულია ყოველი იგავისა და მონაკვეთის ბოლოს).<br><br>**აქტივობა 4.** მუშაობა რუბრიკებზე „კრიტიკული აზროვნებისთვის“ და „ლექსიკაზე მუშაობა“ (გვ.104-105).<br><br>**აქტივობა 5.** არგუმენტირება იგავ-არაკების, თხზულებებისა და ამბების მოშველიებით – მოსწავლეები გამართავენ კამათს, რომელშიც არგუმენტებისთვის მოიშველიებენ ან მოძიებულ იგავ-არაკებს, ან თავიანთ შექმნილ თხზულებას, ან კიდევ პირად თუ ისტორიულ ამბებს.<br><br>**აქტივობა 6.** მუშაობა რუბრიკაზე „კრიტიკული აზროვნებისთვის“ (გვ.119) მოსწავლეები ამ რუბრიკების დახმარებით იმუშავებენ შემდეგ თემებზე: სიტყვის ძალა და ლეონის აღზრდის მეთოდები.<br><br>**აქტივობა 7.** რუბრიკის „ლექსიკაზე მუშაობა“ დახმარებით კონკრეტულ ლექსიკურ ერთეულებზე დაკვირვება.<br><br>**აქტივობა 8.** სიტყვის ძალა და მნიშვნელობა – სახელმძღვანელოში მითითებული ვიდეოს დახმარებით მოსწავლეები დააკვირდებიან, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვებს და იმსჯელებენ, როგორაა ეს გაცხადებული ს.ს. ორბელიანის ნაწარმოებებში.<br><br>**აქტივობა 9.** რუსთაველისეული აფორიზმები და სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისა“ – მოსწავლეები, ცხრილის დახმარებით, სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებში ასახულ შეხედულებებს დააკავშირებენ რუსთაველის კონკრეტულ აფორიზმებთან და იმსჯელებენ მათ მნიშვნელობაზე.<br><br>**აქტივობა 10.** მუშაობა რუბრიკაზე „ლიტერატურული თეორია“ (მოსიარულე სიუჟეტი, ნასესხობის თეორია) და დაკვირვება სიუჟეტით მსგავს იგავებზე.<br><br>**აქტივობა 11.** მუშაობა რუბრიკაზე „ლიტერატურული თეორია“ (იგავი და იგავური პროზა) და აქტივობის შესრულება: ჟანრული პარალელი (ნიკო ლორთქიფანიძისა და ერლომ ახვლედიანის ნაწარმოებების გაცნობა და სქემის საშუალებით დაკვირვება ჟანრული თვალსაზრისით). | **ნამუშევარში წარმოაჩინე:**<br>• ნაწარმოების სათაურის, სიუჟეტური ნაწილისა და იგავ-არაკების ურთიერთდაკავშირების ფორმა და დანიშნულება (კომპოზიცია, ჟანრი);<br>• თითოეული იგავ-არაკის ჟანრობრივი თავისებურებები და მორალის, მთავარი სათქმელის ჩამოყალიბების გზები (კომპოზიცია, ჟანრი, ენობრივ-გამომსახველობითი);<br>• მწერლის მიერ გამოყენებული ტროპული სახეების ფორმა, შინაარსი და ფუნქცია (ენობრივ-გამომსახველობითი;<br>• როგორც სიუჟეტის, ასევე იგავ-არაკების პერსონაჟთა ხატვის ხერხები (კომპოზიცია, ჟანრი, ენობრივ-გამომსახველობითი);<br>• აქამდე შენთვის უცნობი ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზების ანალიზი (ენობრივ-გამომსახველობითი);<br>• შენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი იგავ-არაკების შენეული ხედვა (კომპოზიცია).<br><br>**ნაშრომის წარდგენის შემდეგ ისაუბრე:**<br>• რატომაა მნიშვნელოვანი მწერლის ენაზე დაკვირვება? (დაასაბუთე შესაბამისი მაგალითებით)<br>• რამდენად გვეხმარება ნაწარმოების სიღრმისეულად გაგებაში ჟანრობრივი თავისებურებების ცოდნა? |

4) კონტექსტი (ქართ.საშ.2,5)

1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.

2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.

| | „სული“ | „შურიანი კაცის ამბავი“ | |
|---|---|---|---|
| ჟანრობრივი მახასიათებლები | მონიშნე | მონიშნე | გააკეთე კომენტარი |
| ლაკონიურობა | | | |
| ალეგორიულობა | | | |
| სიუჟეტის განვითარება დროსა და სივრცეში | | | |
| პერსონაჟების სახელდება | | | |
| მორალურ-ეთიკური შინაარსი | | | |
| დიდაქტიკური ხასიათი | | | |
| ამბის რეალისტურობა | | | |

ნიმუში

**აქტივობა 12.** რუბრიკის „ჩვენ გირჩევთ“ დახმარებით პრეზენტაციის აგებაზე მუშაობა, მნიშვნელოვანი სტრატეგიების გათვალისწინება.

**აქტივობა 13.** უშუალოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.

- იდეების წამოყენება მოსამზადებელ დავალებასთან დაკავშირებით;
- პირველადი ვერსიის შექმნა;
- საბოლოო ვერსიის მომზადება;
- დავალების წარდგენა, უკუკავშირის მიღება.

**კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):**

- აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით? რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებიათ?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყოთ წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?
- თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?

**შენიშვნა:** მწერლის ენაზე სამუშაოდ თეორიული მასალა და სავარჯიშოები იხილეთ მასწავლებლის წიგნში, გვ. 58-66.

| გრძელვადიანი მიზნები სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები | საკითხი: ს.ს.ორბელიანის ნაწარმოებსა („სიბრძნე სიცრუისა“) და სახელმძღვანელოში მოცემულ მასალებზე დაყრდნობით ტოქშოუს მოწყობა თემაზე: აღზრდის მეთოდები წარსულსა და თანამედროვეობაში.<br>**ცნებები**<br>**კომპოზიცია** – სათაური, თემა, მთავარი იდეა, ქვეტექსტური ინფორმაცია; **პერსონაჟთა სახეები;** ხედვის კუთხე (ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის).<br>**კონტექსტი** –<br>ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულტურული არეალი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციოკულტურული რეალიები;<br>**ავტორის გამოცდილება (ცხოვრებისეული და სულიერი)** – ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალები, ფასეულობები, დამოკიდებულებები. | საკვანძო შეკითხვები<br>• როგორ, რა ფორმატით წარვმართო ტოქშოუ?<br>• როგორ გამოვიყენო კამათისას დამუშავებული ტექსტები და დამატებითი საკითხავი მასალა?<br>• როგორ გავავლო პარალელი თანამედროვეობასთან? | შუალედური სასწავლო მიზანი<br>**კომპლექსური დავალების პირობა** |
|---|---|---|---|
| **1) ჟანრი (ქართ.საშ.1,4,6,7)**<br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.<br>**2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>**(ქართ.საშ.1,3,4,6,7)**<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:<br>• ლექსში – თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრის, რითმის;<br>• პოემაში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, | **კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):**<br>**I ეტაპი:** კომპლექსური დავალების გაცნობა<br>• როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?<br>• რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?<br>• სახელმძღვანელოში მოცემული რომელი რუბრიკები დაგჭირდებათ დავალების შესრულებისას?<br>• თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? რის შესწავლა დაგჭირდებათ/რაში დაგჭირდებათ დახმარება?<br>რომელ ტოქშოუს გაიხსენებდი ტელე ან ინტერნეტსივრციდან? რით განსხვავდება სხვა ტიპის გადაცემებისაგან?<br>რომელი შესწავლილი საკითხები დაგჭირდებათ ნაწარმოების კონტექსტზე დასაკვირვებლად?<br>რას გაძლევთ ნაწარმოების შექმნის ეპოქისა და თანამედროვეობის შეპირისპირება?<br>**II ეტაპი. კომპლექსური დავალების განხორციელება რესურსები/აქტივობები:**<br>**აქტივობა 1.** თავის შესავალი ტექსტი – მოსწავლეები წაიკითხავენ ამ ტექსტს და მასწავლებლის კითხვების დახმარებით ისაუბრებენ ეპოქის მახასიათებლებზე, იმ ფაქტორებზე, რომლებმაც ე.წ. ქართული ბაროკოს წარმოშობა განაპირობა.<br>**აქტივობა 2.** „სიბრძნის დღიურის“ წარმოება – ნაწარმოების შესწავლასთან ერთად მოსწავლე აკეთებს ჩანაწერებს, რომლებშიც ასახავს თავის შთაბეჭდილებებს, მისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებს, გაჩენილ კითხვებს.<br>**აქტივობა 3.** ტექსტის გააზრებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში „ტექსტის გასააზრებლად“ (მოცემულია ყოველი იგავისა და მონაკვეთის ბოლოს) | | **კომპლექსური დავალება** – ტოქშოუ თემაზე: აღზრდის მეთოდები წარსულსა და თანამედროვეობაში<br>მოაწყვეთ დისკუსია თემაზე „აღზრდის მეთოდები წარსულსა და თანამედროვეობაში“ სატელევიზიო გადაცემის, ტოქშოუს, ფორმატით.<br>**ტოქშოუს წარმართვისას:**<br>• იმსჯელეთ შესწავლილი ნაწარმოებების („ვეფხისტყაოსანი“, „სიბრძნე სიცრუისა“, ფრაგმენტი „სწავლა მოსწავლეთა“) მიხედვით წარსულში დამკვიდრებულ აღზრდის სტილსა და მეთოდებზე, გამოყავით დადებითი თუ უარყოფითი მხარეები (კომპოზიცია, კონტექსტი);<br>• მსჯელობისას დაეყრდენით აქტივობებში დამუშავებულ მასალას, გაითვალისწინეთ ისტორიულ-კულტურული კონტექსტი (კონტექსტი);<br>• ისაუბრეთ 21-ე საუკუნეში დამკვიდრებულ აღზრდის სტილსა და მეთოდებზე თქვენი ყოველდღიური ცხოვრების გათვალისწინებით |

მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრისა და რითმის;

**3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**

**(ქართ.საშ.4,6,7)**

1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.

2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.

3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად;

**4) კონტექსტი**

**(ქართ.საშ.2,5)**

1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.

2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.

**აქტივობა 4.** მუშაობა რუბრიკაზე „კრიტიკული აზროვნებისთვის“ (გვ.103), რუბრიკაში განხილულია მეფის სამსახური, მეფესთან ყოფნის პასუხისმგებლობის სირთულე და უფლისწულის აღზრდის ტრადიციები. მოსწავლეები გაანალიზებენ ამ საკითხებს.

**აქტივობა 5.** არგუმენტირება იგავ-არაკების, თხზულებებისა და ამბების მოშველიებით – მოსწავლეები გამართავენ კამათს, რომელშიც არგუმენტებისთვის მოიშველიებენ ან მოიძიებულ იგავ-არაკებს, ან თავიანთ შექმნილ თხზულებას, ან კიდევ პირად თუ ისტორიულ ამბებს.

**აქტივობა 5.** მუშაობა რუბრიკაზე „კრიტიკული აზროვნებისთვის“ (გვ.119), მოსწავლეები ამ რუბრიკების დახმარებით იმუშავებენ შემდეგ თემებზე: სიტყვის ძალა და ლეონის აღზრდის მეთოდები.

**აქტივობა 6.** აქტივობა: მკვლევრის შეხედულების გაანალიზება – კონკრეტული ამონარიდის მიხედვით იმსჯელებენ მოსწავლეები, რატომ არის ლეონის აღზრდის მეთოდები ეპოქისთვის დამახასიათებელი.

**აქტივობა 7.** სწავლა-აღზრდის თემატიკაზე მსჯელობა ს.ს. ორბელიანისა და დ. გურამიშვილის შემოქმედებაში – ამ აქტივობით მოსწავლეები გაიხსენებენ წინა კლასებში შესწავლილ „სწავლა მოსწავლეთას“, გაავლებენ პარალელს ორი მწერლის შეხედულებებს შორის აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით.

**აქტივობა 8.** სიტყვის ძალა და მნიშვნელობა – სახელმძღვანელოში მითითებული ვიდეოს დახმარებით მოსწავლეები დააკვირდებიან, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვებს და იმსჯელებენ, როგორაა ეს გაცხადებული სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებებში.

**აქტივობა 9.** რუბრიკა „გაიფართოვე თვალსაწიერში“ მოსწავლეები გაეცნობიან სულხან-საბა ორბელიანს, როგორც ვახტანგ VI-ის აღმზრდელს, მოგზაურსა და ლექსიკოგრაფს, კიდევ ერთხელ ჩაუღრმავდებიან თავისებურებს იმ ეპოქისა, რომელშიც საბა მოღვაწეობდა.

**აქტივობა 10.** რუბრიკაში „ჩვენ გირჩევთ“ მოსწავლეები გაეცნობიან ტოქშოუს თავისებურებებსა და მისი სწორად წარმართვის სტრატეგიებს.

**კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):**

- აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით? რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებიათ?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგაიწყოთ წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?
- თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?

**შენიშვნა:** ამ თავში დამუშავებული საკითხების უკეთ დასამუშავებლად იხილეთ დამატებითი მასალა მასწავლებლის წიგნის დანართში, გვ. 60-61.

(წესები, დამოკიდებულებები, მეთოდები ოჯახსა თუ სკოლაში) (კონტექსტი);

- წარმოაჩინეთ შესწავლილი ტექსტებისა და პრობლემასთან დაკავშირებული ისტორიულ-კულტურული კონტექსტის ცოდნა (კომპოზიცია, კონტექსტი);
- გამოყავით მიმართებები ტექსტებსა და თანამედროვეობის, რეალური ცხოვრების კონტექსტს შორის (კომპოზიცია, კონტექსტი).

**ტოქშოუს წარმართვის შემდეგ ისაუბრეთ:**

- შესწავლილი ტექსტებიდან რომელ მინიშნებებს დაეყრდენით არგუმენტირებისას?
- რომელი პრობლემები აღმოჩნდა ყველაზე აქტუალური?
- რამდენად დაგეხმარათ ეს ტოქშოუ წარსულსა და თანამედროვეობას შორის პარალელის გავლებაში?

▶ მატრიცის ჩამოტვირთვა შეგიძლიათ აქ:

# V თავი – ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის

| |
|---|
| ტექსტი: დავით გურამიშვილის „დავითიანი“ (ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთან შეორგულება, საწყაულის მოწყვა ღვთისაგან) <br> თემა: ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის (საქართველოს ისტორიის ასახვა ნაწარმოებში) <br> კლასი: მე-10 |
| თემატური საკვანძო შეკითხვები: <br> • რატომ არის მნიშვნელოვანი ისტორიული შინაარსის ლიტერატურის გაცნობა? <br> • რა განსაზღვრავს ამ ლიტერატურის ზედროულ მნიშვნელობას? <br> • როგორ მოგვითხრობს ისტორიული შინაარსის ლიტერატურა ადამიანების ცხოვრების გზაზე, მრავალფეროვან ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე? რა მიმართებაა ისტორიულ ნაწარმოებში ასახულ ცხოვრებას/ადამიანებსა და რეალურ ცხოვრებას/ადამიანებს შორის? <br> • რამდენად დამეხმარება ამ ტიპის ნაწარმოებებში წარმოჩენილი ისტორიული და სოციოკულტურული რეალიები რიგი საკითხების სწორად გააზრებაში? <br><br> თემატური მკვიდრი წარმოდგენები: <br> • XII საუკუნიდან მოყოლებული წარმოიშვა ახალი ლიტერატურული ჟანრები (საგმირო-სამიჯნურო ეპოსი, იგავ-არაკები, ლირიკა, ისტორიული პოემა), აზროვნების სეკულარიზაციასთან ერთად დაიბადა ლიტერატურული გმირის/ადამიანის ახალი სახე, რომლისთვისაც დამახასიათებელია რენესანსული იდეალები – ფიზიკური და სულიერი ჰარმონიულობა, თავისუფალი არჩევანის ნების ქონა. <br> • ლიტერატურული გმირის/ადამიანის ახალი იდეალს აქვს ინდივიდუალური თვისებები, მისთვის სამყარო წარმოადგენს შესწავლის ობიექტს, რისთვისაც ეძიებს საჭირო ცოდნას. |

| კომპლექსური დავალებები (დასახელება) | სამიზნე ცნებები და ქვეცნებები | საკითხები | საკვანძო შეკითხვები |
|---|---|---|---|
| 1. არგუმენტირებული ესე | **ჟანრი** <br> არგუმენტირებული ესე; <br> კომპოზიცია <br> თემა, მოქმედების დრო და ადგილი, პერსონაჟთა სახეები; <br> **კონტექსტი** <br> ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, ღირებულებები; მორალურ-ეთიკური ორიენტირები; <br> **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** <br> თეზისი, არგუმენტები | „ქართლის ჭირის“ კონკრეტულ თავებსა და თემატურ პარალელზე დაყრდნობით არგუმენტირებული ესეს დაწერა. | • როგორ ავაგო არგუმენტირებული ესე? <br> • როგორ წარმოვაჩინო და დავასაბუთო ჩემი მოსაზრებები მართლის თქმის პრინციპის შესახებ? <br> • როგორ გამოვიყენო წაკითხული ლიტერატურის ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება ჩემი შეხედულების დასასაბუთებლად? |
| 2. მინილექცია | **ჟანრი** <br> მინილექცია და მისი სტრუქტურა, მახასიათებლები; <br> **კომპოზიცია** <br> თემა, იდეა, მოქმედების დრო და ადგილი, პერსონაჟთა სახეები; <br> **კონტექსტი** <br> ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, ავტორის ბიოგრაფია, მისი ღირებულებები, მორალურ-ეთიკური ორიენტირები; <br> **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** <br> ტროპის სახეები, თეზისი, არგუმენტები | „დავითიანის“ შესწავლილი თავების, დ. გურამიშვილის ბიოგრაფიისა და სხვა დამუშავებული მასალების მიხედვით შემაჯამებელი მინილექციის ჩატარება. | • როგორ ჩავატარო მინილექცია? <br> • როგორ დავუკავშირო ერთმანეთს დ. გურამიშვილის ცხოვრება და შემოქმედება? <br> • როგორ წარმოვაჩინო პოეტის მსოფლმხედველობა? <br> • რა საკითხების გათვალისწინებით შევაფასო მწერლის ენა? |

| | | | |
|---|---|---|---|
| **3. მწერლის ენაზე დაკვირვება – ანალიზის დაწერა** | **ენობრივ-გამომსახველობითი**<br>ტროპის სახეები<br>პირის ნიშანთა მართლწერა | კონკრეტულ ამონარიდზე დაყრდნობით მწერალთა ენაზე დაკვირვება და ანალიზის დაწერა. | • როგორ გავაანალიზო მწერლების მიერ გამოყენებული ტროპის სახეები?<br>• როგორ გამოვიყენო მწერლის ენაზე დასაკვირვებლად შესწავლილი გრამატიკული საკითხები? |
| **გრძელვადიანი მიზნები**<br>**სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** | **საკითხი:** „ქართლის ჭირის“ კონკრეტულ თავებსა და თემატურ პარალელზე დაყრდნობით არგუმენტირებული ესეს დაწერა.<br>**ცნებები**<br>**ჟანრი** – არგუმენტირებული ესე;<br>**კომპოზიცია**<br>თემა, მოქმედების დრო და ადგილი, ავტორი;<br>**კონტექსტი**<br>ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, ღირებულებები; მორალურ-ეთიკური ორიენტირები;<br>**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>თეზისი, არგუმენტები | **საკვანძო შეკითხვები**<br>• როგორ ავაგო არგუმენტირებული ესე?<br>• როგორ წარმოვაჩინო და დავასაბუთო ჩემი მოსაზრებები მართლის თქმის პრინციპის შესახებ?<br>• როგორ გამოვიყენო წაკითხული ლიტერატურის ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება ჩემი შეხედულების დასასაბუთებლად? | **შუალედური სასწავლო მიზანი**<br>**კომპლექსური დავალების პირობა** |
| **ჟანრი (ქართ.საშ.1,4,6,7)**<br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.<br>2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე (ქართ. საშ.1,3,4,6,7)<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:<br>• ლექსში – თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრის, რითმის; | **კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):**<br>**I ეტაპი:** კომპლექსური დავალების გაცნობა<br>როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?<br>რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?<br>სახელმძღვანელოში მოცემული რომელი რუბრიკები დაგჭირდებათ დავალების შესრულებისას?<br>თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? რის შესწავლა დაგჭირდებათ/რაში დაგჭირდებათ დახმარება?<br>გაიხსენეთ რეალური ცხოვრებიდან მომენტები, როცა სიმართლის თქმა აუცილებელი ხდება.<br>თქვენ სიმართლის თქმის რომელ ხერხს ირჩევთ, პირდაპირს თუ გადაკვრით ნათქვამს?<br>**II ეტაპი. კომპლექსური დავალების განხორციელება**<br>**აქტივობები:**<br>**აქტივობა 1.** თავის შესავალი და რუბრიკა „კითხვის დაწყებამდე“ – ამ მასალებით მოსწავლე გაიგებს „დავითიანის“ სტრუქტურის, მთავარი შინაარსობრივი მახასიათებლების შესახებ და დაუკვირდება სათაურს.<br>**აქტივობა 2.** ტექსტის გააზრებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში „ტექსტის გასააზრებლად“ (გვ.153, 161).<br>**აქტივობა 3.** შემდეგი რუბრიკების დამუშავება: „კრიტიკული აზროვნებისათვის“ და „ლექსიკაზე მუშაობა“. | | **კომპლექსური დავალება:**<br>„ქართლის ჭირის“ ზემოთ განხილული თავებსა და თემატურ პარალელზე დაყრდნობით დაწერე არგუმენტირებული ესე, რომელშიც იმსჯელებ შემდეგ თეზისზე:<br>თანამემამულეებისთვის მტკივნეული სიმართლის თქმა სიყვარულის გამოხატვაა, რადგან ეს მათ რეალობის სწორად, კრიტიკულად აღქმაში ეხმარება.<br>წერისას დაიცავით ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.<br>**ნამუშევარში წარმოაჩინე:**<br>• როგორია ამ საკითხთან დაკავშირებით დავით გურამიშვილის პოზიცია. არგუმენტირებისას გამოიყენე კონკრეტული მინიშნებები ტექსტიდან (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი); |

- პოემაში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრისა და რითმის;
- მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;
- არამხატვრულ ტექსტებში – იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;

2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით.

3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/ მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის.

**აქტივობა 4.** ტექსტიდან გამომდინარე თეზისის ჩამოყალიბება  ამ აქტივობით მოსწავლეები განამტკიცებენ ცოდნას, როგორ ჩამოაყალიბონ თეზისი.

**აქტივობა 5.** რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“ (გვ.162-163). – ამ რუბრიკაში აქცენტი გაკეთებულია პოეტის რელიგიურ მსოფლმხედველობასა და ნაწარმოების მხატვრულ მხარეზე.

**აქტივობა 6.** აფორიზმებზე მუშაობა

**აქტივობა 7**. წაკითხულის გააზრება  – ეს აქტივობა ემსახურება იმ მონაკვეთის საფუძვლიანად გააზრებას, რომლის მიხედვითაც უნდა წეროს კომპლექსური დავალება. (პასუხები იხ. მასწ. წიგნში – გვ. 75)

**აქტივობა 8.** მუშაობა რუბრიკაზე „დამატებითი საკითხავი“. ამ რუბრიკაში მოსწავლეები გაეცნობიან ლიტერატორ გია მურღულიას სტატიას და კითხვების საშუალებით გააანალიზებენ.

**აქტივობა 9.** მუშაობა რუბრიკაზე „ლიტერატურის თეორია“ –  ჟანრზე მუშაობა – ისტორიული პოემა და მისი მახასიათებლები (დამატებითი ინფორმაცია იხ.მასწ.წიგნში – გვ.61).

**აქტივობა 10.** დავით გურამიშვილის შემოქმედების შეფასება – ვაჟა-ფშაველას ლექსი: „დავით გურამიშვილის ხსოვნას“, ამონარიდი მკვლევარ რევაზ სირაძის წერილიდან და დავით გურამიშვილის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმის დირექტორის შეფასება (ტატიანა დიდენკო).

**აქტივობა 11.** თემატური პარალელი – აქ მოსწავლეები გაეცნობიან ნაწყვეტს გურამ დოჩანაშვილის რომანიდან „სამოსელი პირველი“ და კიდევ ერთხელ დაფიქრდებიან სიმართლის თქმის აუცილებლობასა და საზოგადოების დამოკიდებულებაზე მართალი ადამიანის მიმართ.

**აქტივობა 12.** მუშაობა რუბრიკაზე „გაიფართოვე თვალსაწიერი“, რომელიც ეხება „მართლის თქმის პრინციპის“ დამკვიდრებასა და მის არეკვლას გურამიშვილის შემოქმედებაში.

**აქტივობა 13.** რუბრიკაში „ჩვენ გირჩევთ“ მოცემული არგუმენტირებულ ესეზე მუშაობის სტრატეგიების გაცნობა-გაანალიზება.

**აქტივობა 14.** უშუალოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.

- იდეების წამოყენება მოსამზადებელ დავალებასთან დაკავშირებით;
- პირველადი ვერსიის შექმნა;
- საბოლოო ვერსიის მომზადება;
- დავალების წარდგენა, უკუკავშირის მიღება.

**კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):**

- აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით? რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებიათ?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყოთ წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?
- თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება?
- რატომ? რით? რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდით მიღწევებს/როგორ მიაღწევთ უკეთეს შედეგს?

- რა გზით, რომელი მხატვრული ხერხებით აყალიბებს მწერალი თავის სათქმელს. დაიმოწმე ციტატები (ენობრივ-გამომსახველობითი);
- როგორ არის ეს აზრი გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოების ფრაგმენტში გაცხადებული (კომპოზიცია);
- რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა დღეს (კომპოზიცია, კონტექსტი);
- ესეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა (ჟანრი).

**ნაშრომის წარდგენის შემდეგ ისაუბრე:**

- რომელ მინიშნებებს დაეყრდენი ტექსტებიდან შენი არგუმენტების ჩამოყალიბებისას?
- რატომ მიიჩნევ, რომ შენი ნამუშევარი არგუმენტირებული ესეა?
- რამდენად დაგეხმარა ძირითადი ტექსტის გაგებაში მხატვრულ სახეებზე დაკვირვება?

| | | | |
|---|---|---|---|
| 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია, დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. | ***შენიშვნა:*** აქტივობებსა და რუბრიკებში დამუშავებულ მასალასთან დაკავშირებული საინტერესო კრიტიკული წერილები მითითებულია მასწ. წიგნში გვ.61. | | |
| **გრძელვადიანი მიზნები**<br>სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები | „დავითიანის" შესწავლილი თავების, დ. გურამიშვილის ბიოგრაფიისა და სხვა დამუშავებული მასალების მიხედვით შემაჯამებელი მინილექციის ჩატარება.<br><br>**ცნებები**<br>ჟანრი – მინილექცია და მისი სტრუქტურა, მახასიათებლები;<br>**კომპოზიცია**<br>თემა, იდეა, მოქმედების დრო და ადგილი, პერსონაჟთა სახეები;<br>**კონტექსტი**<br>ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, ავტორის ბიოგრაფია, მისი ღირებულებები, მორალურ-ეთიკური ორიენტირები;<br>**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>ტროპის სახეები, თეზისი, არგუმენტები. | **საკვანძო შეკითხვები**<br>• როგორ ჩავატარო მინი-ლექცია?<br>• როგორ დავუკავშირო ერთმანეთს დ. გურამიშვილის ცხოვრება და შემოქმედება?<br>• როგორ წარმოვაჩინო პოეტის მსოფლმხედველობა?<br>• რა საკითხების გათვალისწინებით შევაფასო მწერლის ენა? | **შუალედური სასწავლო მიზანი**<br><br>**კომპლექსური დავალების პირობა** |
| **ჟანრი (ქართ.საშ.1,4,6,7)**<br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.<br>**2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე (ქართ. საშ.1,3,4,6,7)**<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა: | კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):<br>I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა:<br>• როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?<br>• რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?<br>• სახელმძღვანელოში მოცემული რომელი რუბრიკები დაგჭირდებათ დავალების შესრულებისას?<br>• თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? რის შესწავლა დაგჭირდებათ/რაში დაგჭირდებათ დახმარება?<br>• შესწავლილი მასალის შეჯამებისას რა ფაქტორები უნდა გაითვალისწინოთ?<br>• თქვენი აზრით, როგორ უკავშირდება ერთმანეთს მწერლის რეალური ცხოვრება და შემოქმედება? რა საკითხები უნდა განიხილოთ ამ პარალელების წარმოსაჩენად?<br>**II ეტაპი. კომპლექსური დავალების განხორციელება**<br>**აქტივობები:**<br>**აქტივობა 1.** თავის შესავალი და რუბრიკა „კითხვის დაწყებამდე" – ამ მასალებით მოსწავლე გაიგებს „დავითიანის" სტრუქტურის, მთავარი შინაარსობრივი მახასიათებლების შესახებ და დაუკვირდება სათაურს.<br>**აქტივობა 2.** ტექსტის გააზრებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში „ტექსტის გასააზრებლად" (გვ.153, 161) | | **მინილექცია**<br>შესწავლილი ტექსტის, აქტივობებსა თუ რუბრიკებში დამუშავებული მასალის მიხედვით მოამზადე მინილექცია თემაზე: დავით გურამიშვილი – პოეტი და მოქალაქე.<br>მინილექციის ჩატარებისას:<br>• ისაუბრე დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და „ქართლის ჭირში" გადმოცემული საკითხების შესახებ, რომლებიც წარმოაჩენს, თუ როგორი მოქალაქე იყო „დავითიანის" ავტორი, რა ღირებულებები ჰქონდა მას (კომპოზიცია, კონტექსტი); |

- ლექსში – თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტურულორგანიზაციული ელემენტების – მეტრის, რითმის;
- პოემაში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულორგანიზაციული ელემენტების – მეტრისა და რითმის;
- მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;
- არამხატვრულ ტექსტებში – იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;

2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით.

3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის.

4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე სტრუქტურულორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია, დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**

**(ქართ.საშ.4,6,7)**

1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.

2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.

**აქტივობა 3.** შემდეგი რუბრიკების დამუშავება: „კრიტიკული აზროვნებისათვის“ და „ლექსიკაზე მუშაობა“.

**აქტივობა 4.** ტექსტიდან გამომდინარე თეზისის ჩამოყალიბება ამ აქტივობით მოსწავლეები განამტკიცებენ ცოდნას, როგორ ჩამოაყალიბონ თეზისი.

**აქტივობა 5.** რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“ (გვ.162-163). – ამ რუბრიკაში აქცენტი გაკეთებულია პოეტის რელიგიურ მსოფლმხედველობასა და ნაწარმოების მხატვრულ მხარეზე.

**აქტივობა 6.** აფორიზმებზე მუშაობა

**აქტივობა 7.** წაკითხულის გააზრება – ეს აქტივობა ემსახურება იმ მონაკვეთის საფუძვლიანად გააზრებას, რომლის მიხედვითაც უნდა წეროს კომპლექსური დავალება (პასუხები იხ. მასწ. წიგნში – გვ.75).

**აქტივობა 8.** მუშაობა რუბრიკაზე „დამატებითი საკითხავი“. ამ რუბრიკაში მოსწავლეები გაეცნობიან ლიტერატორ გია მურღულიას სტატიას და კითხვების საშუალებით გააანალიზებენ.

**აქტივობა 9.** მუშაობა რუბრიკაზე „ლიტერატურის თეორია“ – ჟანრზე მუშაობა – ისტორიული პოემა და მისი მახასიათებლები (დამატებითი ინფორმაცია იხ.მასწ.წიგნში – გვ.61).

**აქტივობა 10.** დავით გურამიშვილის შემოქმედების შეფასება – ვაჟაფშაველას ლექსი: დავით გურამიშვილის ხსოვნას, ამონარიდი მკვლევარ რევაზ სირაძის წერილიდან და დავით გურამიშვილის ლიტერატურულმემორიალურ მუზეუმის დირექტორის შეფასება (ტატიანა დიდენკო).

**აქტივობა 11.** თემატური პარალელი – აქ მოსწავლეები გაეცნობიან ნაწყვეტს გურამ დოჩანაშვილის რომანიდან „სამოსელი პირველი“ და კიდევ ერთხელ დაფიქრდებიან სიმართლის თქმის აუცილებლობასა და საზოგადოების დამოკიდებულებაზე მართალი ადამიანის მიმართ.

**აქტივობა 12.** მუშაობა რუბრიკაზე „გაიფართოვე თვალსაწიერი“, რომელიც ეხება „მართლის თქმის პრინციპის“ დამკვიდრებასა და მის არეკვლას გურამიშვილის შემოქმედებაში.

**აქტივობა 13.** რუბრიკაში „ჩვენ გირჩევთ“ მოცემული არგუმენტირებულ ესეზე მუშაობის სტრატეგიების გაცნობაგაანალიზება.

**აქტივობა 14.** უშუალოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.

- იდეების წამოყენება მოსამზადებელ დავალებასთან დაკავშირებით;
- პირველადი ვერსიის შექმნა;

- შეაფასე დავით გურამიშვილი, როგორც პოეტი. იმსჯელე, რა არის მისი მთავარი საფიქრალი, როგორია სამშობლოდან გადახვეწილი მწერლის ენა, რა ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს იყენებს იგი სათქმელის გადმოსაცემად (კომპოზიცია, კონტექსტი, ენობრივ-გამომსახველობითი);
- დაიცავი ლექციის სტრუქტურა – ყურადღება მიაქციე შესავალს, ძირითად ნაწილსა და დასასრულს (ჟანრი);
- გაითვალისწინე აუდიტორიის მზაობა და ინტერესები (ჟანრი);

ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

- ტექსტის რომელი მონაკვეთები, რა მინიშნებები დაგეხმარა მინილექციის მოსამზადებლად?
- ნაწარმოების რომელ მახასიათებლებზე დაყრდნობით ისაუბრე მწერლის ენაზე?
- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაშრომი სტრუქტურულად გამართული იყო?
- რა მიგანიშნებს, რომ შენი მინილექცია საინტერესო იყო სამიზნე აუდიტორიისთვის?

3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად;

- მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;
- არამხატვრულ ტექსტებში – იდეების/ საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულორგანიზაციული ელემენტების;

2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით.

3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/ მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის.

4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე, სტრუქტურულორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია, დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**

**(ქართ.საშ.4,6,7)**

1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.

2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.

3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად;

- საბოლოო ვერსიის მომზადება;
- დავალების წარდგენა, უკუკავშირის მიღება.

**კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვების ბანკი**

(შეირჩევა საჭიროებისამებრ):

**აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;**

- რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით? რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებიათ?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყოთ წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?
- თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება?
- რატომ? რით? რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდით მიღწევებს/როგორ მიაღწევთ უკეთეს შედეგს?

შენიშვნა: აქტივობებსა და რუბრიკებში დამუშავებულ მასალასთან დაკავშირებული საინტერესო კრიტიკული წერილები მითითებულია მასწ. წიგნში, გვ. 61.

<table>
<tr>
<td>გრძელვადიანი მიზნები<br>სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი<br>კონკრეტულ ამონარიდზე დაყრდნობით მწერალთა ენაზე დაკვირვება და ანალიზის დაწერა.<br><br>ცნება<br>ენობრივ-გამომსახველობითი<br><br>ტროპის სახეები<br>პირის ნიშანთა მართლწერა</td>
<td>საკვანძო შეკითხვები<br>• როგორ გავაანალიზო მწერლების მიერ გამოყენებული ტროპის სახეები?<br>• როგორ გამოვიყენო მწერლის ენაზე დასაკვირვებლად შესწავლილი გრამატიკული საკითხები?</td>
<td>შუალედური სასწავლო მიზანი<br><br>კომპლექსური დავალების პირობა</td>
</tr>
<tr>
<td>3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (ქართ.საშ.4,6,7)<br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად;<br>4) კონტექსტი (ქართ.საშ.2,5)<br>1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.<br>2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):<br>I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა<br>• როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?<br>• რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?<br>• თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? რის შესწავლა დაგჭირდებათ/რაში დაგჭირდებათ დახმარება?<br>• კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):<br>I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა<br>• რომელი გრამატიკული საკითხები შევისწავლეთ?<br>• რამდენად დავინახეთ განსხვავება ამ საკითხების დახმარებით ძველსა და ახალ ქართულს შორის?<br>• რამდენად გვეხმარება ნაწარმოების უკეთ გაგება-გააზრებაში მწერლის ენაზე დაკვირვება?<br>II ეტაპი: კომპლექსური დავალების განხორციელება აქტივობები:<br>აქტივობა 1. „ენის სამყაროში “ (გვ.181-189) შემავალი თეორიული საკითხებისა და დავალებების დამუშავება.<br>აქტივობა 3. უშუალოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.<br>• იდეების წამოყენება მოსამზადებელ დავალებასთან დაკავშირებით;<br>• ანალიზისთვის საბოლოო სახის მიცემა.<br>• საბოლოო ვერსიის მომზადება;<br>• დავალების წარდგენა, უკუკავშირის მიღება.<br>• კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):<br>  • აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;<br>  • რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით?<br>  • რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?</td>
<td>მწერლის ენაზე დაკვირვება<br>ყურადღებით გაეცანი ამონარიდებს „ვეფხისტყაოსნიდან“ და „დავითიანიდან“.<br>ა. „ვეფხისტყაოსანი“<br>ა. ვის ჰშვენის, – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა, –<br>მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა, –<br>მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შე-რისა?<br>მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი-შერისა.<br>ბ. შენ გიცი კარგი მოყვარე, ერთგული, მისანდობელი. მათ უვის ერთი ასული, მზე ხმელთა მანათობელი.<br>გ. მაშა რათგან მიჯნურობა შენად ღონედ მოიგონე, არ ეგების, ამას იქით თუმცა თავი არ გამონე;<br>დ. აწ რაცა გითხრა, თუ ამა საქმესა დამმორჩილდები, რასაცა ეძებ, მიჰხვდები, უცილოდ არ ასცილდები;<br>თუ არ მომისმენ, ვერ ჰპოვებ, რაზომმცა ცრემლსა ჰმილდები,<br>მოგხვდების მდურვა სოფლისა, მოჰკვდები გა-ცასწბილდები.</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად. | • მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებიათ?<br>• რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყოთ წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?<br>• თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?<br>• რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?<br><br>როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდით მიღწევებს/როგორ მიაღწევთ უკეთეს შედეგს?<br>შენიშვნა: მხატვრულ სახეებზე თეორია და სავარჯიშოები იხ. მასწ. წიგნში, გვ. 61-66. | ე. ვინმცა გასძლნა ჭირნი ჩემნი, ანუ ვინმცა შეეცადა?<br>შენგან კიდე ხორციელი, დაო, მივის არასადა".<br>**ბ. „დავითიანი"**<br>ა. მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი<br>არა ჰფარავს:<br>მეტად მწარედ გული მტკივა,<br>მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს!<br>ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო,<br>აღმა მხვნელსა, დაღმა მბარავს,<br>ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხრელს,<br>ამამბზარავს!<br>ბ. ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის,<br>თუ არ ბრძენი, ენა-მჭევრი,<br>იფქლი ღვარძლად გარდაიქცა,<br>ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი.<br>ერთმან მტერმან ათს მათსა სცის,<br>ორმან წარიქცივის ბევრი,<br>მცირედ დარჩა ცოდვისაგან<br>კაცი ღვთისგან შენაწევრი.<br>თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ,<br>ღლიღვი, დიდო, ქისტი,<br>სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ<br>წაკრა თვითო ქიშტი!<br>მერმე შინათ აიშალნენ,<br>ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი;<br>თავის თავსა ხმალი იცეს,<br>გულთა მოიხვედრეს ხიშტი!<br>ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს<br>და წაეკიდოს,<br>მას ცემოს და თვით იცემოს,<br>დაქოჩროს და დაეკიდოს,<br>რა ორნივე დაღალულნი ძალმან ნახოს,<br>პირი ჰკიდოს, –<br>ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა,<br>ლეკთა, დიდოს!<br><br>**ნამუშევარში:**<br>• ამოწერე ტროპის სახეები და გააანალიზე, რას გამოხატავს თითოეული მათგანი (ენობრივ-გამომსახველობითი)<br>• ამოწერე ყველა ზმნა, გამოყავი პირის ნიშნები, შეადარე ახალ ქართულ ენას. იმსჯელე, რომელ წესებს არღვევს ზოგიერთი მათგანი (ენობრივ-გამომსახველობითი).<br>• ცალკე გამოყავი გამორჩეული ზმნები, იმსჯელე, რატომაა საინტერესო აღნიშნული ზმნები როგორც ენობრივად, ისე მხატვრული თვალსაზრისით (ენობრივ-გამომსახველობითი).<br><br>**ნამუშევრის წარდგენისას:**<br>• როგორ დაგეხმარა გრამატიკული საკითხების ცოდნა მოცემული ტექსტების ენობრივი ანალიზისას?<br>• რამდენად გამოიკვეთა თითოეული მწერლის თავისებურებები ენობრივი თვალსაზრისით?<br>• რამდენად გაგიადვილდა მხატვრულ მხარეზე დაკვირვება კონკრეტული გრამატიკული წესების მოშველიებით? |

# კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა

ჩვენი სახელმძღვანელო აგებულია კომპლექსურ დავალებებზე. ისინი შეტანილია მასწავლებლის წიგნში მოცემულ თემატურ მატრიცებში, რომლებიც აჩვენებს, თუ როგორ უკავშირდება აქტივობები და კომპლექსური დავალებები ერთმანეთს და როგორ მოიცავს თითოეული თემა ყველა ცნებას. თუმცა თქვენ, მასწავლებლები, აბსოლუტურად თავისუფალი ხართ სასკოლო კურიკულუმის შედგენისას და შეგიძლიათ, თვითონაც შექმნათ კომპლექსური დავალებები და  შეიტანოთ მასში.
ამიტომაც მატრიცებს თან დავურთავთ კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რათა შედგენისას დარწმუნდეთ, რომ ნამდვილად სწორი გზით მიდიხართ.

| კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები | არ აკმაყოფილებს | ნაწილობრივ აკმაყოფილებს | სრულად აკმაყოფილებს | კომენტარი |
|---|---|---|---|---|
| კონტექსტი | | | | |
| 1) მკაფიოა რა ფორმით/რა პროდუქტის სახით უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ დავალება (რა ფორმაში უნდა გამოხატოს საკუთარი ცოდნა); | | | | |
| 2) კომპლექსური დავალების კონტექსტი ახლოს დგას მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან:<br>• მოსწავლისთვის ნაცნობია/იოლად აღქმადია დავალების ფორმა (არ სჭირდება იმაზე დაფიქრება, თუ რა ფორმაში უნდა გამოხატოს საკუთარი ცოდნა);<br>• მოსწავლისთვის ნაცნობია/იოლად აღქმადია ცხოვრებისეული სფერო/კონტექსტი, რომელშიც მას ახალი ცოდნის ტრანსფერი ევალება (ბუნებრივი და იოლად აღქმადია ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელსაც მოსწავლეს კომპლექსური დავალების პირობა სთავაზობს). | | | | |
| 3) კომპლექსური დავალებისთვის კონტექსტი იმგვარადაა შერჩეული, რომ ის ბუნებრივად უკავშირდება საგნობრივ საკითხს, რომლის შესწავლასაც კომპლექსური დავალება ემსახურება | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ახალი ცოდნა | | | | |
| 4) მკაფიოდ ჩანს ერთი კონკრეტული (და არა ზოგადი) საგნობრივი საკითხი, რომელსაც კომპლექსური დავალება შეეხება. | | | | |
| 5) საკითხი იმგვარადაა შერჩეული, რომ ლოგიკურია მისთვის სასწავლო პროცესის ვრცელი მონაკვეთის დათმობა. | | | | |
| 6) დავალების პირობა იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ მოსწავლეს მის შესასრულებლად აუცილებლად სჭირდება საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი ცოდნის შეძენა და პროცედურებზე მუშაობა. | | | | |
| 7) მკაფიოა, თუ რა რესურსზე დაყრდნობით უნდა შეძლოს მოსწავლემ კომპლექსური დავალების პირობასთან მიმართებით საგნობრივი საკითხის შესწავლა. | | | | |
| განზოგადება | | | | |
| 8) შეფასების კრიტერიუმები მკაცრ კორელაციაშია სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან. | | | | |
| 9) შეფასების კრიტერიუმები ბუნებრივად ერწყმის კომპლექსური დავალების პირობას. | | | | |
| 10) შეფასების კრიტერიუმები ფორმულირებულია იმგვარად, რომ მათი დაკმაყოფილებისთვის მოსწავლეს ფაქტობრივი და პროცედურული ცოდნა სჭირდება. | | | | |

# განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

(ამონარიდი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მომზადებული გზამკვლევიდან)

როგორ უნდა შეფასდეს მოსწავლის მიღწევები?

სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებასთან უშუალოდ არის დაკავშირებული მოსწავლის შეფასება. სწავლება და შეფასება ერთი მედლის ორი მხარეა და არ წარმოადგენს ერთმანეთისგან იზოლირებულ ორ კომპონენტს. მოსწავლე შეიძლება შეფასდეს უშუალოდ სასწავლო პროცესში, სპეციალურად დანიშნული გამოკითხვებისა და საკონტროლო წერების გარეშე. აღსანიშნავია ისიც, რომ განმავითარებელ შეფასებაში შემფასებელი შეიძლება იყოს როგორც მასწავლებელი, ასევე მოსწავლეც. მაგალითად, მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, გასცენ და მიიღონ უკუკავშირი თავიანთი თანაკლასელებისგან და ასევე აქტიურად გამოიყენონ მეტაკოგნიტური და კოგნიტური სტრატეგიები თვითშეფასების მიზნით.

სწავლის პროცესის შეფასებაში ამგვარი ჩართულობა მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას შეასწავლის ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

| | საკლასო შეფასება | | გარე შეფასებები |
|---|---|---|---|
| განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი? | განმავითარებელი | განმსაზღვრელი | განმსაზღვრელი |
| შეფასების ფორმები და შემფასებლები | მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, ცოდნის/გაგების შემამოწმებელი კითხვები, რუბრიკები, ქვიზები და ა.შ.<br>მოსწავლეები: თვითშეფასება, თვითრეგულირებული სწავლა (მეტაკოგნიცია და თვითრეგულაცია), ურთიერთშეფასება | მასწავლებელი: ქულით ან/და კომენტარით შეფასებული შემაჯამებელი შეფასებები (ქულას შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით) | გარე შემფასებელი: ერთიანი ეროვნული გამოცდები, სტანდარტიზებული ტესტები, Cambridge KET, PET, FCE; PISA, PIRLS, TIMMS |
| ამოცანები | ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება;<br>წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა;<br>მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება;<br>მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება;<br>ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება;<br>ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება. | ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება;<br>ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება;<br>ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.<br>კურიკულუმის, გამოყენებული ინსტრუქციული სტრატეგიების ეფექტურობის შეფასება და ა.შ. | აკადემიური წლის განმავლობაში ცოდნის შემაჯამებელი შეფასება; მოსწავლეების სელექცია უნივერსიტეტებში ჩასარიცხად და ა.შ. |
| მიზნები | სწავლის ხარისხის გაუმჯობესება;<br>მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა. | მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთა მიმართებაში. | სასერტიფიკატო შეფასება, მოსწავლეების მიღწევის დონის შეფასება. |

აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლებელია ყოველი განმსაზღვრელი შეფასების შედეგი, იქნება ეს ნიშანი თუ რეკომენდაცია, გამოყენებული იქნეს განმავითარებელი მიზნებისთვისაც.

განმავითარებელი შეფასების წარმოებისას მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს განმავითარებელი შეფასების 5 სტრატეგია/ფაქტორი:

- რომელ მიზანზეა (გრძელვადიანი/შუალედური) ორიენტირებული განმავითარებელი შეფასება;
- რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას?
- რამდენად ეფექტურად გამოიყენება განმავითარებელი უკუკავშირი მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად?
- რამდენად იყენებენ მოსწავლეები ურთიერთშეფასების სტრატეგიებს?
- რამდენად აქცევს მოსწავლე ყურადღებას მეტაკოგნიტურ ასპექტებს?

| | საით მიემართება მოსწავლე | რა ეტაპზეა ახლა მოსწავლე | როგორ მივაღწიოთ მიზანს |
|---|---|---|---|
| მასწავლებელი | რა სასწავლო მიზნებთან, მათ შორის გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირთან, მიმართებით ყალიბდება განმავითარებელი შეფასება? | რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას? | რამდენად ეფექტურად გამოიყენება განმავითარებელი უკუკავშირი მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად? |
| თანატოლი | | რამდენად იყენებენ მოსწავლეები ურთიერთშეფასების სტრატეგიებს? | |
| მოსწავლე | | რამდენად აქცევს მოსწავლე ყურადღებას მეტაკოგნიტურ ასპექტებს? | |

განმავითარებელი შეფასების ნაწილს წარმოადგენს ასევე მასწავლებლის თვითრეფლექსია, ანუ იმის ანალიზი, თუ რამდენად მოახდინა მასწავლებლის საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე; რა უნდა იქნას გათვალისწინებული შემდგომ პერიოდში სასწავლო პროცესის დაგეგმვისას.

| განმავითარებელი შეფასება | | |
|---|---|---|
| მიზნობრივი ორიენტირი | მეტაკოგნიცია | ფუნქციური/კომპონენტური უნარები |
| მოსწავლის მიღწევების აღწერა –<br>რჩევა მოსწავლეებს –<br>მასწავლებლის თვითრეფლექსია – | | |

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივად აგების (კონსტრუირების) საშუალებას.

მოსწავლის მიღწევების გაანალიზებაში მასწავლებელს დაეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ზემოთ ნახსენები ტაქსონომია, რომლის საშუალებითაც კონკრეტულ საკითხთან მიმართებით სამიზნე ცნების გააზრების ხარისხი აღიწერება.

**განმსაზღვრელი შეფასებისთვის** ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ორი მოდელი გამოიყენება.

**მოდელი 1** – ნიშანი იწერება მიმდინარე საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალების კომპონენტებში, ხოლო სემესტრული ქულა გამოითვლება ამ სამი კომპონენტის საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე.

**მოდელი 2** – ნიშანი იწერება მხოლოდ შემაჯამებელ დავალებებში. მათ რაოდენობას თავად სკოლა განსაზღვრავს სასკოლო სასწავლო გეგმის პრიორიტეტებიდან გამომდინარე.

სკოლას უფლება აქვს სხვადასხვა კლასში, სხვადასხვა საგანში განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა მოდელი გამოიყენოს.

ქვემოთ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკა, რომელიც წარმოაჩენს, თუ რა ნიუანსები უნდა შეფასდეს ნიშნით სწავლა-სწავლების პროცესში.

| ზოგადი კრიტერიუმი (ზოგადი) | შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტული) | ქულა | კომენტარი |
|---|---|---|---|
| მოსწავლე აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში | მოსწავლემ მართებულად გაიგო კომპლექსური დავალების პირობა. | | |
| მოსწავლე ამჟღავნებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას; პროცედურული ცოდნის გამოყენებით განაზოგადებს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს. | | | |
| მოსწავლეს შეუძლია განაზოგადოს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმის სახით ჩამოყალიბებული მოსაზრებები. | კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმი 1. | | |
| | კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმი 2. | | |

# სოლოტაქსონომია

**რა არის სოლოტაქსონომია (ანუ დაკვირვებადი სწავლის შედეგების ტაქსონომია)?**

სოლოტაქსონომია არის შეფასების მოდელი, რომელიც უფრო კოგნიტურ პროცესებზეა ორიენტირებული, ვიდრე – მიღწეულ შედეგებზე. მისი გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია, უკეთ გააანალიზოს მოსწავლის პასუხები და გაიგოს, რომელ დონეს მიაღწია და როგორი პროგრესი აქვს სააზროვნო პროცესებში კონკრეტულ მოსწავლეს.

სწავლების კონსტრუქტივისტულ თეორიაზე დაფუძნებით. სოლოტაქსონომია მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს, დააკვირდეს მოსწავლის კოგნიტური განვითარების პროცესს და მისცეს კონსტრუქციული უკუკავშირი, რომელიც სწავლაში დაეხმარება.

**სოლოტაქსონომიაში გამოიყოფა 5 ძირითადი დონე:**

- პრესტრუქტურული დონე – მოსწავლეს არ ესმის დავალების პირობა, საკითხები, რომლებსაც დავალება უკავშირდება, მისთვის სრულიად უცნობია, ამიტომ ვერ ახერხებს გაგებას და შესაბამისად, შესრულებას.
- უნისტრუქტურული დონე – მოსწავლეს აქვს მხოლოდ ძირითადი კონცეფცია საგნის ან დავალების შესახებ; მას შეუძლია მარტივი, აშკარა, ზედაპირული კავშირის დამყარება, მაგრამ ინფორმაციის ფართო მნიშვნელობას ვერ იგებს.
- მულტისტრუქტურული დონე – მოსწავლე აცნობიერებს საგნის ან დავალების რამდენიმე ასპექტს, მაგრამ ვერ იაზრებს მას ცნებების დონეზე. ის ამყარებს მთელ რიგ კავშირებს, მაგრამ მთლიანობის მნიშვნელობა არ ესმის. მოსწავლეს შეუძლია ჩამოთვალოს, განსაზღვროს, აღწეროს, დააკავშიროს, შეუსაბამოს ან გააკეთოს ალგორითმები. ამ დონის შეფასება, პირველ რიგში, რაოდენობრივია.
- მიმართებითი დონე – მოსწავლეს შეუძლია სწორად გაიგოს საკითხი, ინფორმაცია. მისი ცოდნა არ არის დანაწევრებული, ის ასრულებს დავალებას არა რაოდენობრივად, არამედ მთლიანობაში; არსობრივად, საგნობრივი ცნებების დონეზე აქვს გააზრებული, რასაც აკეთებს.
- მოსწავლეთა სწავლის შედეგები აჩვენებს შედარების, მიზეზ-შედეგობრივი აზროვნების, თანმიმდევრობის, ანალიზის, მთლიანი აზროვნების, ანალოგის გამოყენებისა და კითხვების ფორმულირების მტკიცებულებებს. ეს ის დონეა, რომელიც საგნის ადეკვატურ გაგებას გულისხმობს.
- გაფართოებული აბსტრაქტული – ამ დონეზე მოსწავლე იაზრებს საკითხს, ინფორმაციას, დავალებას არა მარტო მოცემულ საგნობრივ ჭრილში. მას შეუძლია განაზოგადოს, შეიტანოს თავისი პირადი გამოცდილებაც, გამოამჟღავნოს ზოგადი განათლება, შექმნას ახალი იდეები და კონცეფციები; შეუძლია პროგნოზირება, განზოგადება, შეფასება, თეორიზაცია, ჰიპოთეზირება, შექმნა და ასახვა.

სოლოტაქსონომია იძლევა შესაძლებლობას, რომ დავაკვირდეთ არა მხოლოდ მოსწავლის კოგნიტურ შესაძლებლობებს და კონსტრუქციული კომენტარებით დავეხმაროთ მას, უკეთ გაიაზროს ესა თუ ის საკითხი, არამედ ძალიან კარგი ინდიკატორია მასწავლებლისთვის, შეაფასოს, სწორად წარმართა თუ არა სწავლების ეტაპები კომპლექსურ დავალებამდე. მაგალითად, თუკი სოლოტაქსონომიით შეფასებული ნაშრომების უმეტესობა ვერ სცდება მულტისტრუქტურულ დონეს, ეს უნდა იყოს მინიშნება მასწავლებლისთვის, რომ მეტი იმუშაოს ცნებების თვალსაზრისით თავის მოსწავლეებთან, უფრო მეტი აქტივობა გააკეთებინოს მათ, სანამ კომპლექსურ დავალებას შეასრულებდნენ.

საგულისხმო და გასათვალისწინებელია, რომ სოლოტაქსონომია ძალიან საჭირო და კარგი ინსტრუმენტია მხოლოდ განმავითარებელი შეფასებისთვის და მისი განმსაზღვრელ შეფასებად გამოყენება (დონეების მიხედვით ქულების განაწილება) დაუშვებელია.

# სოლო ტაქსონომია

რუბრიკა ივსება თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალურად

მოსწავლის სახელი, გვარი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

საგანი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ ქართული ენა და ლიტერატურა _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

საკითხი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

კომპლექსური დავალების პირობა: _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

| კრიტერიუმი --/-- სამიზნე ცნება | ჟანრი | კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე | ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები | კონტექსტი | |
|---|---|---|---|---|---|
| აბსტრაქტული დონე<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | ***მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე*** | | | | |
| მიმართებითი დონე<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მულტისტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იგივე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იგივე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იგივე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იგივე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. | |
| უნისტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით (მაგ. სათაურის პერიფრაზირებით) | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით (მაგ. სათაურის პერიფრაზირებით) | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით (მაგ. სათაურის პერიფრაზირებით) | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით (მაგ. სათაურის პერიფრაზირებით) | |
| პრე-სტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. |

**SOLO** ტაქსონომიის გამოყენებისას ყურადღება მიაქციეთ რამდენიმე გარემოებას:

4. რუბრიკაში მოცემულია საგნის ყველა სამიზნე ცნება. მასწავლებელს ყველა მათგანის შევსება არ ევალება, რუბრიკაში ის სამიზნე ცნების სვეტი უნდა შეავსოს, რომელსაც კომპლექსური დავალება ეხება;

5. კომენტარის გაკეთებისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს რომელ ცნებასთან და რომელ დონესთან მიმართებით აღიწერება მოსწავლის მიღწევები და შემდეგ შესაბამის გრაფაში ჩაწეროს კომენტარი. ამდენად, მასწავლებელი ავსებს მხოლოდ და მხოლოდ ერთ გრაფას;

6. მასწავლებელი განმავითარებელ შეფასების კომენტარს წერს არა ყოველი გაკვეთილის ბოლოს, არამედ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ.

# განმსაზღვრელი შეფასება

კომპლექსური დავალებებით მუშაობისას უპირატესობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას, მასწავლებლის კომენტარს, რომელიც ეხმარება მოსწავლეს, გააუმჯობესოს თავისი ცოდნა და მიღწევები, უჩვენებს გზას, ეს როგორ მოახერხოს. განმსაზღვრელი შეფასება კი ზომავს შედეგებს. დღესდღეობით სასწავლო პროცესში ორივე გამოიყენება. კომპლექსური დავალება, პირობის გარდა, მოიცავს კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია განმსაზღვრელი შეფასების გაკეთებაც – კრიტერიუმებზე კონკრეტული ქულების განაწილება.

გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს:

## სინთეზური ესე

„შუშანიკის წამების" ტექსტსა და რუბრიკა „გაიფართოვე თვალსაწიერში" თავმოყრილ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაწერე სინთეზური ესე:

***ადამიანები, რომლებიც ერთგულობენ რწმენას, პრინციპს, საკუთარ შეხედულებებს და სიცოცხლის ფასად იცავენ მათ – გმირებად ირაცხებიან.***

***საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ადამიანისთვის უმთავრესი ღირებულება სიცოცხლეა. არაფერი ღირს სიცოცხლის დათმობად.***

დასაბუთებული მსჯელობით დაეთანხმე ან უარყავი მოცემული მოსაზრება.

წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

**ნამუშევარში:**

- არგუმენტირებულად გადმოეცი საკუთარი თვალსაზრისი მოცემულ თეზისზე;
- თვალსაზრისის გადმოცემისა და არგუმენტირებისას გამოიყენე პირობაში

მითითებული მასალა; (კომპოზიცია, კონტექსტი, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები)

- მოიყვანე კონკრეტული მაგალითები მითითებული მასალიდან, რომლებითაც დაასაბუთებ შენს მოსაზრებებს (ჟანრი);
- დაიცავი ესეს სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა (ჟანრი, კომპოზიცია).

**ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინე:**

- რატომ არის შენი ნაშრომი სინთეზური ესე?
- რა ხერხები და საშუალებები გამოიყენე მკითხველის დასარწმუნებლად;
- რომელ მათგანს გამოარჩევდი და რატომ?
- სახელმძღვანელოს ამ ნაწილში თავმოყრილი რომელი მასალა გამოიყენე შენი პოზიციისა და არგუმენტების ჩამოსაყალიბებლად? რა ფორმით?

## I კრიტერიუმი

| საკუთარი თვალსაზრისის არგუმენტირებულად გადმოცემა | 4 ქულა |
|---|---|
| ნაშრომში ნათლადაა ჩამოყალიბებული მოსწავლის თვალსაზრისი, რომელიც გამყარებულია დამაჯერებელი არგუმენტებით და არგუმენტები გამომდინარეობს მითითებული მასალიდან. | 4 ქულა |
| ნაშრომში ნათლადაა ჩამოყალიბებული მოსწავლის თვალსაზრისი, მსჯელობა არგუმენტირებულია, თუმცა ზოგიერთი მათგანი არ ეყრდნობა მითითებულ მასალას. | 3 ქულა |
| ნაშრომში ნათლადაა ჩამოყალიბებული მოსწავლის თვალსაზრისი, მსჯელობა არგუმენტირებულია, თუმცა არგუმენტების უმრავლესობა არ ეყრდნობა მითითებულ მასალას/ ან არგუმენტირება არასრულყოფილია, თუმცა ეყრდნობა მითითებულ მასალას. | 2 ქულა |
| ნაშრომში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ბუნდოვანია, არ არის არგუმენტები ან არგუმენტაციისთვის არ იყენებს მითითებულ მასალას. | 1 ქულა |
| მსჯელობა ზედაპირულია, არ არის არგუმენტირებული. | 0 ქულა |

## II კრიტერიუმი

| მსჯელობისას უხვად არის მოხმობილი არგუმენტების შესაბამისი მაგალითები მითითებული მასალიდან | 4 ქულა |
|---|---|
| არგუმენტების უმეტესობა გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით მოცემული მასალიდან, თუმცა ერთ შემთხვევაში მაგალითი არაა ზუსტია ან საერთოდ არ ახლავს არგუმენტს. | 3 ქულა |
| მსჯელობისას მოყვანილი არასაკმარისია ან რამდენიმე შეუსაბამოა | 2 ქულა |
| მსჯელობისას მოხმობილია მხოლოდ ერთი მაგალითი ან რამდენიმე, მაგრამ მხოლოდ ერთი შეესაბამება არგუმენტს | 1 ქულა |
| მსჯელობისას არგუმენტები არ არის გამყარებული მაგალითებით | 0 ქულა |

## III კრიტერიუმი

| ესეს სტრუქტურა | 2 ქულა |
|---|---|
| ნაშრომში დაცულია ესეს სტრუქტურა, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. | 2 ქულა |
| ნაშრომში ნაწილობრივ დარღვეულია ანალიტიკური ესეს სტრუქტურა/ან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი | 1 ქულა |
| ნაშრომში არ არის დაცული ანალიტიკური ესეს სტრუქტურა, აბზაცები არასწორად ან საერთოდ არ არის გამოყოფილი. | 0 ქულა |

# რეფერატი

შეარჩიე ის თემა „ვეფხისტყაოსნიდან“, რომელმაც განსაკუთრებით დაგაინტერესა, მოიძიე და დაამუშავე სულ მცირე ორი წყარო მის შესახებ და შეადგინე სასწავლო რეფერატი.

**ნამუშევარი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:**

- შესავალში წარმოაჩინე ნაშრომის მიზანი, აქტუალობა და დაასახელე ის წყაროები, რომლებიც გამოიყენე;
- ძირითად ნაწილში წარმოადგინე მთავარი თემა, მიმოიხილე მასალები, სტატიები, რომელთა მიხედვითაც დაწერე რეფერატი, შეაფასე და გააანალიზე დამოწმებულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებები;
- ნამუშევრის დასკვნაში შეაჯამე სათქმელი;
- დაიცავი რეფერატის გაფორმებისა და გამოყენებული ლიტერატურის მითითების წესები.

**რეფერატის წარდგენისას ისაუბრე:**

- როგორ და რატომ შეარჩიე რეფერატის თემა;
- რამდენად დაგეხმარა რეფერატის მომზადება შენთვის საინტერესო საკითხების გააზრებაში;
- რა მიანიშნებს, რომ შენი ნამუშევარი ნამდვილად სასწავლო რეფერატია.

### I კრიტერიუმი

| შესავალი – ნაშრომის მიზნისა და აქტუალობის წარმოჩენა, წყაროების დასახელება | 2 ქულა |
|---|---|
| ნაშრომში ნათლადაა ჩამოყალიბებული ნაშრომის მიზანი და აქტუალობა, დასახელებულია ყველა გამოყენებული წყარო. | 2 ქულა |
| ნაშრომში ნაწილობრივ ჩამოყალიბებულია მიზანი და აქტუალობა, დასახელებულია ყველა გამოყენებული წყარო. | 1 ქულა |
| შესავალში არ ჩანს ნაშრომის მიზანი და აქტუალობა, არ არის დასახელებული წყაროები. | 0 ქულა |

### II კრიტერიუმი

| ძირითადი ნაწილი – მთავარი თემის წარმოდგენა,მასალების მიმოხილვა, მკვლევართა შეხედულებების გაანალიზება | 4 ქულა |
|---|---|
| ნაშრომში განხილულია მთავარი თემა, განხილულია საინტერესო მასალები და გაანალიზებულია არაერთი მკვლევრის შეხედულება. | 4 ქულა |
| ნაშრომში განხილულია მთავარი თემა, განხილულია საინტერესო მასალები, თუმცა გაანალიზების გარეშე მოხმობილია ერთი მკვლევრის შეხედულება. | 3 ქულა |
| ნაშრომში განხილულია მთავარი თემა, განხილულია სხვადასხვა მასალა, თუმცა გაანალიზების გარეშე მოხმობილია მკვლევართა შეხედულებები. | 2 ქულა |
| ნაშრომში განხილულია მთავარი თემა, განხილული მასალები მწირია, გაანალიზების გარეშე მოხმობილია მკვლევართა ყველა შეხედულება. | 1 ქულა |
| ნაშრომის თემა ბუნდოვანია, არ არის განხილული შესაბამისი მასალა და მკვლევართა შეხედულებები. | 0 ქულა |

### III კრიტერიუმი

| რეფერატის დასკვნა | 2 ქულა |
|---|---|
| ნაშრომის დასკვნაში შეჯამებულია თემა სრულყოფილად.ჩატეულია ყველა საკვანძო საკითხი. | 2 ქულა |
| ნაშრომის დასკვნაში შეჯამებულია თემა ნაწილობრივ. | 1 ქულა |
| ნაშრომს არა აქვს შემაჯამებელი ნაწილი, დასკვნა. | 0 ქულა |

### IV კრიტერიუმი

| რეფერატის სტრუქტურა და ლიტერატურის დამოწმების წესები | 2 ქულა |
|---|---|
| ნაშრომში დაცულია რეფერატის სტრუქტურა, გამოყოფილია სამი ძირითადი ნაწილი და სრულყოფილადაა დამოწმებული გამოყენებული ლიტერატურა. | 2 ქულა |
| ნაშრომში დაცულია რეფერატის სტრუქტურა, გამოყოფილია სამი ძირითადი ნაწილი, თუმცა გამოყენებული ლიტერატურის დამოწმების წესები დარღვეულია ან რეფერატის სტრუქტურა არ არის გამართული, თუმცა გამოყენებული ლიტერატურა სწორადაა დამოწმებული. | 1 ქულა |
| ნაშრომის სტრუქტურა გაუმართავია და არც გამოყენებული ლიტერატურის წესებია დაცული. | 0 ქულა |

# მასწავლებლის წიგნის დანართი

**დანართში მოცემულია დამატებითი ლიტერატურა მოსწავლის წიგნში შესული მნიშვნელოვანი საკითხების უკეთ დასამუშავებლად.**

### III თავი – სიბრძნის წიგნი – „ვეფხისტყაოსანი“

**IV ქვეთავი**

**1.** პავლეს ეპისტოლენი

პირველი – კორინთელთა მიმართ

**თავი მეცამეტე**

1. კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოჟღრიალე, მხოლოდ წკრიალა წინწილი.

2. წინასწარმეტყველების მადლიც რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო და მქონდეს მთელი რწმენა, ისე, რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ.

3. მთელი ჩემი ქონება რომ გავილო გლახაკთათვის და დასაწვავად მივცე ჩემი სხეული, სიყვარული თუ არა მაქვს, არას მარგია.

4. სიყვარული სულგრძელია და კეთილმოწყალე; სიყვარულს არ შურს, არ ქედმაღლობს, არ ზვაობს;

5. არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ იზრახავს ბოროტს;

6. არ შეჰხარის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს;

7. ყველაფერს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს.

8. სიყვარული არასოდეს არ გადავა, თუმცაღა წინასწარმეტყველებანი განქარდებიან, ენები დადუმდებიან და უქმი გახდება ცოდნა.

**2.** პლატონი „ნადიმი“

https://eon.ge/wp-content/uploads/2021/05/nadimi.pdf

**3.** რევაზ სირაძე, *სახისმეტყველება*, „სათაური – მხატვრული სახე“, „ფაბულა“, თბილისი 1982, გვ.187-194.

**4.** ელგუჯა ხინთიბიძე, *თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევებით კომენტირებული ვეფხისტყაოსანი*, „ესე ამბავი სპარსული...“, თბილისი 2018, გვ.47-50.

**VI ქვეთავი**

**5.** რედაქტორის სვეტის ნიმუშად გთავაზობთ ჟურნალ „მასწავლებლის“ რედაქტორის, ნატო ინგოროყვას წერილს. ჟურნალი ბეჭდური სახით რიგდება საჯარო სკოლებში, ელექტრონული ვერსია კი ხელმისაწვდომია „maswavlebeli.ge-ს“ ვებსაიტზე: https://cutt.ly/dVMUsiJ

▲ ბმულის სანახავად მიანათეთ მობილურის კამერა.

**6.** საბა მეტრეველი, *შოთა რუსთაველის პოემა და ქართული თეატრი*“, კრებული „რუსთველოლოგია“, VIII, თბილისი 2017, გვ.150-180.

https://literaturatmcodneoba.tsu.ge/rustvel%20VIII.pdf

▲ ბმულის სანახავად მიანათეთ მობილურის კამერა.

## 7. რჩევები ელექტრონული გაზეთის დასამუშავებლად

მასწავლებელი მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ ელექტრონულ გაზეთზე მუშაობა შრომატევადი პროცესი იქნება, მაგრამ ამ კომპლექსური დავალების შესრულებით მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ XXI საუკუნის მოქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, როგორებიცაა: კრიტიკული აზროვნება, წერითი მეტყველება, არგუმენტაცია, შეხედულებათა თავისუფლად გამოხატვა, მედიაწიგნიერება, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა და სხვ.

სასურველია, კომპლექსური დავალების შექმნამდე მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნოს რომელიმე ელექტრონული გაზეთი ან ჟურნალი, რათა მათ აუმაღლოს მოტივაცია და უფრო დააინტერესოს ისინი. მაგალითისთვის, შესაძლოა მოსწავლეებმა გაიცნონ თანატოლების მიერ შექმნილი ქართულენოვანი ჟურნალი „მატრიცა“ (ელექტრონული მისამართი – https://www.letterato.ge/journal), გადაფურცვლაც კი მარტივად დაანახვებს მოსწავლეს, რა ფუნქცია აქვს სხვადასხვა რუბრიკას. ამავე ეტაპზე, გამოწვევის ფაზაზე კარგი იქნება, თუ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მოძებნონ უცხოელ მოსწავლეთა მიერ შექმნილი ელექტრონული ჟურნალ-გაზეთები. საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება ახალ-ახალი იდეების გაჩენის შესაძლებლობაცაა.

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს კომპლექსური დავალების პირობას, უაღრესად მნიშვნელოვანია, დაიცვას დიფერენცირებული სწავლების პრინციპები, გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები ჯგუფებში მოსწავლეთა გადანაწილების დროს. კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს მიეცემათ თავისუფლება რუბრიკების არჩევისას.

თანასწორობის პრინციპების დასაცავად და მოსწავლეთა ინტერესების გასათვალისწინებლად მასწავლებლებს დაეხმარება სპეციალური კითხვარის მომზადება, რომელიც დაადგენს, რა შეუძლია, რა აინტერესებს და რა სურს მოსწავლეს, მაგალითად:

1. შემოხაზე, რომელი რუბრიკის მომზადებაში გსურს ჩაერთო:

- რედაქტორის სვეტი
- ახალი ამბები
- ნომრის სტუმარი
- ახალი ამბები
- სალაღობო გვერდი

2. ახსენი, რატომ დაგაინტერესა მონიშნულმა რუბრიკამ.

3. როგორ დაეხმარები შენს ჯგუფს რუბრიკის მომზადებაში? ისაუბრე, რის გაკეთებას შეძლებ, რა ფუნქციას დაიკისრებ ელექტრონული გაზეთის მზადებისას.

რედაქტორის სვეტზე მუშაობა განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან რედაქტორი პასუხისმგებელია არა მარტო შესავალ წერილზე, რომელშიც თავის ხედვასა და პრობლემის ანალიზს შესთავაზებს მკითხველს და საკუთარ დამოკიდებულებას გააცნობს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, არამედ – მთელი გაზეთის შინაარსობრივ გამართულობაზე. მიზანშეწონილია, მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნოს რედაქტორის ფუნქცია და პასუხისმგებლობა და მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს არჩევის შესაძლებლობა – შესაბამისად, იმ მოსწავლეებს, რომლებიც ამ ჯგუფში მოხვედრას მოისურვებენ, უნდა ჰქონდეთ მზაობა არა მხოლოდ სხვადასხვაგვარი წერილის წერისა, არამედ სხვა სტატიების წაკითხვა-გასწორებისა.

ასეთივე მუშაობაა საჭირო ნებისმიერი რუბრიკის მოსამზადებლად. მოსწავლეებს დასჭირდებათ სანიმუშო მასალების გაცნობა, რათა თავად განსაზღვრონ საკუთარი შესაძლებლობები და სურვილისამებრ აღმოჩნდნენ რომელიმე ჯგუფში.

**VIII ქვეთავი**

**8. ელგუჯა ხინთიბიძე,** ***როგორ შევისწავლოთ და როგორ ვასწავლოთ რუსთველი*****, კრებული „ქართული ენა და ლიტერატურა“ (მასწავლებლის ბიბლიოთეკა), ტ. III, სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბილისი** 2009, გვ. 242-249.

**9.** გიგი თევზაძე, *„ვეფხისტყაოსანი“, როგორც პოლიტიკური და სოციალური უტოპია*, კრებული „სხვა ის-ტორია“, სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2018, გვ. 40-50.

https://www.academia.edu/40068273/gigi–TevzaZe–sxva–istoria–2018

▲ ბმულის სანახავად მიანათეთ მობილურის კამერა.

**10.** ზაალ ანდრონიკაშვილი, „რუსთაველის კულტურული რევოლუცია“.

https://indigo.com.ge/articles/rustavelis-kulturuli-revolucia/

▲ ბმულის სანახავად მიანათეთ მობილურის კამერა.

**11.** რჩევები რეფერატის დასამუშავებლად

ძალიან მნიშვნელოვანია, საშუალო საფეხურის მოსწავლემ იცოდეს, რა არის რეფერატი და როგორ უნდა მოამზადოს ის. უნივერსიტეტის სტუდენტს პირველი კურსიდან უწევს რეფერატის დაწერა, სჭირდება იმის ცოდნა, როგორ მოიძიოს ლი-ტერატურა, როგორ მიუთითოს გამოყენებული მასალები და ებრძოლოს პლაგიატს, ამ ყველაფრისათვის კი სასურველია, მან სკოლაში მიიღოს გამოცდილება.

რა უნდა გაითვალისწინოს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, როდესაც მოსწავლეებს მოუწევთ ისეთი საპასუხისმგებლო კომპლექსური დავალების შესრულება, როგორიცაა რეფერატის მომზადება „ვეფხისტყაოსნის“ შესა-ხებ?

- უპირველეს ყოვლისა, გირჩევთ, გაითვალისწინოთ მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები, მიმართოთ დიფე-რენცირებულ სწავლებას. სასურველია, დაბალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებს დაეხმაროთ როგორც თემების შერ-ჩევაში, ისე გამოსაყენებელი ლიტერატურის მოძიებაში, ხოლო მაღალი მზაობის მოსწავლეებს მისცეთ თავისუფლება რეფერატის თემისა თუ მასალის არჩევისას;
- სანიმუშოდ შესაძლებელია გააცნოთ რამდენიმე რეფერატი და აუხსნათ, როგორია ნაშრომის გაფორმების წესები;
- ვიდრე მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობას გააცნობთ, თავად გათვალეთ, რა დრო დასჭირდებათ ამა თუ იმ ეტაპზე სამუშაოდ, რადგან რეფერატის დაწერა მცირე დროში წარმოუდგენელია, ამიტომაც აჯობებს, საქმე გადაანა-წილონ;
- ამა თუ იმ მასალის დამუშავებისას მოსწავლეებს ურჩიეთ, გამოიყენონ კითხვის სხვადასხვა სტრატეგია, რათა მარტივად დაახარისხონ წაკითხული მასალა და შეარჩიონ სწორედ ის, რაც გამოადგებათ.

## IV თავი – იგავური სიბრძნე

**12.** ივანე ამირხანაშვილი, *სულხან-საბა ორბელიანი* (ბიოგრაფიული ნარკვევი), კრებული „XVI-XVIII საუკუ-ნეების ქართული ლიტერატურა აღმოსავლური და დასავლური კულტურულ-ლიტერატურული პროცესების გზაშესაყარზე“, თბილისი 2010, გვ. 231.

**13.** ივანე ამირხანაშვილი, *„სიბრძნე სიცრუისა“ ტექსტი და კონტექსტი*, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა აღმოსავლური და დასავლური კულტურულ-ლიტერატურული პროცესების გზაშესაყარზე, თბილისი 2010, გვ. 240.

**14.** რუსუდან ცანავა, *ქარაგმის ჰერმენევტიკა, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“.* XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა აღმოსავლური და დასავლური კულტურულ-ლიტერატურული პრო-ცესების გზაშესაყარზე, თბილისი 2010, გვ. 254.

**15.** ნინო ლომიძე, *იგავი და იგავ-არაკი.* http://mastsavlebeli.ge/?p=23979

**16.** სულხან-საბა ორბელიანი, *მოგ ზაურობა ევროპაში* – ტექსტი იხილეთ ბმულზე:

https://www.aura.ge/103-sabavshvo/4888-sulxansaba-orbeliani--mogzauroba-evropashi.html

## V თავი – „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის“

### პოემა

სიტყვა „პოემა“ ბერძნულად ნიშნავს შეთხზულს, ქმნილებას. ძველი პოემები წარმოიშვა სხვადასხვა დამოუკიდებელი ლექსისაგან. თითოეულ მათგანში აღწერილი იყო საინტერესო ეპიზოდი სახალხო გმირისა თუ რომელიმე ცნობილი, მნიშვნელოვანი პიროვნების ცხოვრებიდან. შემდეგში ასეთი ლექსები შეუერთეს ერთი უფრო საინტერესო მოვლენის გა-მომხატველ ლექსს. ყველა ლექსში მოთხრობილი ამბები მიაწერეს ერთს, უფრო მნიშვნელოვან პიროვნებას და, ამგვარად, წარმოიშვა ძ**ველი საგმირო პოემა.**

მისთვის დამახასიათებელია:

- დიდი ამბავი;
- კომპოზიციური სირთულე;
- დიდი მოცულობა;
- მოქმედების ფართოდ გაშლა და, შესაბამისად, დროის დიდი მონაკვეთი;
- პერსონაჟების სიმრავლე, ზოგჯერ გმირთა საქმეების იდეალიზაცია;
- ამბის ჰიპერბოლური გადმოცემა, დინჯი, დარბაისლური კილო.

არსებობს **ახალი პოემაც,** რომელიც შედარებით პატარა მოცულობისაა. მისი მახასიათებლებია:

- არ აქვს რთული სიუჟეტი, დროის მონაკვეთი მცირეა;
- ამბის ცენტრშია გმირი და მისი სულიერი განცდები, ლირიკული განწყობილება;
- ძველი საგმირო პოემისთვის დამახასიათებელი გმირის ზვიადობა, უძლეველობა, უჩვეულობა უარყოფილია.
- ავტორი ერევა მოქმედების განვითარებაში, ხშირად ჩანს მისი დამოკიდებულება კონკრეტული პრობლემის მიმართ და განცდები.
- მწერლის ყურადღება პიროვნებაზეა გადატანილი, თუმცა, მასში გამოსახვის საგნად ხშირად რჩება მნიშვნელოვანი ამ-ბავი მთელი ერის ცხოვრებიდან. ამ შემთხვევაში ახალი პოემის ავტორები თავიანთი ნაწარმოების შინაარსს იღებენ არა ხალხური გადმოცემებიდან, როგორც იქცეოდნენ ძველი პოემის ავტორები, არამედ – ისტორიული წარსულიდან.

**17.** გრივერ ფარულავა, *დავით გურამიშვილის მსოფლშეგრძნებისათვის,* მასწავლებლის ბიბლიოთეკა, ტ. III, გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბილისი 2009, გვ. 281-286.

**18.** რევაზ სირაძე, *დავით გურამიშვილის მეორე პოეტური „მე“,* მასწავლებლის ბიბლიოთეკა, ტ. III, გამოც-დების ეროვნული ცენტრი, თბილისი 2009, გვ. 291-305

**19.** დავით წერედიანი, *გურამიშვილის პორტრეტი სამი სახელის ფონზე*, ანარეკლი, სულაკაურის გამომცემ-ლობა, თბილისი 2014, გვ. 28-47.

## თეორიული მასალა და სავარჯიშოები მწერლის ენაზე სამუშაოდ

სახელმძღვანელოში მოსწავლეებს რამდენიმე დავალება ხვდებათ მწერლის ენაზე სამუშაოდ. მოსწავლის წიგნში არაერთი კითხვა, რუბრიკა თუ აქტივობა შევიტანეთ მასზე დასაკვირვებლად. მწერლის ენის განუ-ყოფელი ნაწილია ტროპის სახეები, ბგერწერა და ლექსთწყობა. მათი უმეტესობა მოსწავლეებს წინა კლასებ-ში უკვე ნასწავლი აქვთ, მაგრამ გასახსენებლად გთავაზობთ როგორც მოკლე თეორიას, ასევე რამდენიმე სავარჯიშოსაც.

## ტროპის სახეები

**ტროპი** არის ენობრივი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება, რომლის ერთ-ერთი ზუსტი განსაზღვრა ჯერ კიდევ ძველ რომში გაჩნდა. „ტროპი სიტყვის საკუთარი მნიშვნელობის ისეთი შეცვლაა, როცა ხდება მნიშვნელობის გამდიდრება“. მთავარია მკითხველმა შეძლოს „მნიშვნელობის გამდიდრების“ დანახვა, ანუ იმ ახალი აზრის დანახვა, რომელიც ჩნდება მხატვრულ ტექსტში სიტყვის „გარდასახვის“ მეშვეობით.

ტროპის სახეებია: შედარება, ეპითეტი, მეტაფორა, ალეგორია, ირონია, ჰიპერბოლა, გამეორება, გაპიროვნება და ა.შ.

**შედარება** – მხატვრული ხერხი, რომელშიც ერთი ფაქტი ან მოვლენა შედარებულია მეორესთან. ძირითადად შედარებაში გამოყენებულია კავშირები: ისე ... როგორც, თანდებული -ვით, -ებრ და ასე შემდეგ. მაგალითად: არ მიგრძნია ჩემი დედის ძუძუ, ყველაფერი სიზმარივით მიდის; კარგი ხარ, აღარც კარგი ხარ, მე გულს მაწევხარ ნისლადა.

**ეპითეტი** (ბერძნ. – ზედდართული, დამატებული) – მხატვრული განსაზღვრა, პოეტური განმარტება, დახასიათება. გამოხატულია ხშირად ზედსართავი სახელით. განსაზღვრებისგან გამოირჩევა იმით, რომ განსაზღვრება ხაზს უსვამს საგნისა თუ მოვლების ძირითად დამახასიათებელ ნიშანს. ეპითეტის მაგალითია: ანკარა წყალი, ნამლევი მთვარე და ა.შ.

**მეტაფორა** (ბერძნ. გადატანა) – მხატვრული გამოსახვის სტილისტიკური ხერხი. პოეტურად შესაძლებელს, დასაშვებს, ასოციაციებითა თუ კონტრასტით, ანალოგიებით წარმოსადგენს ემყარება ან აგებულია სიტყვათა გადატანით მნიშვნელობაზე.

*„მზემ მოკრიფა მთლად თავისი სხივები, ჩაიწყო უბეში, შეიხვია კალთაში, მოეფარა მთას და განისვენა“* – მეტაფორაა და გადმოსცემს დაღამებას. მეტაფორაში საგნებსა და მოვლენებს მიწერილი აქვთ ისეთი თვისება, რომელიც მათ არ ახასიათებთ, მაგრამ პოეტურად დასაშვებია. ხანდახან მისი გამოცნობა ძნელია. არისტოტელე ამბობდა: *„თუ სათქმელი შედგება მეტაფორისგან, იგი გამოცანაა“.*

**ალეგორია** (ბერძნ. – გადაკრულად თქმა) – გადაკრულად ნათქვამი სიტყვა თუ სიტყვათა რიგი, რომელშიც მოვლენის შინაარსი კონკრეტული სახითაა წარმოდგენილი. მასში ნათქვამია ერთი და იგულისხმება მეორე (ანდაზა, გამოცანა, იგავ-არაკი და სხვ.). მისი მიზანია ავტორის აზრის შენიღბვა. აკაკი წერეთლის „ჭაღარაში“ გვხვდება ასეთი სტროფი:

*ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,*

*მხარი მხარს მივცეთ, ხელი ხელს,*

*ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,*

*მოელის ტურფა გამომხსნელს*!

ნესტან-დარეჯანი, ქაჯებისგან დატყვევებული სატრფო, დაპყრობილი საქართველოს ალეგორიაა.

**ჰიპერბოლა** (ბერძ. გაზვიადება) – ტროპის ისეთი სახეა, რომელიც საგანსა თუ მოვლენას გაზვიადებულად წარმოადგენს. ეს სიტყვა ბერძნული წარმოშობისაა და გადაჭარბებას, გაზვიადებას ნიშნავს. მაგალითად: *„ქვითინებს გულამოსკვნითა, ცრემლსა სიპი ქვა დაედნო.“*

ხშირად ჰიპერბოლა და მეტაფორა ძნელი გასარჩევია, მათ გასარჩევად ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მეტაფორის შემთხვევაში სათქმელი გაბუნდოვნებულია, ხოლო ჰიპერბოლაში ამოსაცნობი არაფერია, მხოლოდ გაზვიადებულია. მაგალითად: *„რა წყალი ნახის, გარდიხდის, უჭვრეტდის ჭავლსა წყლისასა, მას თანა-ჰრთვიდის ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა“*– ხაზგასმული სტრიქონში გამოყენებულია ჰიპერბოლა, წყაროს წყალს სისხლგარეული ცრემლი ერთვოდა, გამოხატავს ცრემლის სიჭარბეს (ცრემლს სისხლი ერთვის). *„მოწყენის ტყვიებს მიმიზნებს წვიმა და სველი ფრთებით სად გავფრინდები?!“* – აქ კი გამოყენებულია მეტაფორა, ლირიკული გმირი უზომოდ მოწყენილი და იმედგაცრუებულია.

**გაპიროვნება** – პერსონიფიკაცია – მხატვრული გამოსახვის ხერხი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, უსულო და სულიერი საგნების გაადამიანება. უსულო საგანი წარმოდგენილია, როგორც ადამიანი, რომელიც გრძნობს, მსჯელობს, მოქმედებს. განსხვავდება მეტაფორისაგან იმით, რომ მეტაფორაში ყველა თვისების გადატანა შეიძლება ერთი საგნიდან მეორეზე, გაპიროვნებაში კი გადატანილია მხოლოდ ადამიანური თვისებები. მაგალითად: *„ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი.“*– გაპიროვნებაა, მაგრამ: *„დაღამდა, წვრილნი ვარსკვლავნი აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა“* – მეტაფორაა.

**გამეორება** – მხატვრული საშუალება, რომელიც აზრის გაძლიერების მიზნით გამოიყენება. გამეორე-

ბა, ძირითადად, პოეზიაში გვხვდება. მაგალითად: *„ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის, ფოთლები მიქრიან ქარდაქარ...“*

**ირონია** – დაცინვის მიზნით, შებრუნებული მნიშვნელობით აზრის გამოთქმა. ასეთ შემთხვევაში „მშვენიერს“, „კარგს“ დაცინვის მიზნით იყენებენ. ე.ი. მათში იგულისხმება მახინჯი, ცუდი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აზრი გამოთქმულია საწინააღმდეგო, ანუ შებრუნებული მნიშვნელობით. მაგალითად: *„კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი“...*

## ბგერწერა და ლექსთწყობა

**ასონანსი** ერთი და იგივე ხმოვანი ბგერების განმეორებაა სტრიქონში.

მაგალითად: *„დავეცი, დავბნდი, წამიხდა, ძალი მხართა და მკლავისა.“*

ასონანსი აძლიერებს შინაარსის გამომსახველობას. ზემოთმოყვანილ ციტატაში „ა“-ს გამეორება თითქოს გვაგრძნობინებს მოქმედი პირის გულისცემის აჩქარებას. ტარიელის ბაგიდან ნესტანის მშვენიერების მიმანიშნებელი სიტყვები „ა“ ბგერის გამეორების საშუალებით გლოვის მწუხარე მელოდიად ისმის. ასონანსი გამოიყენება აგრეთვე ვიწრო მნიშვნელობით და იგი არაზუსტი რითმის ერთ-ერთი სახეობაა.

**მაჯამა** იგივე ომონიმური რითმაა, სტრიქონები ერთი და იგივე სიტყვით/სიტყვებით სრულდება, თუმცა შინაარსი სხვადასხვა აქვს. მაგალითად:

*„აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,*

*სერზე შევდეგ, ჭმუნვის ალი მენელა,*

*მზემან სხივი მომაფინა მაშინა,*

*სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა.“*

**ალიტერაცია** (ლათ. alliteratio) – ერთი და იმავე თანხმოვანი ბგერების გამეორებაა სალექსო სტრიქონში. იგი გამოსახვის პოეტური ხერხია, ემოციური ზეგავლენის საშუალებაა, ბგერების მუსიკალური ორგანიზაციის ფორმაა. ალიტერაცია ქმნის ლექსის კეთილხმოვნებას, სიტყვის შინაარსის აკუსტიკური თვალსაჩინოებას და ამით მკითხველზე ახდენს ესთეტიკურ გავლენას. თითქმის ყველა პოეტი მეტ-ნაკლებად იყენებს ალიტერაციას. ალიტერაციის ოსტატური გამოყენებით ძალიან ხშირად წარმტაცი მუსიკალობაა მიღწეული.

აი მაგალითებიც:

1. *გველნი გაშლით მოეკეცნეს, ბალი შეღმა შერაშენდა.*

ბგერების გამეორება მაშინაა პოეტური, ესთეტიკური, როცა მას ახლავს ამსახველობითი ემოციური ძალა. ბგერების უაზრო ფორმალისტური თამაში მოკლებულია მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას.

ალიტერაციულ ლექსში ხშირად რიტმის საყრდენია ტაეპთა საწყისი სიტყვები, რომლებიც ალიტერაციულადაა გამართული. ალიტერაციული ლექსთწყობა მიღებულია საერთოდ. იგი უყვარს ქართულ ხალხურ პოეზიასაც.

2. *მოდი ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი,*

*მიველ ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი,*

*მოდი ვნახოთ თხა, რამ შეჭამა თხა,*

*მიველ ვნახე თხა, მგელმა ჭამა თხა.*

## „ვეფხისტყაოსანი“

**სავარჯიშო 1**. შემოხაზე მართებული პასუხი.

**1. რომელი არ არის შედარება?**

ა) პირსა იხოკდეს, გაჰყრიდეს ნახოკსა ვით ნაფოტსასა;

ბ) ზღვასა შევე, მომეგება მეომარი ვითა ღელვა;

გ) ვითა ღმერთმან შენი მსგავსი სოფლად არა მოავლინა;

დ) ცხოს უცხო ეგრე ვითა შეგიყვარდი? გასაყრელად გეძნელები, იადონსა ვითა ვარდი;

**2. რომელი ტროპის სახეა გამოყენებული:** *„თვით ორნივე ბიძა-ძენი დაპყრობილნი წამოასხნა,*

*მისად ნაცვლად სისხლნი მათნი მოღვარნა და ველთა ასხნა;“*

ა) შედარება; ბ) ეპითეტი; გ) მეტაფორა; დ) ჰიპერბოლა.

**3. რომელი ტროპის სახეა გამოყენებული:** *„პირსა იცა, გაიხეთქა ღაწვი, ვარდი აიხეწა,*

*ლალი ქარვად გარდიქცია, ბროლი სრულად დაილეწა;“*

ა) შედარება; ბ) ეპითეტი; გ) მეტაფორა; დ) ჰიპერბოლა.

**4. რომელში არ არის გამოყენებული ეპითეტი?**

ა) როსტევან – მეფე უკადრი, მორჭმული, შეუპოველი!

ბ) მათ ორთავე აშვენებდა ფიფქსა თოვნა, ვარდსა ნამა.

გ) მა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთისა ხელის მხდელი;

დ) თავმან ჩემმან, თავსა მოგკვეთ, არად უნდა ამას ცილი! წა, უკუდეგ! ავი, შმაგი, უმეცარი, შლეგი, წბილი!

**5. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული:** *„მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად?!“*

ა) გამეორება; ბ) შედარება; გ) ჰიპერბოლა; დ) გაპიროვნება.

**6. რომელი არ არის აფორიზმი?**

ა) მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომელ კაცი თავსა ივნებს.

ბ) ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

გ) კაცი იყო საქმისაცა შესაფერი, შესატყვისი;

დ) ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი.

**7. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული მეორე სტრიქონში:**

*„წა, უკუდეგ! ავი, შმაგი, უმეცარი, შლეგი, წბილი! შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი!“*

ა) რიტორიკული შეძახლი; გ) ეპითეტი;

ბ) ირონია; დ) იუმორი.

**8. რომელი არ არის მეტაფორა?**

ა) ვეფხი-ავაზა პირ-ქუშად ზის, წყრომა ვერ ვუგრძენითა;

ბ) აწ ნახეთ მთრვალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი, მსწრომელი.

გ) უსენ გაკვირდა, გა-ცა-კრთა, რა შუქნი ნახნა მზისანი;

დ) გამოვიპარე საძებრად: მწვიდა ცეცხლისა მურობა.

**9. რომელი მხატვრული საშუალებებია გამოყენებული:**

*„დაწერა: „ფრიდონ მაღალო, სვე-სრულო მეფეთ-მეფეო,*

*ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო შუქ-მოიეფეო,*

*მოვლენილო და მორჭმულო, მტერთა სისხლისა მჩქეფეო...“*

ა) შედარება და ეპითეტი; გ) ჰიპერბოლა და გაპიროვნება;

ბ) მეტაფორა და გაპიროვნება; დ) შედარება და მეტაფორა.

**10. რომელი ტროპის სახეა გამოყენებული:** *„პირსა იხოკს, ვარდსა აზრობს, ხელი მისი განამხოკლა;*

*სისხლსა, მისგან დადენილსა, მხეცნი ყოვლი განამლოკლა;“*

ა) შედარება და ეპითეტი; გ) მეტაფორა და ჰიპერბოლა;

ბ) ირონია და გაპიროვნება; დ) ალეგორია და გამეორება.

**„სიბრძნე სიცრუისა“**

**სავარჯიშო 2.** შემოხაზე მართებული პასუხი.

**1. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული:** *„და ჰყვა ვაზირი ეგეთი, რომე სიბრძნითა მისითა ცათა აღწევნილ იყო, ჭკუითა ხმელთა სიგრძე და განი სრულად განეზომა.“*

ა) მეტაფორა; ბ) შედარება; გ) ჰიპერბოლა; დ) ალეგორია.

2. **რომელი მხატვრული საშუალებებით ახასიათებს ავტორი ახალშობილ ჯუმბერს:** *„შეიწყალა ღმერთმან და მისცა მეფესა ძე ესეთი, რომე სინათლითა მზე მოშურნეობდა, ათხუთმეტისა დღისა მთვარე ნათელსა მისგან ითხოვდა, ვარსკვლავნი მისსა კამკამებასა გაეცვიფრებინა, შავნი მერცხლისა მხარნი ბროლთა ზედან განპყობით დაეშვენებინა, მელნის გუბენი გიშრის ლერწმით შემოესარა..“*

ა) ჰიპერბოლითა და შედარებით; გ) ირონიითა და ალუზიით;

ბ) გაპიროვნებითა და მეტაფორით; დ) გამეორებითა და ეპითეტით; .

**3. რას გადმოსცემს ხაზგასმული მეტაფორა:** *„რუქა ცეცხლის გზებას უმატებდა და მრისხანემ მეფემ ვაზირი თვისი გააძო.“*

ა) ცეცხლს ანთებდა; ბ) ვითარებას ამწვავებდა; გ) მეფეს აშინებდა; დ) საფრთხეს ქმნიდა,

**4. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული:** *„ჯერეთ მოწყალებისა ქარითა მრისხანებისა ღველფი განაბნივე და სიტკბოსა წყლითა მისი ალი დაშრიტე, და მერმე მეტყოდე?!“*

ა) შედარება; ბ) ალეგორია; გ) ირონია; დ) მეტაფორა.

**5. რა მხატვრული საშუალებითაა გადმოცემული:** *„მაძღარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფშვნეტდა და ზედ დაჰყვედრიდა: რად ღორულად სჭამო?!“*

ა) აფორიზმით; ბ) ფრაზეოლოგიზმით; გ) ანდაზით; დ) იუმორით.

**6. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული:** *„მისი სიტკბო და ალერსი ესრეთ შეეტკბოთ, ჩჩვილთა წულთაებრ, სძისა და ძუძუთა უსაყვარლესად მიეზიდათ?“*

ა) შედარება; ბ) გაპიროვნება; გ) მეტაფორა; დ) ეპითეტი.

**7. რომელი მხატვრული ხერხია:** *„ეგოდენი ჯარი შეიყარა, მიწასა ემძიმებოდა.“*

ა) მეტაფორა; ბ) გაპიროვნება; გ) ჰიპერბოლა; დ) შედარება.

**8. რომელი მხატვრული ხერხებია გამოყენებული:** *„ხელმწიფეთა წინა მდგომი კაცი სანთელია: თავსა თვისსა დასწვავს და სხვათ გაუნათლებს?“*

ა) შედარება და მეტაფორა; გ) ჰიპერბოლა და გამეორება;

ბ) გაპიროვნება და ეპითეტი; დ) ალუზია და ირონია.

**„დავითიანი“**

**სავარჯიშო 3.** შემოხაზეთ მართებული პასუხი.

**1. რომელი მხატვრული საშუალებითაა შემკული უფალი მოცემულ ტექსტში:**

*„იყო ის ერთი უფალი გლახაკთ ნუგეშის-მცემელი,*

*მეფსალმუნე და მეტყველი, ღვთის ქებით ბობღნთა მცემელი?“*

ა) მეტაფორა; ბ) შედარება; გ) ალეგორია; დ) ეპითეტი.

**2. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული:** *„რაც თესეს, ბოლოს მოიმკეს თავიანთ ნამუშაკისა?“*

ა) მეტაფორა; ბ) გაპიროვნება; გ) ჰიპერბოლა; დ) ეპითეტი.

**3. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული:** *„ვენახთ უწვიმის სეტყვანი, მზგავსი ნახეთქი ლოდისა?“*

ა) გაპიროვნება და ალეგორია; ბ) მეტაფორა და შედარება;

გ) ეპითეტი და ჰიპერბოლა; დ) ალუზია და ირონია.

**4. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული:** *„ღმერთმან მტერსა მოუვლინოს, რაც ქართლს უყვეს ან კახეთსა?!“*

ა) აფორიზმი; ბ) რიტორიკული შეძახილი; გ) ალეგორია; დ) ალუზია.

**5. რას გადმოსცემს მოცემული ბიბლიური ალუზია:** *„იფქლი ღვარძლად გარდაიქცა...“*

ა) ცუდი მოსავალი მოვიდა; გ) უიმედობამ დაისადგურა.

ბ) მტერი მომრავლდა; დ) სიკეთე ბოროტებამ ჩაანაცვლა.

**6. რომელი მხატვრული ხერხია:** *„კაცს მის მეტი არა აქვს-რა სიკვდილს უკან თან საბარგი...“*

ა) ალიტერაცია; ბ) მეტაფორა; გ) გაპიროვნება; დ) ალეგორია.

**7.** *„ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო“* **– პოეტის ხასიათის რომელი თვისება ჩანს მოცემული მეტაფორით?**

ა) სიძლიერე; ბ) მზრუნველობა; გ) სამართლიანობა; დ) წინდახედულება.

**8. ტროპის რომელი ხერხებია გამოყენებული:** *„მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,*

*ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.“*

ა) ჰიპერბოლა და მეტაფორა; გ) შედარება და ეპითეტი;

ბ) გაპიროვნება და ირონია; დ) ალეგორია და გაპიროვნება.

**შენიშვნა:** პასუხები იხილეთ 75-ე გვერდზე.

**20.** **აქვე გთავაზობთ მეთოდურ სტატიას, „მხატვრულობის ალგორითმს“ (ავტორი მ. მენაბდე), რომელიც დაგეხმარებათ, უფრო მარტივად აუხსნათ და გააზრებინოთ მოსწავლეებს ზემოთ უკვე განხილული საკითხების უმეტესობა.**

http://mastsavlebeli.ge/?p=17448

▲ ბმულის სანახავად მიანათეთ მობილურის კამერა.

# სავარჯიშოების პასუხები
## მე-3 თავი ზმნისწინი

**დავალება 1.** **ამოწერე ზმნისწინიანი სიტყვები. ისაუბრე, რომელი ზმნისწინია ახალი ლექსიკური ერთეულის წარმომქმნელი.**

ა. მო-ვალ, და-გეხსნები – მარტივი ზმნისწინი

ბ. მო-ღრუბლებით, გა-ახვნა, გა-ამყარნა, და-იზახნა – მარტივი ზმნისწინი

ამო-ყარნა, გარდმო-ყარნა – რთული ზმნისწინი

გ. ჩამო-გეგდო – რთული ზმნისწინი

და-გესახა – მარტივი ზმნისწინი

დ. და-გწვა, და-დაგულო – მარტივი ზმნისწინი

ე. ა-ზიდნა, მო-ფარდაგულსა – მარტივი ზმნისწინი

ვ. შემო-მცვიდიან – რთული ზმნისწინი

ზ. გარდა-ვლენა – რთული ზმნისწინი

**თ.** შე-მინდევ  შე-მივედრე – მარტივი ზმნისწინი

გარდ-მეხდევის – რთული ზმნისწინი.

**დავალება 2.** **კარგად დააკვირდი ძველ ქართულ ზმნისწინებს. გადახაზე ცხრილები რვეულში და ისე შეასრულე მოცემული დავალება.**

**ცხრილი 1**

| მარტივი | **რთული** |
|---|---|
| ავიდა<br>ჩაბერა<br>წახდომა<br>ავფრინდე | გადააბიჯა<br>გადმოსვეს<br>წამოსული<br>გადმოყარა |

**ცხრილი 2**

| ძველი | **ახალი** |
|---|---|
| აღვიდა<br>შთაჰბერა<br>გარდააბიჯა<br>გარდმოსვეს<br>წარმოსრული<br>წარხდომა<br>გარდმოყარა<br>აღვფრინდე | ავიდა<br>ჩაბერა<br>გადააბიჯა<br>გადმოსვეს<br>წამოსული<br>წახდომა<br>გადმოყარა<br>ავფრინდე |

**დავალება 4.** ამოწერე სწორი პასუხები კონტექსტის შესაბამისად.

ა. მებაღეები ძალას არ იშურებენ მცენარეთა ჯანსაღი ზრდისთვის.

ბ. ბერები დაუსახლებელ ადგილებს მიაშურებდნენ სულის განსაწმენდად.

გ. ვიკამ მეგობრებთან მოკლე ტექსტური შეტყობინებები დაგზავნა.

დ. დედოფალმა შუშანიკმა მოგვი დედაკაცი განკურნა.

ე. მასწავლებელი ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობას განმარტავს.

ვ. ყოველ ახალ ნაკადს ცეკვის მასწავლებელი წესებს წარუდგენს.

ზ. სამინისტრომ ჩვეულ რეჟიმში განაახლა მუშაობა.

თ. გაზაფხულზე მცენარეებმა ყლორტები ამოაჩინეს.

**დავალება 5.** ცხრილი გადაიტანე რვეულში და მოცემული სახელზმნები აქციე ზმნის პირიან ფორმად აწმყოს მწკრივში.

| სახელზმნა | ზმნა |
|---|---|
| განახლება | ვაახლებ |
| განმეორება | ვიმეორებ |
| განხორციელება | ვახორციელებ |
| გათავისუფლება | ვათავისუფლებ |
| განსხვავება | ვასხვავებ |
| განზოგადება | ვაზოგადებ |

**დავალება 6.** გაასწორე შეცდომები და გადაწერე წინადადებები.

ა. **აცვიფრებს; ბ. უმარტავდა; გ. ასხვავებს დ. აღუზრდია; ე. გაათავისუფლა; ვ. ასახიერებს; ზ. ახორციელებს; თ. აღვნიშნეთ; ი. განუცვიფრებია/გაუცვიფრებია.**

**დავალება 7.** ამოწერე მხოლოდ მცდარი ფორმები და გაასწორე ისინი.

ბ. მამამ თეფშები **დარეცხა** და შემდეგ ეზოში ძაღლს საჭმელი გაუტანა.

გ. ჩვენი საზოგადოება არცთუ ისე იშვიათად კონკრეტულ ფაქტს მცდარად **აზოგადებს.**

ზ. როსტევან მეფე **განარისხა** უცხო მოყმის დაუმორჩილებლობამ და უპატივცემულობამ.

ი. თქვენ **გაგითავისუფლეს** ადგილი და შეგიძლიათ, დაბრძანდეთ!

**დავალება 8.** ყურადღებით წაიკითხე ტექსტი, გაასწორე შეცდომები და ისე გადაწერე რვეულში.

დავით გურამიშვილი დაიბადა 1705 წელს საქართველოს **ძველი** სატახტო ქალაქის, მცხეთის, მახლობლად, საგურამოს ზემოთ, გორისუბანში, თავად გიორგი გურამიშვილის ოჯახში. პოეტის დედა – კახეთში ცნობილი თავადების, ვახვახიშვილთა ასული მზევინარი სათნო, ნაზი და **ღვთისმოსავი** ქალი ყოფილა. როგორც **აღვნიშნეთ**, დავითს ბავშვობა გურამიანთ-კარში (როგორც საგურამოს ეძახდნენ ზოგჯერ) ან უფრო ზუსტად, მის განაპირა მხარეს მდებარე სოფელ გორისუბანში გაუტარებია. წესისამებრ მაღალი წოდების ბავშვები პირველ წლებში აღსაზრდელად მიჰყავდათ გლეხების ოჯახში. როგორც ამას თვით პოეტი გადმოსცემს, დავითი ძიძას **აღუზრდია.** უთუოდ ძიძასთან ყოფნის დროს შეითვისა მან მდიდარი ხალხური სიტყვიერება, მადლიანი ქართული, რომელიც მას ღრმა მოხუცებულობამდე, სამშობლოდან მოწყვეტილს ასე ცოცხლად შემორჩა.

1727 წელს დავითი ოცდაორი წლის ჭაბუკი იყო, როგორც ჩანს, **ახლად დაქორწინებული.** მისი მეუღლე, აზნაურ გარაყანიძეთა ოჯახიდან, საგურამოს რამდენიმე ათეული **კილომეტრით** დაშორებულ სოფელ

**ლამისყანის** მკვიდრი ყოფილა. ლეკიანობის შიშით, გურამიშვილების ოჯახიც თავის მოყვრებს **შეჰფარებია** ლამისყანაში. მაგრამ ჩანს, რომ დაღესტნელი მოთარეშენი აქაც თავისუფლად აღწევდნენ. მკათათვის ერთ დღეს აქ დავითს ლეკები დასხმიან თავს. თითქმის კინემატოგრაფიული სიცხადით **აღგვიწერს** პოეტი თავისი დატყვევების ამბავს.

## მე-4 თავი – სასვენი ნიშნები

**დავალება 1. ყურადღებით დააკვირდი წინადადებებს და იმსჯელე,** რომელ წინადადებაში და რომელი წესის მიხედვითაა სწორად დასმული მძიმე.

სწორად დასმულია სასვენი ნიშნები: ა. ბ. გ. დ. ი. კ.

**დავალება 2. გადაწერე წინადადებები და დასვი სასვენი ნიშნები.**

ა. მელქისედეკ კათალიკოსს გახუნებული ჯვალოს ჩოხა ეცვა, ხელში კი ბერული ორკაპიანი ჯოხი ეჭირა.

ბ. მშვენიერი ერთგული ცხენებიც იფერებდნენ ალერსს, ხვიხვინებდნენ, ფრუტუნებდნენ, ალერსიანად თავს უქნევდნენ პატრონს.

გ. ქართული, ბერძნული, არაბული წარწერები მოჩანდა ლოდებზე.

დ. ტუსაღმა მეფეს მიაპყრო თავისი დაღლილი, ნატანჯი თვალები.

ე. გადახრუკულ, უნაყოფო მთებში სამლოცველოების კარზე გამოჰქონდათ ბერებისთვის საკვები.

ვ. მომჩივარნი ქვითკირების ერდოებზე, ხეებსა და გალავნებზე ადიოდნენ.

ზ. მევენახეებმა სტუმარი შეიპატიჟეს, ყველი, მწვანილი და ახალი კიტრები მიართვეს.

თ. ხუროთმოძღვარი უზარმაზარი, ტლანქი ხელებით დასწვდა მახლობლად დაგდებულ ლოდს.

ი. მთელი დღე დაუცხრომლად, გადაუღებლად წვიმდა.

კ. ხევის გადაღმა მაღალი, თვალუწვდომელი კავკასიონის მთები მოჩანდა.

**დავალება 3. გადაიწერე წინადადებები, დააკვირდი, რომელი ტიპის გარემოებებია გამოყენებული და, შესაბამისად, სადაც საჭიროა, დასვი სასვენი ნიშნები.**

**ა.** ალექსანდრე ქართველიშვილი დაიბადა 1896 წელს, (დროის) 9 სექტემბერს (დროის), თბილისში (ადგილის), ცნობილი მოღვაწის, მიხეილ ქართველიშვილის, ოჯახში (ადგილის).

**ბ.** სუსხიან ზამთარში (დროის), ნაშუადღევს (დროის), ზღვის მარილისა და გოგირდისსუნიან ქარში (ადგილის) პერი ძმის ქორწილისთვის სტამბოლში ჩავიდა.

**გ.** ოთხშაბათს (დროის), საღამოს ჟამს (დროის), უცხოელი ბიბლიოთეკიდან გამოვიდა.

**დ.** მშვიდად (ვითარების), აუღელვებლად (ვითარების) და ოდნავ მოსაბეზრებლად (ვითარების) იცოდა საუბარი ბაბუამ.

**ე.** ქუჩის კუთხეში(ადგილის), ტელეფონის ჯიხურთან (ადგილის), უპოვარი კაცი გამვლელებს ყვავილებს ურიგებდა.

**ვ.** ქოხის კედელთან (ადგილის), გრძელ სკამზე (ადგილის), დარაჯი თომა და მისი ქალიშვილი თინა ისხდნენ.

**დავალება 4. წინადადებები გადაწერე რვეულში და დასვი სასვენი ნიშნები იქ, სადაც საჭიროა.**

**ა.** კედელზე ეკიდა: კაცისა და ცხენის ჯავშნები, უნაგირები, შუბები, დაჟანგებული ხმლები, ჯიხვისა და ირმის რქები.

**ბ.** ბაგრატ მეფეს ლაშქართან ერთად დახვდნენ პატივის მისაგებად ტაოელი აზნაურები, მესხები და ქართლელები.

**გ.** არმაზის სამონასტრო კომპლექსში შედის შემდეგი ნაგებობები: ეკლესია კარიბჭე სამრეკლო მინაშენი და საძვალე.

**დ.** ტყავისპანელიანი კედლები, ხის ჭერი, წითელი ხითა და მარმარილოთი მოპირკეთებული უზარმაზარი

საწერი მაგიდა, კვერცხისგულისფერი მაღალი სავარძლები, ხელოვნების უძველესი ნიმუშები – ყოველივე ეს სამუშაო კაბინეტში იყო.

ე. საწვიმარი, სარბენი ფეხსაცმელი, ზურგჩანთა – ეს ყველაფერი ოქსფორდში წასვლამდე უნდა ეყიდა.

ვ. ელიფ შაფაქის რომანში „ხუროთმოძღვრის შეგირდი“ პერსონაჟთა უმდიდრესი გალერეაა: სულეიმან დიდებული და მისი მემკვიდრეები, ევროპელი ელჩები თუ მოხეტიალე ბოშები, სუფი დერვიშები თუ ჰარამხანის ტურფები.

ზ. ჩამავალი მზე, როგორც ფრთაგაშლილი, უზარმაზარი წითელი არწივი, მიექანება სივრცის გადაღმა.

თ. მოედანზე ისმის მხოლოდ რკინისა და ფოლადის ჩახუნი, ზზრიალი და ჟღარუნი.

ი. შიომღვიმე ძველი ქართული კულტურულ-მწიგნობრული კერაც იყო. აქ მოღვაწეობდნენ: შიო მღვიმელი, ბასილ კარიჭის ძე, არსენ იყალთოელი, არსენ ბერი, გიორგი ხუცესმონაზონი და სხვა.

კ. კლდოვან ქვაბებში ცალთვალა დევები ცხოვრობენ, ხოლო ღრმა ხევხუვები სავსეა კუდიანებით, ალქაჯებით, ოქროსთმიანი მიონებით, რქოსანი ღვირღვებითა და ეშმაკებით.

**დავალება 5.** **გადაწერე წინადადებები რვეულში და დასვი სასვენი ნიშნები, სადაც საჭიროა.**

ა. თხემზე თუ მოახერხებენ ასვლას, ხედით დატკბებიან და დაღლილობასაც დაივიწყებენ.

ბ. სახელმწიფო ხაზინის დახმარებისა თუ ნებაყოფლობითი შეწირულობების სოლიდური ნაწილი სწორედ საეკლესიო ცხოვრების ორგანიზებას ხმარდებოდა.

გ. მზე დასავალს იყო, რომ ერთ ღრმა ხეობაში ჩავედით.

დ. სოფელს რომ მიაღწიეს, დაღამდა კიდეც.

ე. ადამიანი მაშინ არის სიცოცხლის ღირსი, როცა მოუსვენარია იტანჯება მოქმედებს იბრძვის.

ვ. ვახტანგ გორგასლის ჯარის შესახებ, რომლითაც მან ალანების წინააღმდეგ ილაშქრა, ცნობებს ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულება გვაძლევს.

ზ. არსებული კანონის თანახმად, თუ შელაპარაკებისას სიტუაცია გამძაფრდა, კაცმა კონფრონტაციას თავი უნდა აარიდოს.

თ. ავგიორგი დარწმუნდა, რომ ციხე სანოვაგითა და სასმელი წყლით უზრუნველყოფილი იყო და უკუიქცა.

ი. გარეშე მტერთა გამუდმებული თავდასხმა, რაც აღმოსავლეთ საქართველოსთვის უცხო არ ყოფილა, ქმნიდა თავდაცვითი ციხესიმაგრის აგების აუცილებლობას.

კ. ჭრაჭუნი რომ შეწყდა, წამოდგა და იმ ურემს პატრონის მიერ გაგდებული ძაღლივით დაედევნა.

**დავალება 6.** **წინადადებები გადაიწერე რვეულში და დასვი სასვენი ნიშნები.**

ა. ბიჭი ამას ხან აჩქარებული გულისცემით ხან ყელში მობჯენილი ბურთით ხან ცივი ოფლით ხან ალმურით ხან ცახცახით და ხან ტკივილით გრძნობდა მაგრამ სახელს ვერ არქმევდა.

ბ. სამწუხაროდ, დიმიტრი ამილახვარი ვერც საფრანგეთის გათავისუფლებას მოესწრო ვერც ომის დამთავრებას.

გ. თურმე ბავშვობისდროინდელი ამბები უფრო კარგად ახსოვს კაცს ვიდრე თუნდაც გუშინწინდელი.

დ. უძველესი ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე არათუ ლურსმული დამწერლობის გაჩენამდე არამედ შუმერთა საერთოდ გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის ე.წ. თიხის სათვალავების სისტემა.

ე. გერმანელებმა ერთობლივი ძალისხმევით დაიწყეს ტრადიციული ინფრასტრუქტურის მოწყობა რაც გამოიხატა მასშტაბური ალმშენებლობით სხვადასხვა სფეროში.

ვ. ვახტანგ გორგასლის მეფობა საინტერესოა როგორც სამხედრო ასევე პოლიტიკური და დიპლომატიური თვალსაზრისით.

ზ. დაღვარული ცხენებიც ძლივსღა მიათრევენ მოწყვეტილ ფეხებს: ხან ერთი წაიჩოქებს ხან მეორე წაიბორძიკებს.

**თ.** ნადირობა დიდხანს იმიტომ არ გაგრძელდა რომ კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

**ი.** გენერალს უზარმაზარმა ქონებამ საშუალება მისცა არა მარტო ხელოვნების შესანიშნავ ქმნილებათა დიდი კოლექცია შეეგროვებინა არამედ გამხდარიყო მასშტაბურ არქიტექტორულ ნაგებობათა ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამკვეთი ვენაში.

**კ.** ქვიტკირის პატარა შენობას აღარც სახურავი აქვს აღარც აივანი აღარც კარები და აღარც ჩარჩოები.

**დავალება 7. წინადადებები გადაიწერე რვეულში და დასვი სასვენი ნიშნები, სადაც საჭიროა.**

**ა.** მამლებმა მესამეჯერ იყივლეს. ცოტა ხანიც გავიდა, ცას მტრედისფერმა დაჰკრა, სოფელი ჯერ შეიშმუშნა, მერე ნელ-ნელა აფუსფუსდა.

**ბ.** ფეხმარდი ცხენი მყავდა. ალიონზე ავდგებოდი, ცხენს მოვაჯდებოდი და ორიოდე საათით ხან ტყისკენ წავიდოდი, ხან ჭალაში გავისეირნებდი, ხან კიდევ ქალაქის გზას დავადგებოდი.

**გ.** ელჩს შავი მოსასხამი ეცვა, თავზე თეთრი ჩალმა ჰქონდა შემოგრაგნილი, შავი სატევარი ეკიდა წელზე.

**დ.** ქართული წარმართობის გამოძახილიც ცხადდებოდა კედლების ბარელიეფებში, თავაღერილ, კუდაშვერილ ხარებს ტოტემის ნიშნებით ჰქონდათ დადაღული ფერდები, ქრისტიანთა თვალის ასახვევად ამ ცხოველებს ჯვარი ჰქონდათ დადგმული რქებს შორის.

**ე.** ქედნები შემომსხდარან შორენას მხრებზე, სულზე უტკბესად გალობენ, ნაზად იდრეკენ წითელი ყაყაჩოები კლერტოებს, იზნიქებიან ოქროს თაველები.

**ვ.** იდგა გახევებული სპასალარი, ხედავდა, როგორ უსიტყვოდ იტანჯებოდა მეფე – თმა შუბლზე ჩამოხატვოდა, ღაწვები ჩასცვენოდა, სახე დაგრძელებოდა, ყველაფერზე ეტყობოდა, თუ როგორ აფორიაქებოდა ბუნება საერთოდ გულდინჯსა და უშიშარ ვაჟკაცს.

**ზ.** თემშარაზე მოიზლაზნებოდნენ კამეჩები, ნახირები მოსდებოდნენ გზებსა და შუკებს, ბღაოდნენ თავაწეული კამეჩები, ჭიხვინებდნენ უზელო ცხენები, ფალნიანი აქლემები მოაკანტურებდნენ თავს, ქერა კვიცები მოკუნტრუშობდნენ ტალახიან გზაზე.

**თ.** დრო ნელა მიდიოდა, უჩუმრად, მშვიდად, ვერც კი შეატყობდით, მიდიოდა თუ არა, სანამ საბედისწერო ჟამმა არ დაჰკრა.

**ი.** მაგიდას გოგონა უჯდა, წყვილი ნაწნავი აქეთ-იქით ყელზე ეფინა, ხელთ წიგნი ეპყრა, თავი ოდნავ დაეხარა და კითხულობდა.

**დავალება 9. ამოწერე განკერძოებული სიტყვები. აღნიშნე, რა ტიპის განკერძოებული სიტყვაა.**

**ა.** პირველი სართულის ფანჯრებიდან მკვეთრი სინათლე იღვრებოდა, **თბილი და ქარვისფერი (განკერძოებული განსაზღვრება).**

**ბ.** თქვენი მასპინძელია შუა საუკუნეების სტამბოლი, **ჯადოსნური, ფერადოვანი იდუმალებით მოცული, ბოსფორის პირას ნებივრად გაწოლილი ქალაქი (განკერძოებული განსაზღვრება),** კაცთა ბედის მჭედელი, შემოქმედთა ასპარეზი.

**გ.** შორს, **ჩრდილოეთით (განკერძოებული გარემოება),** ოდნავ მოჩანს მყივარის ასვეტილი მოთეთრო ზედატანი.

**დ. საბედნიეროდ, (ჩართული)** საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული მშობლები სამ თვეში დაბრუნდნენ და უკვე ყველა ერთად იყო.

**ე.** თბილისი **(საქართველოს დედაქალი) (დანართი)** ერთ-ერთი მიმზიდველი და საინტერესო ადგილია უცხოელი სტუმრებისათვის.

**ვ. როგორც ექიმმა ბრძანა, (ჩართული)** საგანგაშო მდგომარეობა არ იყო და პაციენტი მალე გამოჯანმრთელდებოდა.

**ზ.** დიმიტრი ამილახვრის დაღუპვიდან ორი წლის შემდეგ, **1944 წლის დეკემბერში, შობა დღეს, (დანართი)** ირინე დადიანი უცხოელთა ლეგიონის ხელმძღვანელობამ ამილახვრის ხსოვნის საღამოზე მიიწვია.

**დავალება 10.**

ა. ქსნის ციხე მცხეთა-მთიანეთის მხარეში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ციხისძირთან ახლოს, მდე-ბარეობს, მდინარეების, ქსნისა და მტკვრის შესართავთან, სარკინეთის მთაზე.

ბ. მთავარსარდალი და გენერალისიმუსი, სავოიის ჰერცოგთა სახელგანთქმული შთამომავალი პრინცი ევგე-ნი უაღრესად განათლებული კაცი იყო.

გ. პირველი სკანსესი, ანუ, როგორც შვედები უწოდებენ, ღია ცის ქვეშ მუზეუმი 1891 წელს დააარსა არტურ ჰესელიუსმა კუნძულ იურგოდენზე, სტოკჰოლმის ცენტრში.

დ. სხვათა შორის, ზაფხულში იქვე იპოვეს უძველესი ნავსადგური, რომელიც ხის საბჯენებით ისეთი წესითაა აგებული, როგორიც მე-19 საუკუნემდე იყო მიღებული.

ე. გზაზე, დუქანში, პლატონის საუბედუროდ, მათ შეხვდნენ კირილეს ვიღაც ნაცნობი ყმაწვილები და ძლივს დააშორა მათ თავისი სიძე.

ვ. რასაკვირველია, ახლა მასხრად იქნებოდა აგდებული ამ ყმაწვილებისაგან, რომელნიც დილიდან საღამომ-დე მხოლოდ იმით არიან გართულნი, რომ საოხუნჯო და სასაცილო რამ ან მოიგონონ ან შეამჩნიონ ვინმეს.

ზ. მათი ბანაკის დასაზვერად რომ წავედი, ჯიბეში, სხვათა შორის, ბაბუაჩემის ნაქონი დიდი ჯაყვა მედო, მხარზე მისივე ნაქონი ფილთა თოფი მეკიდა.

თ. იგი თითქოს ჩქარობდა თავისი სათქმელის დამთავრებას, რომელიც მოკლე არ უნდა ყოფილიყო, რო-გორც ეტყობოდა.

**დავალება 11. გადაწერე ტექსტი და დასვი სასვენი ნიშნები.**

ა. პოლონეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით გააქტიურდა მე-17 საუკუნეში, ქართლის მეფის, ვახტანგ V შაჰნავაზის, დროს, როდესაც პოლონეთმა ოსმალეთის წინააღმდეგ მოკავ-შირეთა ძებნა დაიწყო. პოლონურ-ქართულ ურთიერთობებში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა ერთი ქართველი, რომელიც პოლონურ წყაროებში მოხსენიებულია, როგორც ბოგდან გურჯიცკი.

ბ. ლელოს მოტრფიალენი ქუთაისშიც ჰყავდა, საფიჩხიაზე, ხარაზოვის ბაღის მიდამოებში, ხშირად ბურთაო-ბა აყალმაყალითა და მუშტი-კრივითაც მთავრდებოდა. საეკლესიო დღესასწაულებზე დიდი ბურთაობა ჩაღდებოდა ხონში, ოფშკვითსა და იმერეთის სხვა ადგილებში. ლელოს თამაშს მთავრობასა და ხალხს შორის დაპირისპირებაც მოჰყოლია. მაგალითად, ბათუმში გამართულ ლელობურთზე საინტერესო და სახალისო ამბავს 1880 წლის გაზეთი „ივერია“ აქვეყნებს.

გ. მარკო პოლო ყველა დროის ერთ-ერთი სახელგანთქმული ზღვაოსანი იყო. მარკო იტალიაში, ვენეციაში, ცხოვრობდა მე-13 საუკუნის დასაწყისში და რამდენჯერმე იმოგზაურა აზიაში. პირველად მარკო პოლომ 17 წლის ასაკში იმოგზაურა. მამამ და ბიძამ, რომლებიც შორეულ აღმოსავლეთში სავაჭროდ დადიოდ-ნენ, ყმაწვილიც თან წაიყვანეს. 1271 წელს ისინი ჩინეთის გზას გაუდგნენ, სადაც პოლოები ძლევამოსილ იმპერატორს, ყუბილაი-ხანს, ეწვივნენ.

**სავარჯიშო 12. ყურადღებით წაიკითხე ტექსტი, გაასწორე შეცდომები და გადაწერე რვეულში.**

„ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას საფუძველი XVIII საუკუნის 10-იანი წლებიდან ჩაეყარა, როდესაც 1712 წელს თბილისში, ვახტანგ მეექვსის მიერ დაარსებულ სტამბაში, გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ **პირველი** ბეჭ-დური გამოცემა, რომლისთვისაც ვახტანგს დაურთია კომენტარები. კომენტარებში განხილულია რამ-დენიმე ძალზე მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული **საკითხი.** ასე რომ, ვახტანგისეული „ვეფხ-ისტყაოსანი“ შეიძლება მივიჩნიოთ რუსთველის პოემის პირველ მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემად.

„ვეფხისტყაოსნის“ კვლევის შემდგომი ეტაპი თხზულების მეორე ბეჭდური გამოცემაა რომელსაც უძღოდა მარი ბროსეს შესავალი წერილი. გამოცემის ერთ-ერთმა **თანაავტორმა,** დავით ჩუბინაშვილმა, ორჯერ კიდევ გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ და ორივე გამოცემას საფუძვლად ვახტანგის მიერ დადგე-ნილი ტექსტი დაუდო. **XIX** საუკუნის ოთხმოციან წლებში, როდესაც საქართველოში ფართოდ გაშალა ფრთები ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა მიზნად **დაისახა** „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის მომზადება. აღსანიშნავია, რომ ქართველ-თა ეროვნული საუნჯე – „ვეფხისტყაოსანი“ – იმხანად იქცა არაერთი ქართველი პოეტის შთაგონების წყაროდ. ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ რუსთველის თხზულებას **მხატვრულ** ნაწარმოებებთან ერთად კრიტიკული წერილებიც კი მიუძღვნეს. ამ წამოწყების ინიციატორებად **გამოვ-იდნენ** ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი და იონა მეუნარგია.

# მე-5 თავი – პირის ნიშანთა მართლწერა

**დავალება 1.** გადახაზე ცხრილი. შეუწყვე ზმნას პირები. გამოყავი პირისა და რიცხვის ნიშნები.

| | | |
|---|---|---|
| **შე-ვ-კადრე მე მას ის** | **შეკადრე შენ მას ის** | **შე-ჰ-კადრ-ა მან მას ის** |
| მ-ვარცხნი-ს  ის მე მას | **გ-ვარცხნი-ს   ის შენ მას** | **ვარცხნი-ს ის მას მას** |
| **მ-წყინ-ს ის მე** | გ-წყინ-ს ის შენ | **ს-წყინ-ს ის მას** |
| **მ-პირდებ-ა ია მე მას** | **გ-პირდებ-ა ის შენ მას** | ჰ-პირდებ-ა ის მას მას |
| მი-ვ-ყიდე მე მას ის | **მიყიდე შენ მას ის** | **მი-ჰ-ყიდ-ა მან მას ის** |
| შე-ვ-ფიცე მე მას (ის) | **შეფიცე შენ მას (ის)** | **შე-ჰ-ფიც-ა მან მას (ის)** |
| **ვ-ალამაზებ მე მას** | ალამაზებ შენ მას | **ალამაზებ-ს ის მას** |
| შე-ვ-ჭამ მე მას | **შეჭამ შენ მას** | **შეჭამ-ს ის მას** |
| **მ-გონი-ა ის მე** | გ-გონი-ა ის შენ | **ჰ-გონი-ა ის მას** |
| მო-მ-დი-ს ის მე | **მო-გ-დი-ს ის შენ** | **მო-ს-დი-ს ის მას** |
| **და-მ-რჩენი-ა  ის მე** | **და-გ-რჩენი-ა ის შენ** | დარჩენია ის მას |

**დავალება 3.** ამოწერე მხოლოდ ირიბობიექტურპირიანი ზმნები.

ა. ჰკითხეს.

ბ. დასჭირდება, გაუძნელდება.

გ. დაელოდნენ.

დ. დასტყუა.

ე.

ვ.

**დავალება 4.** მოცემული სახელზმნებიდან აწარმოე შესაბამისი ზმნები პირველ პირში.

**ა.** ვვარაუდობდით. **ბ.** ვთვალთმაქცობთ. **გ.** ვუთხარი. **დ.** ვსულდგმულობთ. **ე.** თანაგიგრძნობ. **ვ.** მოვალ. **ზ.** უგულებელვყოფ. **თ.** ვუკვეთ. **ი.** წავსულვარ, დავღლილვარ. **კ.** უარვყოფ.

**დავალება 5.** გაასწორე შეცდომები.

ა. გავუშვებდით.

ბ. დავშვებულვართ.

გ. დამმალავ.

დ. მღერი.

ე. ვხელმძღვანელობ.

**ვ**. გგონია.

**ზ.** ასხამდნენ, დებდნენ.

**თ.** ვვაჭრობთ.

**ი.** მმკურნალობდი.

**კ**. ვჩივით.

**დავალება 6.** აირჩიე სწორი ფორმა.

**ა.** ჰქონდა, ჰგავდა.

**ბ.** ყიდულობდა.

**გ**. გადასცა.

**დ**. დამონებია.

**ე**. სწყვეტდნენ.

**ვ**. მისწერა.

**ზ.** სჭირდებოდათ.

**თ.** სტკენია.

**ი.** ცხელა.

**კ**. მოსტაცა.

**დავალება 7.** გაასწორე შეცდომები.

**ა.** ჰქონია, დასწაფებია, სცოდნია.

**ბ.** შეჰფიცეს, იბრძოლებდნენ, შექმნეს, გახდნენ, გადასწიეს.

**გ.** შეძლო, სთხოვდა, ჰპირდებოდა.

**დ**. გაჰყოლია,შესთავაზა, შესდგომია, გამოსცეს.

**დავალება 8.** გადაწერე ტექსტი და გაასწორე შეცდომები.

სულხან-საბა ორბელიანი 1658 წლის 4 ნოემბერს ქვემო ქართლში, ბოლნისის მახლობლად, სოფელ ტანძიაში დაიბადა. იქ გაატარა **თავისი** ბავშვობა და **ყრმობის** წლები, გიორგი XI-ის სამეფო კარზე აღზრდილმა სასახლის უდიდესი ბიბლიოთეკის წყალობით ენციკლოპედიური განათლება მიიღო. მან 20-25 წლის ასაკში დაწერა იგავ-არაკების კრებული „სიბრძნე სიცრუისა“, რომელიც ცხოვრებაზე ღრმა დაკვირვების ნაყოფია. ნაწარმოებში **სწავლა-აღზრდი**ს საკითხები იგავარაკული ფორმით **გადმოსცა.** მკითხველი კი **გრძნობს**, რამდენად კარგად, გააზრებულად და ბუნებრივად ჩააქსოვა დიდმა შემოქმედმა ადამიანსა და ცხოველში **ესა თუ ის** აზრი, შეგონება და ცხოვრებისეული დაკვირვების შედეგები. იგი კარგად **ცნობს** ადამიანის ბუნებას, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს. მას ადამიანური მოქმედების არაერთი მხარე აქვს შეფასებული, არაერთ **კითხვაზეა** პასუხი გაცემული და **ხვდები,** რომ ადამიანმა სიცოცხლეში სიკეთე უნდა აკეთოს. **უძვირფასესი/ყველაზე ძვირფასი** საუნჯეა მისი „სიტყვის კონა“. ენციკლოპედიური ელემენტების შემცველი „ქართული ლექსიკონი“ გამოირჩევა მართებული მეთოდოლოგიითა და ფაქტობრივი მასალის სიუხვით.

# „დავითიანის“ დახურულბოლოიანი ტესტის პასუხები

აქტივობა – წაკითხულის გააზრება (გვ. 164-165)

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | გ | ა | დ | ბ | ა | ა | დ | ბ | გ |

# სავარჯიშოების პასუხები მხატვრულ საშუალებებზე

„ვეფხისტყაოსანი“

სავარჯიშო **1.**

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | გ | ა | დ | ბ | ა | ა | დ | ბ | გ |

„სიბრძნე სიცრუისა“

სავარჯიშო **2.**

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ | ბ | ბ | დ | გ | ა | გ | ა |

„დავითიანი“

სავარჯიშო **3.**

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ბ | ბ | დ | ბ | გ | ა |

# მასწავლებლისთვის საჭირო რესურსები


1. ამირხანაშვილი ივანე, *სულხან-საბა ორბელიანი (ბიბლიოგრაფიული ნარკვევი), სიბრძნე სიცრუისა (ტექსტი და კონტექსტი):* 231-253, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა, თბილისი: უნივერსალი, 2012;

2. თვარაძე რევაზ, *თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა*, თბილისი, 1985;

3. კალანდარიშვილი ელისო, *ქრისტიანული მქადაგებლობა და სულხან-საბა ორბელიანის ჰომილიები*, თბილისი, 2005;

4. ლიტერატურული მიმდინარეობები  კლასიციზმიდან მოდერნიზმამდე, თბილისი, 2017;

5. მეტრეველი საბა, *ვნების პარასკევის საკითხავის რეცეფციისათვის ძველ ქართულ მწერლობაში:* 30-43, ლიტერატურული ძიებანი, XLI, თბილისი, 2021;

6. ნაჭყებია მაია, *ქართული ბაროკოს საკითხები*, თბილისი, 2009;

7. სირაძე რევაზ, *დავით გურამიშვილის მეორე პოეტური „მე“*, კრებულში: ქართული ენა და ლიტერატურა, მასწავლებლის ბიბლიოთეკა, III ტ., ძველი ქართული ლიტერატურა, გვ. 291-304;

8. სირაძე რევაზ, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია IX-XII კლასებისათვის,* თბილისი: გამომცემლობა განათლება, 2005;

9. სირაძე რევაზ, *სახისმეტყველება*, თბილისი: ნაკადული, 1982;

10. ფარულავა გრივერ, *დავით გურამიშვილის მსოფლშეგრძნებისთვის,* კრებულში: ქართული ენა და ლიტერატურა, მასწავლებლის ბიბლიოთეკა, ტ. III, ძველი ქართული ლიტერატურა, გვ. 281-286;

11. ქართული ლიტერატურა – ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ჭრილში, ტ. I, თბილისი: საარი, 2016.

12. მოგითხრობთ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, რედ: მანანა კარტოზია, თბილისი: სეზამი, 2008

https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2019/04/vephkhistqhaosani.pdf

13. ზურაბ კიკნაძე – „ვეფხისტყაოსნის ორი სამეფო და ისტორიის დასასრული“
https://www.youtube.com/watch?v=Dx6qo4FkYDM

14. შოთა რუსთაველი – ვეფხისტყაოსანი
https://www.youtube.com/watch?v=3tMlEISF5RI

15. რუსუდან აბრამიძე, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, I და II ნაწილი
https://www.youtube.com/watch?v=MYOsE7RRPx4
https://www.youtube.com/watch?v=J9XBEzWPmw

16. ლევან გიგინეიშვილი, „ვეფხისტყაოსანი“
https://www.youtube.com/watch?v=ktCA5Xm1ZOs

17. ლევან ბერძენიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის შესახებ
https://www.youtube.com/watch?v=FrjLhYP4PxE

18. საბა მეტრეველი, ლეკების მიერ დავით გურამიშვილის გატაცების განსხვავებული ამბავი
https://1tv.ge/audio/sakhlisken-lekebis-mier-davit-guramishvilis-gatacebis-ganskhvavebuli-ambavi/?fbclid=IwAR015X-W5QIzR6XWVryJPzBto90AbG8ErXpl9LH–koR6zVmK4hHBNsqBmPkg

19. ვასილ მაღლაფერიძე, დავით გურამიშვილის „დავითიანი“, ტელესკოლის გაკვეთილები
https://www.youtube.com/watch?v=SvNvzm0U–2A

18. ზინაიდა კვერენჩხილაძე, „ვაი, რა კარგი საჩინო...“
https://www.youtube.com/watch?v=edVMPjextVE